ეროვნული ბიბლიოთეკა

№131 (12 201)

6 ივნისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

გუშინ ბუქარესტში. საქართველო-ნამიბია 26:18
მარცხნიდან: დავით ხინჩაგიშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე

მსოფლიო თასის რეპეტიცია: ნამიბია დამარცხებულია

11

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.
საქართველო-ესპანეთი 0:1



გუშინ ეროვნულზე. გიორგი ჭელიძის შეტევა — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ბოდიში, რომ ვერ მოვიგეთ...

2

ბოლო წუთზე ბარაბაძეს რომ გაეტანა...

ევრო 2008. დღეს 23:00. ოსერი. საფრანგეთი-საქართველო

ჭოპი განაცხადს ვერ ავსებს, დომენეკი მაინც ფრთხილობს

სავარაუდო შემადგენლობა: ლომაია - ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, შაშიაშვილი - ბურდული, კანკავა, ელიავა, კვირკველია, მუჯირი - იაშვილი

საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში — ავტორის ფოტო

ჰაატა თოთაძე
ოსერიდან

- საქართველოს ნაკრებს დღეს რომელ საათზე აქვს პრესკონფერენცია და ვარჯიში? - მეკითხებიან დილით სასტუმროს ჰოლში. კი გამიკვირდა სასტუმროს პერსონალისგან ასეთი კითხვა, მაგრამ აქაურების ფეხბურთისადმი სიყვარულს დავაბრალე. სასტუმროს მიმღებში გუშინ მყოფი გოგო დიდად გარკვეული იყო საფეხბურთო ამბებში, საგანგებოდ ამ მატჩისთვის გამოშვებული მაისური ეცვა და შარფი ეკეთა. საქართველოზე რამდენიმე კითხვა დამისვა, თქვენებურად როგორ გამოითქმის თქვენი ქვეყნის სახელი, ტერიტორიულად სად მდებარეობსო. მერე ენამაც დააინტერესა, გვარის წარმოთქმა რომ გაუჭირდა.

- რვის თხუთმეტ წუთზე პრესკონფერენცია და რვაზე ვარჯიში - ვუპასუხე.

- რა საწყენია, ფრანგ ჟურნალისტს აინტერესებდა თქვენების ვარჯიშის დრო და რომ ვუთხარი დრო, მომიგო, მაგ პერიოდში ფრანგები ვარჯიშობენ მიჟენშიო...

- აღა უშავს, დიდი მადლობა - უკვე ქართულად გააგრძელა და ჩემი გაკვირვებული სახე რომ დაინახა, დაამატა - რამდენამ სიტყვა ვიცი კიდე...

მართლაც რომ საწყენია, როგორც გუშინ მითხრეს, ფრანგებს ქართველების მერე უნდა ევარჯიშათ "აბე დეშამზე" და ვიფიქრე, ფოტოებსაც გადავიღებ და ეგებ ვინმეს კიდეც დაველაპარაკო-თქო, მაგრამ... ისევ ჩვენების ვარჯიშზე სჯობს წასვლა, ჩვენი ინტერესი ხომ საქართველოს ნაკრებია. თანაც ოსერიდან მიჟენამდე საკმაოდ დიდი გზაა, ჩვენებთან მისვლას ვარჯიშის ბოლოსაც კი ვერ მოვახერხებ.

დარჩენილ დროს ქალაქის თვალიერებასა და მომავალ მატჩზე ინფორმაციის ძებნას ვანდომებ. კაუნასთან შედარებით ოსერში დასათვალიერებელი მრავლადაა. აი, მატჩს რაც შეეხება, პლაკატები, როგორც ვთქვი, უხვადაა, მაგრამ სხვა არაფერი. ჟურნალ-გაზეთებში ყველაფერი უკრაინასთან განვლილ მატჩზეა და მხოლოდ ორიოდ სიტყვითაა მოთხრობილი, რომ ხვალ საფრანგეთი საქართველოს ეთამაშება და იქვე ჩვენი ნაკრების ამ შესარჩევ ციკლში ნათამაშები მატჩების სტატისტიკაა მოყვანილი.

ბინდდება, სტადიონის გზას შევუდექი. გზაში ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობ... მძიმე დღეშია ჩვენი გუნდი. ნაკრებში იმდენი მოთამაშე აღარ დარჩა, რომ მწვრთნელმა განაცხადი ბოლომდე შეავსოს. ვითვლი და მხოლოდ 16 მოთამაშე გამოდის, მეჩვიდმეტე ახალგაზრდა **მაკარიძეა,** მაგრამ სამ მეკარეს ხომ არ შეიყვანს განაცხადში...

სასტუმროდან სტადიონამდე გზას ოც წუთს ვანდომებ. გზაში ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ გამისწრო, **კლაუს ტოპმიოლერი** სტადიონზე პრესკონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე მიდის.

კითხვა-კითხვით საპრესკონფერენციო დარბაზს მივადექი და... შესასვლელთან ნაკრების პრეს ატაშე **სანდრო ცნობილაძე** დგას.

- არაა პრესკონფერენცია - მომიგო მომენტალურად.

გაკვირვებული სანამ კითხვას დავსვამ, ახსნას ინყებს.

- ფრანგებს ვარჯიში ჰქონიათ და ჟურნალისტთაგან აქ არავინ მოვიდა, ყველა იქაა, სადღაც სხვა ქალაქში ვარჯიშობენ თურმე. ტოპმიოლერს უნდოდა ვარჯიშამდე 45 წუთით ადრე შეხვედროდა ჟურნალისტებს, ფრანგებსაც ეგრე ჰქონიათ დაგეგმილი.

ამასობაში ვიღაც ფრანგი ჟურნალისტი გამოჩნდა, ცნობილაძესთან მივიდა და ჩვენი ნაკრების შემადგენლობას ეკითხება. სასტარტო შემადგენლობა აინტერესებს. უარი რომ მიიღო, გაკვირვებული კითხულობს, რატომ არ მეუბნებიო. და საპასუხოდ სიტყვას არ ძრავს ფრანგებზე.

ტოპმიოლერი და **რალფ მინგე** მოედანს სინჯავენ, არაფერია დასაწუნიო, მინგე კმაყოფილების ნიშნად თავი აქნევს.

სათადარიგოთა სკამზე ჯდებიან. თავისუფალი დრო გამოუჩნდათ და ხვალინდელ მატჩზე საუბრობენ. მინგე ხელებით აჩვენებს მოედნის მონაკვეთებზე და რაღაცას ეუბნება, რამდენადაც ვხვდები ზონების დროულად გადაკეტვასა და ერთმანეთის დაზღვევაზე საუბრობენ, რათა იგივე არ განმეორდეს, რაც ლიტვაში. აქცენტი ხვალ დაცვაზე გაკეთდება.

3

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. IV შესარჩევი ჯგუფი

ბოდიში, რომ ვერ მოვიგეთ...

საქართველო-ესპანეთი

0:1

05.06.07 თბილისი. ეროვნული
4000 მაყურებელი

0:1 ენრიკე (75)

საქართველო: ლორია - ლობჟანიძე, ფოფხაძე, გ. კაშია, ნავალოვსკი - გრიგალაშვილი (72. ხიდეშელი), ბჟალავა, მერებაშვილი (80. ბარაბაძე), კახელიშვილი, კობახიძე (77. ყენია) - გ. ჭელიძე

სათადარიგოები: თევდორაძე, სანაია, დაუშვილი, ბენაშვილი

ესპანეთი: ხიმენესი - ტორესი, პიკე, ტორეხონი, ენრიკე - პალარდო, გონსალესი, გარსია, ხურადო (90. არსო), ალფარო (71. ლეონი) - ხისკო (67. კრკიჩი)

სათადარიგოები: ადანი, მონრეალი, მარტინესი, მარკოსი

გაფრთხილება: ფოფხაძე (44), ხურადო (49), გარსია (55), ენრიკე (60), ბჟალავა (89), ტორეხონი (90)

გაძევება: ენრიკე (89)

არბიტრი: რ. კრაინჩი (სლოვენია)

"ბოდიში, რომ ვერ მოვიგეთ" - ასე დაასრულა პრესკონფერენცია ჩვენი ოცდაერთწლამდელების ხორვატმა თავკაცმა **პეტარ სეგრტმა**, რომლის მწვრთნელობით გუნდმა კი წააგო, მაგრამ ბეჩავი როდი იყო ჯგუფის ფავორიტთან. ცხადია, ეს წაგების სიმწარეს ვერ დაატკბობს, თუმც წაგებაც ვერ დააკნინებს ჩვენი ახალგაზრდების გარჯას.

ოთხი მცველი, ხუთი შუახაზელი და ერთიც გამოკვეთილი ფორვადი - ხორვატმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და სხვა გზა ალბათ არც ჰქონდა - მასზე უფრო კლასიან მეტოქეს ეთამაშებოდა. ქართველმა ახალგაზრდებმა საერთო ჯამში გამართულად ითამაშეს, დიდი შეუპოვრობით, რაც კი ჯანი, ტექნიკა თუ სისწრაფე ჰქოდათ, ყველაფერი დახარჯეს - მოგვეჩვენა, რომ ეს ჩვენი ახალგაზრდულის ზღვარი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

პირველი მწვავე შეტევა ქართველების იყო **- სანდრო კობახიძე** კარგად გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, თუმც მისი ჩაწოდება ვერავინ დააგვირგვინა. კარში კი პირველად სტუმრებმა დაარტყეს - **სისინიო გონსალესის** პასს **ალეხანდრო ალფარომ** შეუშვირა თავი და **გიორგი ლორიამ** ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მოედნის ცენტრში მყისვე ვერავინ გაბატონდა. ქართველები ბურთის არმევაშიც ყოჩაღობდნენ და შეტევაში სწრაფად გადადიოდნენ. ჩვენი გუნდის, ასე ვთქვათ, მუშა ფლანგი მარცხენა იყო - კობახიძე იქ მხნედ ირჯებოდა. ბევრს მოძრაობდა ცენტრფორვარდი **გიორგი ჭელიძეც**. **გიორგი მერებაშვილის** პასით ის ერთხელ კარგად დაუსხლტა მეტოქის დაცვას, თუმც მახვილი კუთხიდან ზუსტად და ძლიერად ვერ დაარტყა.

და სისინიო გონსალესი - ჩია, მოულელი და ზებგერითი საფეხბურთო სიჩქარის მქონე მარჯვენა გარემარბი - მან ბევრი თავსატეხი გაუჩინა ჩვენს ახალგაზრდებს. ესპანელებიც სულ იმას ცდილობდნენ, მისთვის დერეფანი შეექმნათ, სივრცე გამოეთავისუფლებინათ. მაგრამ ნელ-ნელა სისინიოს შებოჭვაც მოხერხდა. **გიორგი ნავალოვსკიმ** მას რამდენჯერმე ეფექტურად აართვა ბურთი, ძალისმიერ ორთაბრძოლებშიც არაფერი დაუთმო და ჩვენი ნაკრების დაცვამაც ცოტათი ამოისუნთქა.

ესპანელებმა შეტევების გამრავალფეროვნება სცადეს და ერთხელ საპირისპირო ფლანგიდან მეტად სახიფათო იერიშიც გაჩარხეს - ალფარომ კარის გასწვრივ ჩაანოდა, სადაც გოლზე დაგეშილი რამდენიმე თანაგუნდელი ელოდა, მაგრამ გიორგი ლორია კარგად გაინწვართა და შემოტევა გააუვნებლა.

პასუხი არანაკლები გამოდგა - კობახიძემ ოცდახუთიოდე მეტრიდან ისეთი გაისროლა, **რობერტო ხიმენესმა** ძლივს მოიგერია ბურთი.

ტაიმის დასრულებას თხუთმეტი წუთი უკლდა, სტუმრები უფრო მძლავრად რომ ათამაშდნენ. მოედნის ცენტრი **ინიაკი საესის** ფეხბურთელებმა აიღეს, ისინი მოედნის შუაგულში თითქოს რკალურად მოძრაობდნენ, ბურთს ჩინებულად აგორებდნენ, ჩვენს ჯეელებს კი ბურთის ართმევა და შენარჩუნება ერთობ გაუჭირდათ. იყო ეპიზოდები, მთელი სიმძიმე დაცვას რომ აწვებოდა, მაგრამ სეგრტის გუნდმა ამას გაუძლო. სისინიოც დროებით დაიკარგა, რამეთუ ნავალოვსკის დაჯაბნა გაუჭირდა. პირველი 45 წუთიც მიილია.

მეორე ტაიმი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო, თითქოს ვნებები ჩაცხრა და ცხელ გულს ცივი გონება ამჯობინეს. სეგრტის გუნდი ცეტი არ გამოდგა, კარგად აუღო ალღო სიტუაციას.

ასეთ სიუჟეტში ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდა ჩვენი გუნდის ნაკლი და ღირსება. ესპანელთა უპირატესობა კლასში და ფიზიკურ მომზადებაში კარგად გამოიკვეთა. ისიც გამოჩნდა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარდაცვაში ყველაზე აგრესიული, სწრაფი და მძრავი **შოთა გრიგალაშვილი** აღმოჩნდა. ესპანელებმა კარგად გადაუკეტეს სივრცე კობახიძეს. ჭელიძემდე ბურთი ვერ აღწევდა. ჩვენი გუნდის მცველები შეტევაში ვერ გადადიოდნენ. მარჯვენაფლანგელი **გიორგი კახელიშვილი** უფრო დაცვითი ფუნქციების შესრულებით იყო დაკავებული. ასეთ ვითარებაში სეგრტის გუნდს გოლის გატანის მისხალი შანსიც არ ჰქონდა. თუმც ქართველები სწორედ თამაშობდნენ, კონცენტრაციას არ კარგავდნენ.

სისინიოსა და ნავალოვსკის ორთაბრძოლა

მეორე ტაიმის პირველი წუთები გადავაგორეთ, მერე კი ესპანელებმა ზედიზედ ორი ძალიან მწვავე მომენტი შექმნეს ლორიას კართან. მადრიდის "რეალის" მარჯვენა მცველმა **მიგელ ტორესმა** ქართველთა საჯარიმოში მოიგდო ბურთი, თუმც მიზანი ვერ გაისწორა - ოდნავ ააცილა კარს.

ისევ აბობოქრდა "ვალიადოლიდის" მარჯვენაფლანგელი სისინიო, რომლის ფლანგურ პასს ტორესი დაუხვდა - მეორე ცდაზე მას გატანა ლორიამ არ დაანება.

ესპანეთმა მარცხენა ფლანგზეც გაშალა ფრონტის ხაზი. შეცვლაზე შესული **პედრო ლეონი** სისინიოსავით ეფექტური არ იყო, თუმც საესის გუნდის შეტევა მაინც გააძლიერა. სისინიომ კი ერთხელაც გაიბრწყინა, ოციოდე მეტრიდან დაარტყა - ლორიამ ისევ იყოჩაღა.

მეტოქე გიტევს, შენ კი პასუხს ვერ უბრუნებ - ასეთ დღეში აღმოჩნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. გამოცდილ გუნდს ძალუძს ასეთ დროს მშრალად გამოძვრეს, მაგრამ ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გუნდების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქესთან ქართველმა ახალგაზრდებმა ეს ვერ შეძლეს - ერთი უხეში შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა.

ესპანელებმა კუთხური გაითამაშეს, **ხოსე ენრიკეს** თითქოს საჯარიმოში უნდა ჩაეწოდებინა ბურთი, მაგრამ ლორიასთვის და მცველებისთვის მოულოდნელად კარში დაარტყა, ჩვენი ნაკრების მეკარე საპირისპირო სვლაზე გამოიჭირა. ლორიას ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა კარი და გოლიც გავიდა.

სეგრტს ტრავმიანი კობახიძე და დაღლილი გრიგალაშვილი, ვინც დიდი მოცულობითი სამუშაო შეასრულა, უკვე შეცვლილი ჰყავდა - მასპინძლებს ამით მნიშვნელოვანი ძალა შემოაკლდათ. ძალიან ძნელი იყო იმ რესურსის გამოძებნა, რითაც ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწევდა გუნდი. შეცვლაზე შესულ **ლევან ყენიამდე** ბურთმა დაახლოებით ათი წუთის შემდეგ თუ მიაღწია - არადა სეგრტს ნახევარდაცვაში ალბათ ყველაზე უფრო მისი იმედი ჰქონდა. შეხვედრის მიწურულს ჩვენებმა ბოლო ძალა მოიკრიბეს, ბოლო აფეთქება მოაწყვეს და კინაღამ გოლსაც გამორჩნენ - ახმახმა **რევაზ ბარაბაძემ** მეტოქეს ტანი კარგად ჩაუდგა, ახლოდან, არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ხიმენესმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი ნაგებით დაიწყო, თუმც ისეთი თვისებები გამოაჩინა, უკეთესი თამაშისა და შედეგის მოლოდინი რომ გაგვიჩინა. ისიცაა, რომ გუშინ ჩვენ 21-წლამდელებში 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა ითამაშა - **ბჟალავამ, ხიდეშელმა, ყენიამ, ლობჟანიძემ**...

პრესკონფერენცია

ინიაკი საესი, ესპანეთი: პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, რადგან მეკარემ კარგად ითამაშა. საერთო ჯამში, დომინირება გაგვიჭირდა. მეორე ტაიმში ქართველებმა სახიფათო მომენტები ვერ შექმნეს, ჩვენ კი ეს მოვახერხეთ და გოლიც გავიტანეთ. საქართველოს ნაკრების ასეთ კარგ, დალაგებულ და სერიოზულ თამაშს არ ველოდი. საქართველოში მოგება სხვა გუნდებსაც ძალიან გაუჭირდებათ. გამოვარჩევდი საქართველოს ნაკრების მეკარესა და დაცვას, განსაკუთრებით მარჯვენა მცველს.

პეტარ სეგრტი, საქართველო: ველოდით, რომ ძალიან ძლიერ და კარგად ორგანიზებულ გუნდთან მოგვიწევდა თამაში. ტაქტიკური ბრძოლა წავიდა, ორივე გუნდი თავის შანსს ელოდა. შემტევი ფეხბურთი იმიტომ არ ავარჩიეთ, რომ ესპანელები ძალიან ძლიერები არიან კონტრშეტევაში. არ გაგვიმართლა, სულელური გოლი გავუშვით. ბოლო წუთზე შეგვეძლო გოლის გატანა, მაგრამ... სხვათა შორის, ბოლო წუთზე არ უმართლებს საქართველოს არც ეროვნულ არც 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებს. ისიცაა, რომ ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა უმეტესობა ძალიან გადაიღალა. მომდევნო მატჩი პოლონეთთან გვაქვს და ახლა უკვე ამაზე უნდა ვიფიქროთ. ჯგუფში მეორე ადგილზე გასასვლელად ვიბრძოლებთ.

დავით თავართქილაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

მოგდევნო ტური

22 აგვისტო

პოლონეთი-საქართველო

ყაზახეთი-რუსეთი

ბოიან კრკიჩი და გიორგი ფოფხაძე



ინიაკი საესი



პეტარ სეგრტი

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. დღეს 23:00. ოსერი. საფრანგეთი-საქართველო

ჭოპი განაცხადს ვერ ავსებს, დომენეკი მაინც ფრთხილობს

აბე დეშამის სტადიონი

პირველი გვერდიდან

- ესპანეთთან რა ქნეს ახალგაზრდებმა? - მიუტრიალდა მწვრთნელი პრესატაშეს

- პირველი ტაიმის მერე 0:0 იყო, მეტი არ ვიცი

ამ დროს ცნობილაძესთან ვიღაც ფრანგი მიდის და **ზურაბ ხიზანიშვილისთვის** წერილს აძლევს. ისევ ლიტვასთან განვლილ მატჩზე და დაშვებულ შეცდომებზე ვსაუბრობთ.

- ხიზანიშვილი წინ გაიჭედა და ძალიან დაიგვიანა უკან ჩასვლა გოლის მომენტში, 13 წამი მოანდომა, იმ დროს მის ადგილას მარცვალაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ხიზანეიშვილმაც ვერ დააზღვია. სიჩქარეაკრეფილი კალაძის მოტყუება კი ადვილი იყო. ეგეთ დროს, როცა მცველი შენკენ მოიჩქარის, ნებისმიერს მოატყუებ. პრინციპში კალას ფეხი რომ არ დაცდენოდა, ეგებ მოესწრო კიდეც დაფარება ან აერთმია...

წარსულზე საუბარს მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მომხდარი გააანალიზო და ეცადო იგივე შეცდომა მომდევნო მატჩებში არ გაიმეორო. როგორც ჩანს, სათამაშო დისციპლინა ჩვენს გუნდში ჯერ კიდევ არაა სათანადო დონეზე.

ტოპმიოლერთან გასაუბრება მინდა, მაგრამ ვერ იცლის, მინგესთან საუბრობს, მერე დგება და მოედანზე გადის. ჯერ ორსამჯერ შემოუარა, რაღაცებს აკვირდება, ცენტრში გადის, მერე კართან. იქ აგრძელებენ საუბარს. ვარჯიშის მერე გავესაუბრები, გადავწყვიტე, ახლა თავის საქმეს მიხედოს, ხელს არ შევუშლი.

ამასობაში ფეხბურთელებიც მოვიდნენ. მშვენიერ ხასიათზე არიან, ერთმანეთს ეხუმრებიან. ეგაა სასტუმროთი მთლად კმაყოფილები არ არიან, ძალიან პატარა საბაზანო აქვსო, დაიჩივლეს.

არანაირი მოთელვა, ვარჯიში კვადრატით იწყება. აბუსერიძეს მეკარეები გაჰყავს ცალკე. ტოპმიოლერსაც მონატრებია ბურთით თამაში, ახალგაზრდობა გაიხსენა, ჰაინცთან ერთად გვერდით გავიდა და კარში ურტყამს. მერე ბურდული მიიხმო თავისთან, კუთხურიდან ანოდებინებს ბურთს. ისიც ჩინებულად ასრულებს საქმეს, მწვრთნელს ზუსტად ასვამს თავზე ბურთს და მასაც გააქვს და გააქვს. ბიჭებთან მინგე რჩება რამდენიმე წუთით.

საუბარში ნელ-ნელა შემადგენლობა იკვეთება. კარში, რა თქმა უნდა, **ლომაია** იქნება. როგორც ჩანს, დაცვის ხაზში ერთი ცვლილება იქნება, **ელიავას** ადგილს **შაშიაშვილი** დაიკავებს, ელიავა კი წინ აიწევს და, **კანკავასთან** ერთად, ცენტრს გაამაგრებს. მარჯვენა ნახევარმცველი **ბურდული** იქნება, მარცხენა **კვირკველია**. წინ იაშვილი იქნება, აი მის უკან ვინ იმოქმედებს ჯერჯერობით უცნობია. ერთ-ერთი ვარიანტით ეს **მუჯირი** იქნება. არც ისაა გამორიცხული იაშვილმა ცოტა უკან დაიხიოს, წინ კი **მარცვალაძე** დადგეს, თუმცა ამის ალბათობა ძალიან მცირეა. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელზეც გუშინ ილაპარაკა მწვრთნელმა - სალუქვაძის თამაში, ოღონდ, საყრდენ ნახევარმცველად. სათადარიგოებში კი ლამის ყველა მცველი დარჩა: სალუქვაძე ან მუჯირი, მარცვალაძე, **ონიანი, ღვინიანიძე,** მეკარე **ჭანტურია**.

ვფიქრობ, ვარჯიშის ბოლომდე ეგებ რამე გადაწყვიტოს ტოპმიოლერმა.

ამ დროს სტადიონის დაცვა მიახლოვდება რაღაცას მეუბნება ფრანგულად. რომ მიხვდა, ვერ გავიგე, თავად კი ინგლისური არ იცოდა, საქმეში სხვა ჩართო - სამი წუთი დაგრჩათ სამუშაოდო. ახლაღა ირკვევა, რომ ჩვენებს დახურული ვარჯიში ჰქონიათ, მაგრამ ამის შესახებ აქ მყოფ ქართველ ჟურნალისტებს რატომღაც არავინ გვითხრა. არადა, რომ მცოდნოდა, მწვრთნელს ადრევე გავესაუბრებოდი, შევუთანხმდებოდი მაინც შეხვედრის დროზე და ეგებ ფრანგებთან წასვლაც მომესწრო. სასწრაფოდ ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, რამდენიმე კადრის გადაღება მაინც მოვასწრო. სამმა წუთმა უცებ გაირბინა... მოედანს ვტოვებ და ვფიქრობ, იქვე გასასვლელში გავჩერდე, ვარჯიშის მერე მაინც გავარკვევ რამეს, მაგრამ მთლიანად სტადიონის ტერიტორიას მატოვებინებენ - ვერ გაგაჩერებთო. არადა რამდენიმე კითხვა ხიზანიშვილთანაც მაქვს. თავს ვერ ვდებ სიზუსტეზე, მაგრამ ხიზანიშვილს მგონი "ოსერი" ინვევს და ის წერილიც ამასთან დაკავშირებით იყო.

როგორც აქაურ კოლეგებთან საუბარში ვარკვევ, **რაიმონ დომენეკს** ერთი საათი უცარჯიშებია გუნდი. პრესკონფერენციაზე კი, როგორც ხდება ხოლმე, ჩვენი გუნდი შეუქია. მაგათი რამდენიმე ფეხბურთელი კარგ გუნდში თამაშობს და ნუ გგონიათ უკრაინაზე სუსტიო. მერე დაუმატებია, ცოტა უცნაური გუნდია, შედეგს ვერ აღნევს, მაგრამ პრობლემას ყველას უქმნისო.

- ვიღაც ფორვარდი გამოყო, ნიდერლანდებში თამაშობს და კარგი ბიჭიაო. იქაც შეგვიქმნა პრობლემები დაცვაშიო - მეუბნება ფრანგი კოლეგა.

ცხადია არველაძეზეა საუბარი, მაგრამ, ჩანს, ფრანგებს წარმოდგენა არ აქვთ, რა შემადგენლობითაა ჩამოსული ჩვენი გუნდი.

საქართველოს ქება-ქებაში ერთ-ერთ ჟურნალისტს უკითხავს, თბილისში რომ იყავით ეგეთი ფრთხილი მაშინ არ ყოფილხართ და ახლა რა გჭირთო, რაზეც პასუხად მიუღია, მე ვიცი, როდის უნდა ვიყო ფრთხილი და როდის არაო. აქაურების თქმით, დომენეკთან ურთიერთობა ადვილი არ არის, უცნაური ახირებები აქვს და როგორ გინდა მაგის ყველა კაპრიზს მოერგოო. საქმე კი იცის და...

მოკლედ, დღეს, აქაური დროით 21 საათზე (23:00) თამაშია...

მარჯვნივ - მესამე მეკარე გიორგი მაკარიძე

ავტორის ფოტოები

კომენტარები



გიორგი მერებაშვილი

- მეტოქე ძლიერი გვყავდა და თამაშიც დაძაბულად წარიმართა. ყველამ კარგად ნახეთ, თავი არ დაგვიზოგავს და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ესპანეთი ჯგუფის ფავორიტადაა მიჩნეული, მაგრამ დღესაც გამოჩნდა, რომ ჩვენც კარგი გუნდი გვყავს. მართალია, წავაგეთ, მაგრამ წინ კიდევ შვიდი მატჩი გვაქვს და ჯგუფიდან გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

რა თქმა უნდა, შედეგით არავინ ვართ კმაყოფილი, მაგრამ მწვრთნელები კმაყოფილები იყვნენ, ბოლომდე რომ ვიბრძოლეთ. ქომაგების მადლიერნი ვართ. ისინი ბოლომდე გვერდში გვედგნენ.

სანდრო კოზახიძე

- ძალიან გულდაწყვეტილი ვარ... არც კი ვიცი, რა გითხრათ. დასანანი მარცხი განვიცადეთ. წაგებისთვის მართლა ცოდონი ვიყავით. მადლობა ქომაგებს. ჩვენი ჯიგრიანი თამაში მათი დიდი დამსახურებაც იყო.

გიორგი ლორია

- ყველამ ბოლომდე ვიბრძოლეთ. სამწუხაროდ, დასანანი გოლი გავუშვით, არ გაგვიმართლა, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ.

გიორგი ნავალოვსკი

- სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. იღბალი ჩვენკენ რომ ყოფილიყო, უქულოდ არ დავრჩებოდით. მართალია, წავაგეთ, მაგრამ, შეცდომებს გამოვასწორებთ და მომდევნო მატჩში, პოლონეთში უფრო უკეთ ვითამაშებთ.

გიორგი ჟელიძე

- კარგი, საინტერესო თამაში გამოვიდა. ესპანეთი ჯგუფის ფავორიტია, მაგრამ ბოლომდე ვიომეთ და რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. ჩვენ ერთი კვირის შეკრებილი გუნდი გვყავს, მეტოქეს კი ერთ გუნდად თამაშის 6 წლიანი სტაჟი ჰქონდა. ფრეც შეგვეძლო და მოგებაც. წაგებისთვის კი მართლა ცოდონი ვიყავით. მადლობა ქომაგებს, მათ მხარდაჭერას ბოლომდე ვგრძნობდით.

გიორგი კახელიშვილი

- პირველ რიგში, მადლობა გულშემატკივარს. კოკისპირულ წვიმაში ისინი მხარში ბოლომდე გვედგნენ, ყველამ ბოლომდე ვიომეთ. ეს წაგება უიღბლობის ბრალი იყო, თორემ არაერთი გოლი უნდა გაგვეტანა.

გიორგი ფუფხაძე

- აშკარად უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, არ უნდა წაგვეგო. ერთი გოლი მაინც რომ გაგვეტანა, უქულოდ არ დავრჩებოდით.

მირზა ბუსალავა

- მოგება თუ არა, ფრის მიღწევა ნამდვილად შეგვეძლო. ესპანეთი ჯგუფის ფავორიტია, ჩვენი გუნდის რამდენიმე მოთამაშე მეტოქეზე 2-3 წლით უმცროსი იყო, მაგრამ მეტოქეს ტოლი არ დავუდეთ. მეტი იღბალი რომ გვქონოდა, გოლს ბოლოს მაინც გავიტანდით.

დავით ცაბაძე

გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექემბერი XVII

უმაღლესი ლიგა. შეჯამება

ჩემპიონატი

დილა

ადგილი ჩემპიონატში: 13

შონაგარი

	გაბმული	ქრილიანდში	გოლი	სულეთი	სულეთი
ვარდოსანიძე	23	12	3	1	-
სადაღაშვილი	22	18	-	2	-
გალიაშვილი	21	17	-	3	-
ტლაშაძე	21	14	-	5	-
ნ. ნოზაძე	18	13	-	1	1
კოგახიძე	17	17	-	2	1
წინამძღვრიშვილი	14	12	1	1	-
გალაშვილი	13	13	-	2	-
ყველაშვილი**	13	13	1	-	-
კ. ხანიშვილი**	12	12	1	3	-
აბრამიშვილი	12	5	1	1	1
გონჩაროვი**	11	11	4	-	-
თევდორაძე (მკ.)**	11	11	-17	3	-
კურტანიძე	11	10	-	1	-
დ. ხანიშვილი**	11	10	-	1	-
ლომაშვილი**	11	10	-	1	-
სულთანიშვილი**	10	8	3	2	-
ოლგესაშვილი*	9	9	-	1	-
მასურაშვილი*	9	8	-	1	-
ლომიძე	9	7	-	-	-
კიჩხუაშვილი (მკ.)	9	7	-21	-	-
ლაგაძე*	8	8	-	2	-
ბ. ჩიტაია**	8	4	2	-	-
ვაჩეიშვილი*	7	7	2	3	-
ილურიძე (მეკ.)*	7	6	-13	2	-
სამადაშვილი	7	2	-	1	-
საყვარელიძე*	5	5	-	-	-
ი. თაყაძე	5	1	-	-	-
მძინარიშვილი*	4	4	-	-	-
თომაშვილი*	3	2	-	-	-
ნადირაშვილი*	2	2	-	-	-
თურმანიძე*	2	2	-	-	-
გეგეშიძე (მეკ.)*	2	2	-3	-	-
გურნაძე**	2	2	-	1	-
სოფხიშვილი*	2	1	-	-	-
ქავთარაძე*	2	-	-	-	-
მიხანაშვილი*	2	-	-	-	-
ლ. გოჩაშვილი*	1	1	-	-	-
იჩქითი*	1	-	-	-	-
ზ. ელგაძიძე*	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

„მთელი სეზონის შეფასება ჩემი მხრიდან შეუძლებელი იქნება, რადგან პირველ წრეში სხვა მწვრთნელი ჰყავდა გუნდს, ამიტომ მხოლოდ მეორე წრით შემოვიფარგლები. ზამთრის შესვენების შემდეგ „დილამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენილიყო. მოვინდომეთ, თუმცა შეთამაშება ისევე დროულად ვერ მოვარხერეთ, როგორც შექმნილი მწვავე სატურნირო ვითარება მოითხოვდა. ვფიქრობ, საბოლოოდ „დილამ“ საკუთარი შესაძლებლობის ნახევარი გამოავლინა“.

საუკეთესო მატჩი

„გამოვარჩევ სამ მატჩს: შეხვედრას „ამერთან“ სტუმრად, სადაც ვიგებდით, მაგრამ მინიმალური სხვაობით დავმარცხდით. კარგად ვითამაშეთ იმჟამად ჩემპიონობისთვის მებრძოლ რუსთავის „ოლიმპთან“ და რასაკვირველია, „ჩიხურასათან“, რომელსაც 5:0 მოვუგეთ“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„ბოლნისში „სიონთან“ თამაში აშკარად ჩაგვივარდა“.

პლუსი და მინუსი

„დილას“ დადებითი მხარე ბრძოლისუნარიანობა გახლდათ, ხოლო უარყოფითი, ისევ და ისევ, შეუთამაშებლობა მეორე წრის დასაწყისში, გუნდის გვიან შეკრებიდან გამომდინარე“.

მზადება მომავალი სეზონისთვის

„მომავალი სეზონისთვის მზადებას ორ კვირაში შევუდგებით. ფინანსურმა მდგომარეობამ საშუალება თუ მოგვცა, შესაძლოა ქალაქგარეთ მოვაწყოთ შეკრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გორში მოხდება“.

მომავალი სეზონი

„თუ ისეთივე დაფინანსება იქნება, როგორც ბოლოს იყო, უმაღლეს ლიგაში უპრობლემოდ გადმოვალთ. უფულო გუნდისთვის კი ჩემის აზრით, არც უმაღლეს ლიგაში აქვს თამაშს აზრი და არც პირველში“.

საკადრო პოლიტიკა

„ბორის გონჩაროვი ნათხოვარი გვყავდა და უკვე წავიდა გუნდიდან, თუმცა არ არის გამორიცხული დავიბრუნოთ, ამის დიდი სურვილი გვაქვს. ყველა დანარჩენი ფეხბურთელი გუნდში რჩება. განსაკუთრებით დაცვის ხაზში გვინდა გაძლიერება და მოთამაშეების დამატება. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული“.

ფინანსური მდგომარეობა

„ჯერჯერობით, ეს საკითხი ბოლომდე გარკვეული არაა. მოლაპარაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმდინარეობს, რომლის დახმარების გარეშე გუნდის შენარჩუნება გაჭირდება“.

ჩემპიონატის რჩეულნი

„გამოვარჩევდი **გიორგი ფეიქრიშვილს, როინ ონიანსა** და **გიორგი სეთურიძეს**“.

დილა და ძომაგი

„გულშემატკივართა მხარდაჭერაზე სტატისტიკაც მეტყველებს. ზესტაფონის შემდეგ ყველაზე მეტი მაყურებელი გორში ესწრებოდა თამაშებს. „დილას“ თამაშებზე 2500-3000 ადამიანი რეგულარულად დადიოდა“.

ჩემპიონატის იდეალური ფორმატი

„სასურველია, 16 გუნდი იყოს უმაღლეს ლიგაში, თუ, რასაკვირველია, თექვსმეტივე იქნება ფინანსურად უზრუნველყოფილი“.

მამუკა ვარდოსანიძე
მთავარი მწვრთნელი

გორის „დილამ“ მიმდინარე ჩემპიონატში ორი განსხვავებული წრე ჩაატარა. პირველ წრეში უხელფასო და უმოტივაციო გუნდმა მხოლოდ სამი ქულის დაგროვება მოახერხა და უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე მაშინვე რეალური შეიქნა. მეორე წრეში გამოსწორებულმა ფინანსურმა მდგომარეობამ მოთხოვნაც გაზარდა. „დილა“ შეეცადა, გასაკვირდნი ზონიდან თავი დაეღწია, მაგრამ ვიდრე ახლადშეკრებილი გუნდი შეთამაშდა და კონკრეტულ მატჩებში შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა, უკვე დაგვიანებული იყო. ნიშანდობლივია, რომ განახლების შემდგომ შიდაქართულელებმა სატურნირო ცხრილის პირველ სამ საფეხურზე განთავსებულ გუნდებთან მხოლოდ მინიმალური სხვაობით დათმეს შეხვედრები — „ამერთან“- 1:2, „დინამოსთან“ 1:2 და „ოლიმპთან“ 0:1, ხოლო ცხრილის ბოლო ნაწილში მის მეზობლად მყოფი სამი გუნდიდან „ჩიხურასა“ და „კახეთს“ შესაბამისად 5:0 და 3:1 მოუგეს, „მერანთან“ კი სტუმრად ყაიმი ითამაშეს 0:0. მოცემული სტატისტიკის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გორელები ლიდერებს ბევრით არ ჩამოუვარდებოდნენ, აუტსაიდერებს კი სჯობდნენ. ასე რომ, დროულად თუ მიხედავდნენ, მათი ელიტაში დარჩენა მოსალოდნელი იქნებოდა, თუმცა შემოდგომით მრავლად დაკარგულმა ქულებმა თავი გაზაფხულზე იჩინა და გუნდიც ლიგის მიღმა დარჩა.



ზესტაფონი-დილა

გამორჩეული კოლეგები

„გიორგი კიკნაძე, რომლის დამსახურებაცაა „ოლიმპის“ გაჩემპიონება. მისმა გაწვრთნილმა რუსთაველებმა პირველ წრეში ყველა ლიდერთან სტუმრად ითამაშეს, თანაც შესანიშნავად და ზამთრის შესვენებაზე მდევარს 5 ქულით უსწრებდნენ. კიკნაძესთან ერთად აუცილებლად გამოვარჩევდი **დუშან უჰრინს**“.

მსაჯობა

„მართალია, ისევ არის გარკვეული ლაფსუსები, შეცდომები, მაგრამ უწინდელ მდგომარეობასთან შედარებაც არაა. კონკრეტულად ჩვენმა გუნდმა არბიტრთა შეცდომებით „ამერთან“ და „ლოკომოტივთან“ შეხვედრებში იზარალა, დანარჩენ შემთხვევებში მსაჯობა ახლოს იყო იდეალურთან“.

გარიგებული თამაშები

„ისევ მეორე წრიდან გამომდინარე ვიტყოდი... „დილა“ იყო იმ იშვიათ გუნდთაგანი, რომლმაც ყველა მატჩში ბოლომდე, 100 პროცენტით იბრძოლა. დანარჩენზე მიჭირს რამის თქმა, ისე კი გარიგებული თამაშები არ არის-მეთქი რომ ვამტკიცო, დამიჯერებს ვინმე?“

ვასილ ბალახაძე
გორიდან



I ტური
29.07.06 შ ბათუმი 0:0

II ტური
06.08.06 ს დინამო 1:6
ავტოგოლი: გიგაური

III ტური
20.08.06 შ ბორჯომი 0:3

IV ტური
27.08.06 შ ამერი 1:4
გოლი: ნ. ნოზაძე

V ტური
09.09.06 ს ტორპედო 0:2

VI ტური
17.09.06 შ სიონი 0:1

VII ტური
23.09.06 ს კახეთი 2:2
გოლები: ნ. ნოზაძე, ვაჩეიშვილი

VIII ტური
14.10.06 შ ზესტაფონი 0:4

IX ტური
21.10.06 ს ლოკომოტივი 0:3

X ტური
29.10.06 შ მერანი 0:1

XI ტური
05.11.06 ს ოლიმპი 1:5
გოლი: აბრამიშვილი

XII ტური
18.11.06 შ ვიტ ჯორჯია 0:6

XIII ტური
21.11.06 ს ჩიხურა 1:1
გოლი: ვაჩეიშვილი

XIV ტური
23.02.07 ს ბათუმი 1:2
გოლი: ვარდოსანიძე

XV ტური
02.03.07 შ დინამო 1:2
გოლი: სულთანიშვილი

XVI ტური
10.03.07 ს ბორჯომი 0:1

XVII ტური
17.03.07 ს ამერი 1:2
გოლი: გონჩაროვი

XVIII ტური
31.03.07 შ ტორპედო 1:0
გოლი: ყველაშვილი

XIX ტური
07.04.07 ს სიონი 0:3

XX ტური
13.04.07 შ კახეთი 3:1
გოლები: სულთანიშვილი, ვარდოსანიძე, კ. ხანიშვილი

XXI ტური
21.04.07 ს ზესტაფონი 1:4
გოლი: გონჩაროვი

XXII ტური
27.04.07 შ ლოკომოტივი 1:1
გოლი: გონჩაროვი

XXIII ტური
05.05.07 ს მერანი 0:0

XXIV ტური
12.05.07 შ ოლიმპი 0:1

XXV ტური
16.05.07 ს ვიტ ჯორჯია 1:1
გოლი: ვარდოსანიძე

XXVI ტური
20.05.07 შ ჩიხურა 5:0
გოლები: ბ. ჩიტაია (2), სულთანიშვილი, გონჩაროვი, წინამძღვრიშვილი

26 მატჩი, 3 მოგება, 6 ფრე, 17 წაგება, ბურთები 21-56, 15 ქულა

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ოლეგ ბლოხინი

მეტოქეთა ბანაკში

დომენეკი ხუმრობდა, კუპე მუცელმა დაალალატა

უკრაინელთა მთავარი მწვრთნელი სარკოზის დაცვამ აღაშფოთა

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მეკარე **გრეგორი კუპე** საქართველოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს - იუწყება სააგენტო "ფრანს პრესი". მან უკვე დატოვა პარიზის გარეუბანში მდებარე ნაკრების ბაზა. მიზეზი მუცლის ტკივილი აღმოჩნდა. სავარაუდოდ, მას პსჟ-ის მეკარე **მიკაელ ლანდრო** შეცვლის, "ფიორენტინას" კარის დარაჯ **სებასტიან ფრეის** კი სათადარიგოთა სკამზე გაამწესებენ.

უკრაინასთან მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ფრანგების დამრიგებელმა **რაიმონ დომენეკმა** ბრძანა, რომ შედეგით ძალიან კმაყოფილია და ქართველებთან 6 ივნისის შეხვედრასაც შეეხო: *"მაყურებელი გუნდს ძალიან დაეხმარა. ტრიბუნა ზე საოცარი განწყობა იყო. ჩვენ კი კარგად ვმოძრაობდით და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. ახლა ჩემი ფიქრები მთლიანად საქართველოსთან მატჩს უტრიალებს. ვფიქრობ, რომ უკრაინა ზე ნაკლებად რთული მეტოქე არ გველოდება".*

სხვათა შორის, უკრაინელებთან მატჩის შემდეგ, ფრანგების ახალ პრეზიდენტს, **ნიკოლა სარკოზის** თავისიანებისთვის მილოცვა მოუნდა და სამფეროვნებს გასახდელში ჩააკითხა. ამაში ცუდი რა უნდა ყოფილიყო? უბრალოდ, პრეზიდენტის პირადმა დაცვამ გასახდელები ჩაკეტა და სტუმართა გუნდის მწვრთნელს, **ოლეგ ბლოხინს** საპრესკონფერენციო დარბაზში შესვლის საშუალება არ მისცეს. მან ჟურნალისტებთან სახელდახელო პრესკონფერენცია მიქსტ-ზონაში მოაწყო.

ბლოხინი მომხდარმა მწყობრიდან გამოიყვანა:*" სარკოზის დაცვამ სამჯერ გამაჩერა, ჩხრეკა მომიწყვეს და ლამის გამხადეს. რა, ვიღაც ლაწირაკი ხომ არა ვარ, ეს რა დამოკიდებულებაა? ძალიან გამაბრაზეს. მთავარი მწვრთნელისადმი ელემენტარული პატივისცემა მაინც უნდა არსებობდეს."*

მერაბ მამულაშვილი

გამოხმაურება

უკრაინელებმა მოძრაობა დაგვიწუნეს

ლიტვა- საქართველოს მატჩს საინტერესო სტატია მიუძღვნა უკრაინულმა ინტერნეტ-სააგენტომ "ფუტბოლ.უა"-მ.

"პოსტსაბჭოურ დერბიში უფრო ძლიერი ბალტიისპირელები აღმოჩნდნენ. ეს ორი გუნდი იბრძვის იმისთვის, რომ მძიმე შედარება - "მათზე სუსტი მხოლოდ ფარერელი მწყემსები არიან" - თავიდან აიცილონ. თუმცა, ხშირად მხოლოდ სურვილიც არაა საკმარისი.

საქართველოს ნაკრებში ციკლის დაწყებამდე ღიად საუბრობდნენ, რომ ევრო-2008-ზე მოსახვედრად იბრძოლებდნენ. თუმცა, ფარერებთან ორი მოგების გარდა, ტოპმიოლერმა ვერაფერს მიაღწია.

მატჩმა გვაჩვენა, რომ კავკასიელებს პერსპექტივა არ გააჩნიათ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო! შეუძლებელია, გუნდმა კარგად ითამაშოს, როდესაც მოედანზე მხოლოდ ბურთიანი ფეხბურთელი მოძრაობს. ის შემდეგ გადასცემს თანაგუნდელს და ახლა ის დარბის, თავად კი ისვენებს.

*ლიტველებმა კი უბრალოდ და საიმედოდ ითამაშეს - ისე, როგორც სჩვევიათ. გოლი **მიკოლიუნასის** მშვენიერ გარღვევას მოჰყვა. "ჰართსის" ნახევარმცველმა პაუზა გააკეთა, გაზონზე ორი მცველი დააწვინა (აქ კი გადაამლაშა ავტორმა, რედ.) და შორეულ კუთხეში დაარტყა. ქართველებს ანგარიშის გათანაბრება კი სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს."*

მაქს პენი, "ფუტბოლ.უა"

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა სტატიაზე მიბმულ ფორუმში ამოკითხული გულშემატკივრის პოზიცია. ფსევდონიმით ვინმე "ვიტი" წერს: *"შეცოდება ეს ხალხი. ამ წაგების შემდეგ მათი პატივისცემა არავის შერჩება".*

მეორე გულშემატკივარი კი მიიჩნევს, რომ ქართველებს ამიერიდან მოტივაცია მხოლოდ მეტოქეებისგან მატერიალური სტიმულირების შემთხვევაში გაუწნდებათ.

აი, ასე ფიქრობს უკრაინა ჩვენს ნაკრებზე. საწყენია, ძალიან საწყენია!

მერაბ მამულაშვილი

ოლიმპი

ოლიმპელები გერმანიასა და უკრაინაში

ჭეიშვილი რუსთავს მაინც დაუბრუნდა

17-18 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართება. რუსთავის "ოლიმპის" მეტოქე ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ რუსთაველები მოწინააღმდეგეს სახეცვლილებით დახვდებიან.

გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** მნიშვნელოვანი სიახლეები გაგვიმხილა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოში ცნობილ ოთხ მოთამაშესთან: **ლევან სილაგაძესა** და **სერგი ორბელაძესთან** (ორივე ბოლნისის "სიონი"), აგრეთვე თბილისის "დინამოდან" საჩხერის "ჩიხურაში" განთხოვრებულ მცველ **დავით გიგაურსა** და თავდამსხმელ **ჯაბა დვალთან**. ქარქაშაძის თქმით, მოთამაშეებს "ოლიმპში" გადასვლა სურთ, მთავარია, პირობებზე შეთანხმდნენ, ან მათ გუნდებთან გამონახონ საერთო ენა.

ორბელაძე და გიგაური ცენტრალური მცველები არიან. ერთი შეხედვით, "ოლიმპს" ამ პოზიციის მოთამაშეთა საჭიროება არ აქვს, რადგან საქართველოში საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს. თუმც ჩვენთვის ამ შესაძლო ტრანსფერის მიზეზი გახდა ცნობილი - **გიორგი ონიანი** და **მიხეილ მახვილაძე** უცხოეთში აპირებენ კარიერის გაგრძელებას. ქარქაშაძემ არ დაგვიმალა, რომ **გიორგი სეთურიძე** და **გიორგი ონიანი** 25 ივნისს გერმანიაში გაემგზავრებიან და "კარლ ცაისში" გაისინჯებიან.

საფრანგეთთან მატჩის შემდეგ, ონიანიც გერმანიაში ამავე გუნდს შეუერთდება. რაც შეეხება მახვილაძეს, იგი უკრაინაშია და იქაური უმაღლესი ლიგის ჩვენთვის უცნობ გუნდში ვარჯიშობს. სამივე მათგანი ლიგის პირველ ეტაპზე გუნდს ნებისმიერ შემთხვევაში დაეხმარება.

არაა გამორიცხული, "ოლიმპმა" "ბაქიდან" **გიორგი მეგრელაძე,** ხოლო "დინამოდან" **დავით ოდიკაძე** დაიმატოს.

დაბოლოს: "ოლიმპის" ხელმძღვანელობამ საფეხბურთო აკადემიაში მომუშავე ცნობილი სპეციალისტი **შოთა ჭეიშვილი** თანამშრომლობაზე დაითანხმა. იგი **ვარლამ კილასონიას** დაეხმარება და ასაკობრივი გუნდების კურატორიც იქნება.

მერაბ მამულაშვილი

ზესტაფონი

იონანიძე და ნოზაძე ოფსაიდში?

ზესტაფონმა მზადება დაიწყო

ევროტურნირებიდან ყველაზე ადრე ინტერტოტოს თასი იწყება. როგორც იცით, ამ გათამაშებაში წლეულს საქართველოს "ზესტაფონი" წარადგენს. შესაბამისად, იმერლებმა სამზადისი ევროარენაზე გასულ სხვა გუნდებზე ადრე დაიწყეს.

გუშინ "ზესტაფონმა" მოსამზადებელი შეკრების გასავლელად ბაკურიანს მიაშურა. კლუბის პრესატაშის, **სერგო ფუტკარაძის** თქმით, გუნდი ბაკურიანში მინიმუმ 10 დღეს დაჰყოფს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** ბაკურიანის შეკრებაზე ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებს აქცენტს.

ზესტაფონელები ბაკურიანში დანაკლისით არიან. მახარაძის გუნდს 21-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები აკლია. თუმცა დანაკლისი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ჩვენს მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, ბაკურიანში გუნდთან ერთად არიან იმერელთა გუნდის გამოცდილი ფორვარდი **ზურაბ იონანიძე** და ნახევარმცველი **ბექა ნოზაძე**. ნოზაძეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. ეროვნულ ჩემპიონატში ორასზე მეტი გოლის ავტორ იონანიძის მოსამზადებელ შეკრებაზე არნაყვანა, თანაც ევროტურნირების წინ, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია და თავად გამოცდილი თავდამსხმელიც გაკვირვებულია. უფრო მეტიც, იონანიძე საფეხბურთო კარიერის დასრულებაზეც ფიქრობს.

"ვიცოდი, რომ 5 ივნისს იწყებოდა მოსამზადებელი შეკრება და "ზესტაფონის" მესვეურებს რომ შევეხმიანე, მითხრეს – ბაკურიანში შეკრებაზე კი მივდივართ, მაგრამ შენ სიაში არ ხარო. გაკვირვებული დავრჩი. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო...

*დიახ, რამდენადაც ვიცი ბექა ნოზაძეც არაა ბაკურიანში. მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მე კი "ზესტაფონთან" კიდევ წლინახევრით მაკავშირებს ხელშეკრულება. კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია** ამჟამად საქართველოში არაა. მის ჩამოსვლას დაველოდები და ყველაფერს გავარკვევ.*

სხვა ვარიანტები? რა სხვა ვარიანტებზეა საუბარი, "ზესტაფონთან" წლინახევრინი კონტრაქტი მაქვს და გუნდის შეცვლაზე არც კი მიფიქრია", - "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში გაკვირვებით აღნიშნა ზურაბ იონანიძემ.

მოარული ხმების თანახ,ად, ნოზაძეს "ზესტაფონი" კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს, იონანიძეს კი ტრანსფერზე დააყენებენ.

ბუნებრივია, ამ საკითხში გარკვევას შევეცადეთ. სერგო ფუტკარაძის მტკიცებით, ნოზაძესა და იონანიძესთან მიმართებსაში ასე ნამდვილად არაა საქმე.

"ლეანდროსა და ნოზაძეს კლუბთან კონტრაქტი -მართლაც დაუმთავრდათ. მათ თაობაზე კლუბი მალე მიიღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება იონანიძეს, ცნობას ტრანსფერზე მის დაყენებასთან დაკავშირებით ნამდვილად ვერ დავადასტურებ. ზურაბ იონანიძეს "ზესტაფონთან" კიდევ წლინახევარით აკავშირებს კონტრაქტი და ის ჩვენი ფეხბურთელია. ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით", - გვითხრა ფუტკარაძემ.

კლუბის პრესატაშემ ინტერტოტოზე მეტოქე ყაზახურ "ტობოლსა" და მომავალი მატჩების სამზადისზეც გვითხრა.

"ტობოლთან" უკვე გვქონდა კონტაქტი. მატჩების ვიდეოფირები გავცვალეთ. ჩვენ "ბორჯომთან" (იმერლებმა 2:1 მოიგეს) ბოლო ტურის მატჩის ფირი გავგზავნეთ, მათ კი აუტსაიდერ "ტარაზთან" თამაშის ("ტობოლმა" 3:1 მოიგო) ვიდეოკასეტა გამოგვიგზავნეს", - გვითხრა ფუტკარაძემ.

დავით ცაბაძე

განცხადება

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

ს.კ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია

CDN ტვტესიის სიფრცელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოიმბაზოგი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადა სასურველის გაუჭცელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩების წინ

ინგლისი წნეხის ქვეშ

რუსეთის ბედი ხორვატიაში წყდება



გუუს ჰიდინკი და დმიტრი სიჩოვი

ველ ადგილზე არიან და **გუუს ჰიდინკის** სამწყსოს ორი ქულით უსწრებენ. შესაბამისად, ხორვატთათვის არც ფრე უნდა იყოს ურიგო შედეგი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისრაელსა და ინგლისს ძალიან იოლი მატჩები აქვთ და 3-3 ქულას აღბათ იოლად მოიპოვებენ. ასეთ შემთხვევაში კი, ჯგუფში მდგომარეობა ძალიან დაიძაბება. ხორვატები ყველაზე მეტად **ალექსანდრ კერჟაკოვს** უფრთხიან, რომელმაც შაბათს ანდორასთან (4:0) ჰეთ-თრიკი შეასრულა. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველი წრის დაპირისპირება 0:0 დასრულდა.

ებრაელები და ინგლისელები იმედოვნებენ, რომ ხორვატია-რუსეთი ფრედ დასრულდება. ისრაელი ანდორას სტუმრობს და ზედიზედ მესამე გამარჯვების იმედი აქვს, ინგლისი კი ესტონეთშია. კაპიტან **ჯონ ტერის** თქმით, ეს მატჩი ინგლისის ნაკრების სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თუ მოხდა სასწაული და **სტივ მაკლარენის** გუნდმა ვერ იმარჯვა, ინგლისელთა შანსი, ითამაშონ ევროპის ჩემპიონატზე, ძალიან შემცირდება. თუმცა მაკლარენის გუნდი ფიფას რეიტინგში 110 ადგილზე მყოფ გუნდთან, რა თქმა უნდა, ფავორიტია და რთული წარმოსადგენია, ინგლისელები ტალინიდან ხელცარიელები რომ დაბრუნდნენ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	6	5	1	0	16-4	16
2. რუსეთი	6	4	2	0	11-1	14
3. ისრაელი	7	4	2	1	15-7	14
4. ინგლისი	6	3	2	1	9-2	11
5. მაკედონია	7	2	1	4	6-7	7
6. ესტონეთი	6	0	0	6	0-11	0
7. ანდორა	6	0	0	6	1-26	0

F ჯგუფი

ლიხტენშტაინი-ესპანეთი
შვედეთი-ირლანდია
ლატვია-დანია

ამ ჯგუფში ბევრი რამ უკვე გარკვეულია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ევროპის ჩემპიონატის ორი საგზურისთვის სამი გუნდიღა იბრძოლებს: ესპანეთი, შვედეთი და ამ დავაში მოულოდნელად გარეული ჩრდილოეთი ირლანდია, რომელიც პირველ ადგილზეა და ხსენებულ დუეტს ერთი ქულით უსწრებს. სკანდინავიელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული - მოგეხსენებათ, დანია-შვედეთი შეწყდა და შედეგი გაუქმდა. თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ იმ შეხვედრაში მოგება შვედეთს ჩაეთვლება. ამჯერად შვედები ისლანდიას მასპინძლობენ და სამი ქულის მოპოვება წესით არ უნდა გაუჭირდეთ.

ლატვიაში 2:0-ზე მოგებული თამაშის შემდეგ ესპანელები ლიხტენშტაინში ჩადიან და ცხადია, იქიდან სამი ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდებიან. მოკლედ, ირლანდიელებს, რომლებიც დღეს ისვენებენ, ლიდერობის შენარჩუნება არ უწერიათ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩრ. ირლანდია	6	4	1	1	10-7	13
2. შვედეთი	5	4	0	1	9-4	12
3. ესპანეთი	6	4	0	2	11-6	12
4. დანია	4	2	1	1	7-2	7
5. ლიხტენშტაინი	6	1	1	4	4-16	4
6. ისლანდია	6	1	1	4	5-10	4
7. ლატვია	5	1	0	4	4-5	3

G ჯგუფი

ლუქსემბურგი-ალბანეთი
ბულგარეთი-ბელარუსი
რუმინეთი-სლოვენია

ამ ჯგუფშიც დაახლოებით ისეთი ვითარებაა, როგორც წინაში - გამოკვეთილია მონინავე ტრიო: რუმინეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი. ბულგარელებმა შაბათს ბელარუსში 2:0 იმარჯვეს და ორივე გოლი **დიმიტარ ბერბატოვმა** გაიტანა. დღეს კი იგივე გუნდები ახლა უკვე სოფიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რუმინეთი სლოვენიას მასპინძლობს და ესეც შაბათის საპასუხო მატჩია, რომელიც რუმინელებმა 2:1 მოიგეს. მესამე მატჩში. ლუქსემბურგი ალბანეთს უმასპინძლებს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	6	4	2	0	12-4	14
2. ჰოლანდია	6	4	2	0	8-2	14
3. ბულგარეთი	6	3	3	0	9-3	12
4. ბელარუსი	6	2	1	3	9-13	7
5. ალბანეთი	6	1	3	2	5-6	6
6. სლოვენია	6	1	1	4	5-10	4
7. ლუქსემბურგი	6	0	0	6	1-11	0

A ჯგუფი

ფინეთი-ბელგია
ყაზახეთი-აზერბაიჯანი
სომხეთი-პოლონეთი

აზერბაიჯანის დამარცხების შემდეგ (3:1 ბაქოში), პოლონეთის ნაკრები სომხეთს სტუმრობს. შესაბამისად, **ლეო ბენჰაკერის** გუნდს იმის შანსი აქვს, რომ ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო გაიმყაროს - გამარჯვების შემთხვევაში პოლონელები მეორე ადგილზე მყოფ პორტუგალიას, რომელიც დღეს ისვენებს, 8 ქულით გაასწრებენ. პორტუგალიასთან ერთად ისვენებს მესამე ადგილზე მყოფი სერბეთიც. შესაბამისად, ფინეთს იმის შანსი უჩნდება, რომ სერბეთს წამოეწიოს. თუმცა ამისათვის ფინელებმა აუცილებლად უნდა დაამარცხონ ბელგია, რომლისთვისაც ეს შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის მოპოვების ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. ამიტომ დღეს ბელგიელებიც აუცილებლად სამი ქულისთვის იბრძოლებენ. ჯგუფის მესამე მატჩი კი ნაკლებად საინტერესოა: ყაზახეთი აზერბაიჯანს დაუხვდება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	8	6	1	1	15-6	19
2. პორტუგალია	7	4	2	1	15-5	14
3. სერბეთი	7	4	2	1	10-4	14
4. ფინეთი	7	3	2	2	7-5	11
5. ბელგია	7	2	1	4	5-8	7
6. ყაზახეთი	7	1	2	4	4-10	5
7. სომხეთი	6	1	1	4	2-7	4
8. აზერბაიჯანი	7	1	1	5	3-16	4

C ჯგუფი

ბოსნია-მალტა
ნორვეგია-უნგრეთი
საბერძნეთი-ფოლოდოვა

შაბათს თურქეთის ნაკრები, ყველასათვის მოულოდნელად, ბოსნიაში დამარცხდა (2:3) და პირველი ადგილი დათმო. დღეს თურქები ისვენებენ. ასე რომ, ლიდერობის დაბრუნების შანსი არ აქვთ. სამაგიეროდ, საბერძნეთს პირველი ადგილის განმტკიცება შეუძლია. **ოტო რეჰაგელის** შეგირდები დღეს მოლდოვას მასპინძლობენ და ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, რომ დაგეგმილ სამ ქულას ჩაიჯიბავენ. მეფე ოტოს შეგირდებმა შაბათს უნგრეთს 2:0 სძლიეს და იმ შეხვედრაში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **თეოფანის გეკასმა** პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა. "ბოხუმიდან" "ლევერკუზენში" გადაბარგებული გეკასი დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ამასობაში, ნორვეგიას და ბოსნიას აქვთ იმის შანსი, რომ თურქეთს წამოეწიონ, თუმცაღა ორივე მათგანს **ფათიჰ თერიმის** გუნდზე ერთით მეტი მატჩი ექნება ჩატარებული. "ვიკინგებმა" შაბათს მალტას 4:0 გადაურბინეს და ახლა უნგრეთსაც ემუქრებიან. შეგახსენებთ, რომ ბუდაპეშტში ნორვეგიამ 4:1 იმარჯვა. იმ შეხვედრაში **ოლე გუნარ სოლსიაერმა** დუბლი გაახერხა. ნორვეგია დღესაც ფავორიტია. ბოსნიას კი ძალიან იოლი მატჩი აქვს მალტასთან. ყოველ შემთხვევაში, გუნდს, რომელმაც თურქეთი დაამარცხა, მალტასთან სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	6	5	0	1	10-4	15
2. თურქეთი	6	4	1	1	16-6	13
3. ბოსნია	6	3	1	2	13-14	10
4. ნორვეგია	6	3	1	2	13-6	10
5. უნგრეთი	6	2	0	4	7-10	6
6. მალტა	6	1	1	4	5-14	4
7. მოლდოვა	6	0	2	4	3-13	2

D ჯგუფი

გერმანია-სლოვაკეთი

ამ ჯგუფში დღეს ერთადერთი შეხვედრაა. ლიდერი გერმანია, რომელმაც შაბათს სან მარინოს 6:0 სძლია, ჰამბურგში მეოთხე ადგილზე მყოფ სლოვაკეთს მასპინძლობს და თუ გაიმარჯვა, ლიდერობას კიდევ უფრო გაიმტკიცებს. მაგრამ სლოვაკეთი კერკეტი კაკალია და **იოახიმ ლიოვს** ამის შესახებ ჩინებულად მოეხსენება. გაირკვა, რომ ბუნდესგუნდს ამ თამაშში **იან შლაუდრაფი** ვერ დაეხმარება. "ალემანიიდან" "ბაიერნში" გადაბარგებულმა ფორვარდმა ტრავმა მიიღო და შეკრება დატოვა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	6	5	1	0	27-3	16
2. ჩეხეთი	7	4	2	1	15-4	14
3. ირლანდია	7	4	1	2	12-8	13
4. სლოვაკეთი	6	3	0	3	15-11	9
5. უელსი	6	2	1	3	8-9	7
6. კვიპროსი	6	1	1	4	9-16	4
7. სან მარინო	6	0	0	6	1-36	0

E ჯგუფი

ანდორა-ისრაელი
ნორვეგია-რუსეთი
ესტონეთი-ინგლისი

ხორვატია რუსეთს მასპინძლობს და ეს მთლიანად ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა. ხორვატები პირ-

ახალი კონტრაქტები ჯერარდსა და კარაგერს

სტივ ჯერარდმა და **ჯეიმი კარაგერმა** "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტები გააფორმეს. ისინი "ენფილდზე" კიდევ ოთხი წელიწადი დარჩებიან. ფორმალობების მოგვარების შემდეგ, ფეხბურთელებმა კლუბის ვებგვერდისათვის საგანგებო კომენტარები გააკეთეს. კარაგერმა იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ოთხ სეზონშიც ძირითადის ნევრი იქნება. ჯერარდს კი კმაყოფილება არ დაუმალავს მოლაპარაკებების სწრაფად დასრულების გამო. **რაფა ბენიტესის** "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგაში შთამბეჭდავად თამაშობს. მან ბოლო სამ წელიწადში ორჯერ გააღწია ტურნირის ფინალში და ერთხელ თასი მოიპოვა. მაგრამ ლივერპულელები ვერაფრით ახერხებენ ინგლისის ჩემპიონობისათვის ბრძოლას. ჯერარდს წარუმატებელი სერიის დასრულების იმედი აქვს: *"ლივერპულს" დიდებული პერიოდი უდგას – ახალი ბოსები, ახალი სტადიონის მშენებლობა. ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც წინსვლაში ხელს შეგვიშლის. არ დაგიმალავთ, ჩემთვის ინგლისის ჩემპიონობა ყველაზე სასურველი ტიტულია."*

ალვეშში: სამი გრანდიოზული არჩევანი

"ჩელსი" **დანიელ ალვეშისათვის** ბრძოლაში ჩაება. "არისტოკრატების" დირექტორი **ფრანკ არნესენი** ფეხბურთელის აგენტს ლონდონის სასტუმრო "ჰილტონში" შეხვდა. ალვეში ბრაზილიის ნაკრებში იყო გამოძახებული. მოგეხსენებათ, გასულ პარასკევს, "უემბლიზე" ბრაზილია ინგლისს შეხვდა (1:1). "სევილიის" მცველი 12 მილიონი გირვანქა ღირს. შარშანდელი ზაფხულის შემდეგ მას "ლივერპულიც" აკვირდება. **რაფა ბენიტესს** ოფიციალური წინადადებით ჯერ არ მიუმართავს. მწვრთნელი სატრანსფერო ბიუჯეტის განსაზღვრას ელოდება. მისი კონკურენტები კი დროს უქმად არ კარგავენ. 25 წლის ბრაზილიელი "რეალმაც" მოიკითხა. მადრიდელები, თანხის გარდა, **ჟულიო ბაპტიშტას** შეთავაზებას აპირებენ. ალვეშს ესპანური პასპორტი აქვს. ეს ფაქტი მის მიმართ ინტერესს ერთი-ორად ზრდის.

ტრაგედიას გადარჩენილი კრუზეირო

გასულ უქმეებზე ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "პალმეირასმა" "კრუზეიროსთან" 1:3 წააგო. ნამატჩევს პოლიციამ ორი მასპინძელი გულშემატკივარი დაიკავა. მათ ხელყუმბარები აღმოუჩინეს. დაკავებულებს უმძიმესი ბრალდება ნაუყენეს: სამართალდამცველთა მტკიცებით, ისინი ყუმბარებს "კრუზეიროს" ფანებით სავსე ავტობუსს უმიზნებდნენ, რათა მარცხისათვის საბოლოოდ მაგიერო გადაეხადათ. "კრუზეიროს" ქომაგებმა საყვარელი გუნდის თამაშზე დასასწრებად ბელუ ორიზონტედან 340 მილი გამოიარეს, თუმცა მათი სტუმრობა შეიძლებოდა სასაკლაოთი დასრულებულიყო.

ჩელსი. ტრანსფერები

მალუდა ლიონში არ დარჩება

მაკელელემ ამერიკაში გამგზავრებაზე დაიწყო ფიქრი

"ჩელსი" ადასტურებს, რომ ლიონელი **ფლორან მალუდა** სურს. "არისტოკრატები" ფრანგ გარემარბს **არიენ რობენის** კონკურენტად განიხილავენ. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ლონდონელებთან კონტრაქტი სულ ახლახან გააგრძელა. ორი თვის წინ ინტენსიურად განიხილებოდა "ბაიერნში" ამ უკანასკნელის შესაძლო ტრანსფერის საკითხი. მალუდა საფრანგეთში დარჩენას აღარ აპირებს. მას ინგლისში გამგზავრებას უწინასწარმეტყველებენ. "ჩელსის" გარდა, ფლორანით "ლივერპულიც" დაინტერესდა.

ჟოზე მოურინიომ მარჯვენა მცველი **გლენ ჯონსონი** დაიბრუნა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა გასული სეზონი იჯარით "პორტსმუთში" გაატარა. მწვრთნელს მისი საიმედო ასპარეზობა შეუმჩნეველი არ დარჩენია. ჯონსონს დროის უმეტესი ნაწილის გატარება სათადარიგოთა სკამზე მოუწევს.

ამასობაში, **კლოდ მაკელელემ** ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა. ის აღარაა დარწმუნებული, რომ გაისადაც "ჩელსის" ძირითადში ითამაშებს. ნიგერიელმა **ჯონ ობი მიკელმა** მისი პოზიციები გვარიანად შეასუსტა. 34 ნახევარმცველს MLS-ის ერთ-ერთი კლუბი ეპატიჟება. ფეხბურთელი დეტალების გამხელისაგან თავს იკავებს. ფრანგული სააგენტოების ცნობით, მას "პარი სენ ჟერმენიც" ეპატიჟება, მაგრამ მაკელელემ პარიზში თამაში იმთავითვე გამორიცხა.

სევილია

რამოსი კიდევ ორი წლით

ხუანდე რამოსი "სევილიასთან" კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულებითაა დაკავშირებული, თუმცა ფანტასტიკური შედეგებით მოხიბლული პრეზიდენტი მზადაა, კლუბის მთავარ მწვრთნელს კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივოს. **ხოსე მარია დელ ნიდო** აცნობიერებს, რომ რამოსის გადაბირებას ბევრი ეცდება, ამიტომ გაუმჯობესებული პირობებით თანამშრომლობის გაგრძელებას საუკეთესო პრევენციად მიიჩნევს: *"ვიცი, რომ კონკურენტები გამოგვიჩნდნენ. პირადად ხუანდემ მითხრა, ჩემმა მენეჯერმა რამდენიმე წინადადება მიიღოო. ნურავინ იფიქრებს, რომ "სევილიას" ბრიყვები ხელმძღვანელობენ. მწვრთნელს ასე იოლად არ დავთმობთ. სენიორ რამოსის წყალობით უკვე ერთი წელია, რაც მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა რეიტინგში პირველ ადგილს ვერავინ გვეცილება. "სევილიამ" უეფას თასი ზედიზედ ორჯერ მოიპოვა. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემოქმედ ადამიანს საკადრისად ვაფასებთ. კლუბის იურისტები ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული კონტრაქტის ბოლო დეტალებზე მუშაობენ. სრული სერიოზულობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ უახლოეს მომავალში ხუანდე რამოსთან თანამშრომლობას ორი წლით გავახანგრძლივებთ."*

"სევილიის" დამრიგებელი კლუბის პრეზიდენტის ინიციატივას სიხარულით შეხვდა. ის თანახმაა, კვლავ "სანჩეს პისხუანზე" იმუშაოს და მომავალ წელს პრიმერა დივიზიონის დასაპყრობად იბრძოლოს.

P.S. როგორც ვარაუდობენ, კლუბის პრეზიდენტის გააქტიურება მწვრთნელი "მანჩესტერ სიტის" დაინტერესებამ გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერი

ბეგირისტაინი: ჩვენ ანრისთვის ვიბრძოლებთ

ფრანგი ფორვარდი კატალონიური გრანდის უპირველეს სამიზნედ გამოცხადდა. დირექტორატი გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად ემზადება. ჩიკის ლემპარდისთვის დრო აღარ დარჩა და ინგლისელზე უარი განაცხადა



ტიერი ანრი

"ბარსელონას" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. მოგეხსენებათ, კატალონიურმა გრანდმა "ბეტისთან" ორი ქულის გაფლანგვით ერთპიროვნული ლიდერობა "რეალს" დაუთმო. ერთი შეხედვით, კლუბის ხელმძღვანელობას აწმყოზე ფიქრის გარდა, სხვა საქმე არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ირკვევა, რომ დირექტორატი სერიოზულ სამომავლო ამბებს მოეკიდა. გუშინ **ჩიკი ბეგირისტაინმა** საგანგებო პრესკონფერენციაზე უაღრესად საინტერესო განცხადება გააკეთა: *"დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა სირთულეს დავძლევთ და ესპანეთის ჩემპიონები გავხდებით. დარჩენილ ორ ტურზე, განსაკუთრებით კი ამ უქმეების შეხვედრებზე მთელი სეზონის ბედია დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს იმის ფუფუნებას ვერ მივცემთ, რომ სხვაზე არაფერზე ვიფიქროთ. "ბარსელონამ" მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ოფიციალურად ვაცხადებ, ჩვენ ტიერი ანრისთვის ვიბრძოლებთ. ფრანგი ფორვარდი "ბარსას" ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ჩვენთვის სანახაობრივი ფეხბურთი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტიტულების მოპოვება. ყველამ იცის, თუ ლამაზად არ ვითამაშებთ, გულშემატკივრების კეთილგანწყობას ვერ დავიმსახურებთ. თუნდაც, ყველა ტურნირში ჩვენ გავიმარჯვოთ. ანრი ფანტასტიკური ფორვარდია. მისი ტექნიკა და ფიზიკური შესაძლებლობები მთელი მსოფლიოს აღფრთოვანებას იმსახურებს. რა თქმა უნდა, ტრანსფერის გაჩარხვა არ იქნება იოლი. "არსენალის" მესვურების დათანხმება რთულია, მაგრამ "ბარსელონისთვის" შეუძლებელი თითქმის არაფერია. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს თავად ტიერის პოზიცია ითამაშებს. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ მას "კამპ ნოუზე" თამაში სურს."*

ვერ გეტყვით, ბეგირისტაინი სარწმუნო წყაროებში რას გულისხმობდა. შესაძლოა, ის **სესკ ფაბრეგასის** ამასწინანდელი განცხადებით აპელირებდა. აი, რას ამბობდა "არსენალის" ახალგაზრდა კატალონიელი ნახევარმცველი: *"ვერ წარმომიდგენია, "ბარსელონას" უარი როგორ უნდა უთხრა. თუ კატალონიელები სერიოზულად მოინდომებენ, არ მგონია, მიზანს ვერ მიაღწიონ. დანამდვილებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ტიერი ანრის "ბარსა" უზომოდ მოსწონს. მან ეს პირადად მითხრა. კატალონიურ გრანდზე ხშირად მეკითხება და ყოველთვის გაფაციცებითა და უდიდესი სიამოვნებით მისმენს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანრის "არსენალი" გულწრფელად უყვარს. ჩვენმა გუნდმა მას ყველაფერი მისცა, რაც კი გააჩნია. ამიტომ, "ბარსას" მესვეურებმა მოლაპარაკებისას დელიკატურობა უნდა გამოიჩინონ. თუ ტიერი დაინახავს, რომ "არსენალს" უპატივცემულოდ ეპყრობიან, "კამპ ნოუზე" გადაბარგებისგან შორს დაიჭერს თავს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ "მეთოფეების" ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებენ და მათ მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდას დათანხმდებიან, საქმე მნიშვნელოვნად გაადვილდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩემს თანაკლუბელს "ბარსელონა" უზომოდ მოსწონს. მისი აზრით, კატალონიური გრანდის ტრადიციები და სტილი აღმაფრთოვანებელია."*

შეუძლებელია, ფაბრეგასი ტყუოდეს. როგორც ჩანს, ანრის მართლაც ძალიან მოსწონს "ბარსა". ასე რომ არ იყოს, ბეგირისტაინი პრესკონფერენციაზე ფრანგი ფორვარდის შესახებ სიტყვასაც არ დაძრავდა. თავად განსაჯეთ, ახლა საარჩევნო კამპანია არ არის, რომ გენერალურ დირექტორს პოპულიზმით სოსიოების მხარდაჭერის მოპოვება სურდეს. "ბარსელონასთან" დაახლოებული მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხელმძღვანელობამ ფრანგი სუპერ ფორვარდი უპირველეს სამიზნედ გაიხადა. ისინი მთელ ძალისხმევას ამ ტრანსფერის გაჩარხვისკენ მიმართავენ. შესაძლოა, ამის ბრალიც იყოს, რომ კატალონიელებმა **ფრენკ ლემპარდის** შეძენაზე ხელი ჩაიქნიეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ისევ და ისევ, სენიორ ბეგირისტაინის განცხადებას გაგაცნობთ: *"ლემპარდი ექსტრაორდინალური ნახევარმცველია. ის შეტევასა და დაცვაში ერთნაირად ძლიერია, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ მის შეძენას არ ვაპირებთ. "ბარსას" შუახაზი საკმაოდ კარგადაა დაბალანსებული. თავად განსაჯეთ, ამ პოზიციაზე ისეთი ფეხბურთელები გვყავს, როგორებიც დეკუ, ჩავი და ინიესტა არიან. გარდა ამისა, "ბარსელონისთვის" ცნობილი გახდა, რომ ლემპარდი "ჩელსის" შეფებს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თითქმის შეუთანხმდა. გადავწყვიტეთ, ჩვენი დრო, ფინანსური და ფიზიკური რესურსი სხვა მიმართულებით გამოვიყენოთ. მოკლედ, ლემპარდს არ ვყიდულობთ. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს "ბარსას" ოფიციალური პოზიციაა."*

ილია ნიკოლაიშვილი

მიროსლავ კლოზე

გერმანულმა მედიამ ბუნდესლიგის გასული სეზონის უმთავრეს იმედგაცრუებად მიროსლავ კლოზე მონათლა. გერმანელები ძალიან ნერვიულობენ იმის გამო, რომ ბუნდესთავდამსხმელს ურთულესი პერიოდი აქვს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი შანსია, მომავალი სეზონი მიროს კარიერაში უმძიმესი გამოდგეს.

ბუნდესლიგა. სეზონის იმედგაცრუება

მიროს მძიმე წელიწადი

ზღაპრული ზაფხულიდან ერთი წლის შემდეგ: კლოზეს უსტვენენ

არადა, **მიროსლავ კლოზესთვის** ეს სეზონი შესანიშნავად დაიწყო - მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდებითა და ახალი რანგით - მირო გაიზარდა და მსოფლიო დონის ფორვარდად ჩამოყალიბდაო, წერდნენ ჩვენი გერმანელი კოლეგები მუნდიალის შემდეგ. ზღაპრულ ზაფხულს კი ჯოჯოხეთური გაგრძელება მოჰყვა. თუმცა გერმანიის ჩემპიონატის პირველ წრეში ბუნდესბომბარდირმა იმედები არავის გაუცრუა და 15 თამაშში 10 გოლი გაიტანა, რაც მისაღები კი არა, ძალიან კარგი შედეგი გახლდათ. საერთოდ, ბუნდესლიგის პირველი წრე "ვერდერმა" მთლიანად ჩინებულად ჩაატარა და, რა თქმა უნდა, მიროც გამორჩეული გახლდათ. მაგრამ მერე დაიწყო მეორე წრე და კლოზესაც კრიზისი დაეწყო, ისევე, როგორც მთელ "ვერდერს". 28 წლის ფორვარდმა მოულოდნელად დაკარგა ის სიმსუბუქე, რაც მუნდიალზე და სეზონის პირველ ნახევარში ყველასგან და ყველაფრისგან გამოარჩევდა. დაკარგა ქილერის ინსტიქტი და საგოლე აღღოცა. ბუნდესლიგის მეორე წრის თითქმის ყველა შეხვედრაში თავდაუჯერებელი იყო და არსებობს ეჭვი, რომ თავი უამრავი პრობლემით ჰქონდა გამოჭედილი. ამბობენ, პირად ცხოვრებაში შეექმნა პრობლემებიო, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი ამას არ ადასტურებს. მოკლედ, მეორე წრეში მირომ მხოლოდ 3 გოლი გაიტანა და რვამატჩიანი უგოლო სერიაც გამოაცხო. საბოლოოდ კი, 13 გოლი დააგროვა, რაც დაგვეთანხმებით, რომ თავდამსხმელისთვის, რომელმაც წინა სეზონში 25 გოლის გატანა შეძლო, მერე კი მუნდიალზე გატანილი 5 გოლით ამ ტურნირის ბომბარდირი გახდა, ძალიან ცოტაა.

ამ ყველაფერს "ბაიერნის" ხელმძღვანელებთან ამას წინათ გამართული საიდუმლო მოლაპარაკებებიც დაერთო. და აი, აქ ჩაიჭრა მირო ყველაზე მეტად, რადგან სწორედ ამ მოლაპარაკებებმა გაუფუჭა ურთიერთობა "ვერდერის" ფანებთან. თუკი ამ შემთხვევამდე "მუსიკოსთა" გულშემატკივრები მაინც მხარდაჭერას უცხადებდნენ და ტრიბუნებზე ასეთი შინაარსის ტრანსფარანტებს უფენდნენ, - *"მირო, შენთან ვართ!"* - "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰაინესთან** შეხვედრის ამბის გახმაურების შემდეგ, "ვეზერშტადიონზე" უკვე სულ სხვა შინაარსის ტრანსფარანტები ვიხილეთ - *"რიგითო თერთმეტო, ახლავე მოგვშორდი, ასე ფულს მაინც მივიღებთ!"* ამავდროულად, "ვერდერის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გულშემატკივრები თავიანთ აზრს უფრო მკვეთრად გამოხატავდნენ და ფეხბურთელს, რომელიც ერთი წლის წინათ მათთვის ყველაფერი იყო, ჰაინესთან იმ ერთი შეხვედრის გამო მიწასთან ასწორებდნენ.

შესაძლოა, დღეს ძალიან ნანობს, "ბაიერნის" შეფებს საიდუმლოდ რომ შეხვდა, მაგრამ უკვე გვიანია. ფაქტი ის გახლავთ, რომ ამ ყველაფრის ფონზე, მისი ბრემენში დარჩენა უკვე გამორიცხულია. შესაბამისად, რჩება მხოლოდ ერთი ვარიანტი - "ბაიერნი". არადა, მუნდიალის შემდეგ ამბობდა, თუ "ვერდერს" დავტოვებ, მაშინ არც გერმანიაში დავრჩებიო. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას "ბაიერნის" გარდა აღარავინ უხმობს. იყო "ბარსელონისა" და "იუვენტუსის" დაინტერესება, თანაც ძალიან სერიოზული. მაგრამ ვერც "ბარსა" და ვერც "იუვე" ვერ გარისკავენ ისეთი თავდამსხმელის ყიდვას, რომელმაც მეორე წრეში მხოლოდ 3 გოლი შეაგდო. კატალონიისა და ტურინის ვარიანტი ახლაც რეალური იქნებოდა; კლოზეს მთელი სეზონი სტაბილურად რომ ჩაეტარებინა. არადა, ბრემენშიც აღარ დაედგომება. ამიტომაცაა, "ბაიერნის" შეფები კმაყოფილებისგან ხელებს რომ იფშვნეტენ. მათ კლოზე უნდათ. უნდათ და სჭირდებათ, რადგან კლოზე და **ლუკა ტონი** - სეზონის წინ თავდასხმის ამ დუეტის წარდგენა რეკორდმისტერისთვის დიდად საამაყო იქნება.

"ბაიერნის" პრეზიდენტის, **ფრანც ბეკენბაუერის** აზრით, კლოზეს კრიზისის უმთავრესი მიზეზი მოსალოდნელი ტრანსფერია. აშკარაა, რომ მიროს გული სწყდება მომხდარის გამო - შესაძლოა, ვერ გათვალა, რომ ბოლოს მისით დაინტერესებული გრანდების სია ისე გაიცხრილებოდა, რომ მხოლოდ "ბაიერნი" დარჩებოდა. თუმცა ბეკენბაუერს მოვუსმინოთ: *"გუნდებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. ჩემი აზრით, ჰაინესი და ალოფსი ახლავე უნდა შემოუსხდნენ მაგიდას და მიროს შესახებ დაილაპარაკონ. ჩემთვის იდეალური ვარიანტი ის იქნება, რომ კლოზე "ბაიერნში" ახლავე გადმოვიდეს. ჩვენ ის ძალიან გვჭირდება,"* - აცხადებს კაიზერი. მოგეხსენებათ, ხვალ გერმანიის ნაკრები ჰამბურგში სლოვაკეთს მასპინძლობს. დიდი შანსია, რომ "აოელ-არენის" პუბლიკამ კლოზეს უსტვინოს. მიზეზი ისაა, რომ **იოახიმ ლიოვი** სასტარტო შემადგენლობაში მაინც მიროს დააყენებს, **მარიო გომესს** კი, რომელიც ჩინებულ ფორმაშია და მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, სკამზე დასვამს. ბეკენბაუერი ბუნდესგულშემატკივრებს მოუწოდებს: *"გაიხსენეთ, თუ რაოდენ დიდი სიამოვნება და სიხარული მოგვანიჭა კლოზემ მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუ როგორ გააბედნიერა მთელი გერმანია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მირო ზღაპრული ზაფხულის უმთავრესი გმირი იყო და ნუ დაგავიწყდებათ, რომ არა მისი გოლი არგენტინასთან, მუნდიალის ნახევარფინალში ვერ გავიდოდით. ნუ დაუსტვენთ კლოზეს, ის ამას არ იმსახურებს!"*

გუშინ მირომ "ზუდდოიჩე ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში **ტორსტენ ფრინგსს** პასუხი გასცა. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ კლოზეს "ვერდერის" დატოვება და "ბაიერნში" გადასვლა უნდა და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა წავიდეს, არაფერში გვჭირდებაო.

"ვინც ტორსტენს იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ საითაც ქარი დაუბერავს, იქით მიექანება ხოლმე. ფრინგსს შეუძლია, დღეს ერთი თქვას, ხვალ კი აბსოლუტურად საპირისპირო ამტკიცოს. როცა "იუვენტუსთან" საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მე არაფერი მითქვამს. და საერთოდ, ამ თემაზე კრინტიც არ დამიძრავს. შესაბამისად, უსიამოვნოა, როცა ის ჩემს შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, მის სიტყვებს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს," - ამბობს კლოზე ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში. ეს კი უკვე სერიოზული დაპირისპირებაა.

ერთი სიტყვით, დღეს მირო სლოვაკეთთან ითამაშებს და როგორც ამბობს, დარწმუნებულია, რომ ბუნდესგუნდში 271-წუთიან უგოლო სერიას შეწყვეტს. უკანასკნელად მან სან მარინოსთან საშინაო მატჩში იხეირა, შეხვედრაში, რომელიც ბუნდესგუნდმა 13:0 მოიგო. კვირას ლიოვმა შეგირდებს 14-დან 24 საათამდე თავისუფალი დრო მისცა და იმ დროს, როცა სხვა ფეხბურთელებმა ჰამბურგის კლუბები მოიარეს, კლოზემ მანქანა იქირავა და ბრემენში ოჯახის მოსანახულებლად ჩავიდა...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

ტრეზეგე ამ კვირაში გადაწყდება

"იუვენტუსი" **დავიდ ტრეზეგესთან** მოლაპარაკებებს გამართავს. ამ შეხვედრამ ფეხბურთელის მომავალს უნდა მოაფინოს ნათელი. ფრანგ თავდამსხმელს ტურინული კონტრაქტი გაისად უმთავრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავიდს ახალი სამსახურის მოძებნა არ ასცდება. "იუვემ" ეს-ესაა ახალი მწვრთნელი დანიშნა. **კლაუდიო რანიერის** უმოკლეს დროში სურს იმ ფეხბურთელთა ვინაობის გარკვევა, ვისთანაც თანამშრომლობა მოუწევს. ტურინელთა გენერალური დირექტორი **ჟან კლოდ ბლანი** ამბობს: *"ტრეზეგეს უახლოეს დღეებში შეხვდებით და ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავთ. მწვრთნელის დანიშვნამდე მოლაპარაკებების შეწყვეტა ვარჩიეთ. ახლა, როცა რანიერი ჩვენთანაა, აღარაფერი გვიშლის ხელს, რათა გუნდის დაკომპლექტება დავასრულოთ."*

რა მოხდება, თუ ტრეზეგე წასვლას გადაწყვეტს? იტალიური სააგენტოების ცნობით, "ქალბატონს" მისი შემცვლელი უკვე შეგულებული ჰყავს. ესაა "აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი **კლაას იან ჰუნტელაარი**. 23 წლის ფეხბურთელმა ნიდერლანდების პირველობაზე შარშან 33 გოლი გაიტანა, წელს – 23. განიხილება უდინელი **ვინჩენცო იაკუინტას**, მილანელი **ალბერტო ჯილარდინოსა** და რეჯინელი **როლანდო ბიანკის** კანდიდატურებიც. "ქალბატონმა" ახალი სეზონისათვის უკვე სამ ფეხბურთელს გააფორმა კონტრაქტი – აიაქსელ **ზდენეკ გრიგერას**, ბაიერნელ **ჰასან სალიჰამიჯიჩსა** და ჯენოელ **დომენიკო კრიშიტოს**.

დავიდ ტრეზეგე

ეს საინტერესოა

მკურნალობა ვარსკვლავურად

ბექჰემმა იაპონურ მეთოდს უფასო რეკლამა გაუკეთა

დევიდ ბექჰემი ზურგის ტრავმას სახელგანთქმული იაპონელი ექიმის, **კენზო კასეს** მეთოდით მკურნალობს. მას სახელად კინესიოს პლასტირი ჰქვია. ბატონმა კასემ თავისი გამოგონება 1970-იან წლებში დააპატენტა. მადრიდის "რეალმა" კი ამ მეთოდის გამოყენება ერთი წლის წინათ დაიწყო და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. სპორტსმენი მტკივან კუნთზე საგანგებო ტექნოლოგიით დამზადებულ პლასტირს იკრავს. ის კუნთს ელასტიურობას მატებს და ტკივილს აქრობს. კინესიოს პლასტირმა სპორტის სამყაროში დიდი აღიარება მოიპოვა, რიგითმა ევროპელებმა კი მას მხოლოდ გასულ პარასკევს ინგლისი-ბრაზილიის მატჩის შემდეგ მიაქციეს ყურადღება. მიაქციეს იმიტომ, რომ ის დევიდ ბექჰემს ეკრა. როცა გალაქტიკომ მაისურა გაიძრო, ოპერატორებმა და ფოტოგრაფებმა მსხვილი კადრით აჩვენეს მის ზურგზე მიკრული ვარდისფერი პლასტირი. მეორე დღეს უკლებლივ ყველა გაზეთში დაინერა ინფორმაცია ამ ჯადოსნური სამკურნალო საშუალების შესახებ. ინგლისის აფთიაქებში კინესიოს პლასტირზე მოთხოვნა არნახულად გაიზარდა. ბექჰემმა ამ პროდუქტს გრანდიოზული რეკლამა გაუკეთა.



დევიდ ბექჰემი

ნიუკასლი

დინი ჯორდების დირექტორად

ვიდუკას შემდეგ ბარტონი, ელერდაისის ამბიციებს ბოლო არ უჩანს...

სემ ელერდაისი

"არსენალის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **დევიდ დინი**, შეიძლება, "ნიუკასლის" აღმასრულებელ დირექტორად დანიშნონ. "სანის" ინფორმაციით, მას ჯორდების პოტენციური მეპატრონე **მაიკ ეშლი** შეხვდა და თანამშრომლობა შესთავაზა. ეშლი კლუბის მართვაში აქტიურ მონაწილეობას არ აპირებს. მას "ნიუკასლიში" დინის რანგის პროფესიონალი სჭირდება, რომელიც პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციებს შეითავსებს. ასე შემთხვევაში თამაშგარეში დარჩება კლუბის დღევანდელი თავმჯდომარე **ფრედი შეპერდი**, თუმცა შეპერდს ისედაც ემუქრება "სენტ ჯეიმსიდან" აბარგება. **სერ ჯონ ჰოლის** მიერ აქციების შეძენის შემდეგ, მისტერ ეშლი მის ხელთ არსებულ პაკეტსაც უმიზნებს და ზაფხულის ბოლომდე "ნიუკასლის" დასაკუთრებას გეგმავს. ეს სიამოვნება მას 100 მილიონ გირვანქაზე მეტი დაუჯდება.

ჯორდებმა **მარკ ვიდუკას** ტრანსფერი სრულყვეს. "მიდლსბროს" ყოფილმა თავდამსხმელმა ჯორდებს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. ის ამჟამად შვებულებაში იმყოფება, მოგვიანებით კი ავსტრალიის ნაკრებს შეუერთდება და აზიის თასზე ითამაშებს. "ნიუკასლში" გადასვლას აპირებს "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი**, რომელმაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უთვალავი სკანდალით გაითქვა სახელი. ჯორდების ახალ მწვრთნელ **სემ ელერდაისს** მისი უხასიათობა ოდნავადაც არ ანაღვლებს. მან 5.5 მილიონი გირვანქა გაამზადა. სამედიცინო შემოწმების გავლისთანავე ბარტონი ჯორდებთან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

ელერდაისის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ფიორენტინის" მცველმა **ტომაშ უიფალუშიმ** ინგლისში გადასვლა მოისურვა. მას დაუყოვნებლივ შეეხმიანნენ "ნიუკასლი" და "ფულჰემი". **ლუკა ტონის** ტრანსფერისას ფლორენციელებმა უიფალუში "ბაიერნს" შესთავაზეს. როგორც ჩანს, მათ ფეხბურთელის მოშორება სურდათ. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. და კიდევ, ელერდაისი "პარი სენ ჟერმენს" დაუკავშირდა და კიდევ ერთი ჩეხი მცველი **დავიდ როზენალი** მოიკითხა. როზენალს დორტმუნდის "ბორუსიაც" ეპატიჟება. მის საკითხს უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი.

ლეგენდარული მწვრთნელი

გი რუ დაბრუნდა

ოსერის პატრიარქი ორ სეზონს ლანსში გაატარებს

ლეგენდარულმა **გი რუმ** "ლანსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 68 წლის სპეციალისტი **ფრანსის გიიოს** ადგილს დაიკავებს. ამ უკანასკნელმა თანამდებობა ათი დღის წინათ დატოვა. მისმა შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვეს და მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. ეს შედეგი წარუმატებლობად შეფასდა. *"შეიძლება, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თავს ჩინებულად ვგრძნობ. ჩემთვის ასაკი პრობლემა არ არის,"* - დასძინა მოსიე გიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე. საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის კანონმდებლობით, მწვრთნელის მაქსიმალური ასაკი 65 წელია. იურიდიულად გი რუს "ლანსის" გაძღოლის უფლება არ აქვს. ამიტომ მას მთავარი მწვრთნელი არ ერქმევა. ხანდაზმულ სპეციალისტს მრჩევლის რანგში მიინვევენ. სინამდვილეში კი კლუბის საქმეებს მთლიანად მას ჩააბარებენ იმ იმედით, რომ "ლანსს" უკეთესი შედეგები ექნება.

რუმ მთელი კარიერა "ოსერს" მიუძღვნა. მან ბურგუნდიულ კლუბში 45 წელი გაატარა, აქედან 24 წელი დამრიგებლის რანგში. მან უბრალო პროვინციული კლუბი ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად გადააქცია. 1996 წელს "ოსერმა" პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ამას გარდა, ოთხჯერ დაეუფლა საფრანგეთის თასს და 14-ჯერ იასპარეზა ევროპულ ტურნირებში. გი რუ კლუბს 2005 წელს გამოეთხოვა და ტელეკომენტატორობას მიჰყო ხელი. მაგრამ გულმა არ მოუთმინა და "ლანსის" შეთავაზებას დაუფიქრებლად დათანხმდა.

მოსალოდნელი დანიშვნა

ულივიერი ლივორნოში

"ლივორნოს" ახალ მწვრთნელად, შეიძლება, **რენცო ულივიერი** დაინიშნოს. კლუბის პრეზიდენტი **ალდო სპინელი** დროებით დამრიგებელ **ფერნანდო ორსის** შეხვდა. მიმომხილველებს ეჭვი ეპარებათ, რომ ეს უკანასკნელი ხანგრძლივ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. განიხილებოდა **ემილიანო მონდონიკოს** კანდიდატურაც, მაგრამ ულივიერი ყველაზე რეალურად მოჩანს: ის ლივორნოელია და რაც მთავარია, მისი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებები მთლიანად ემთხვევა ამ ქალაქის მკვიდრთა შეხედულებებს. ეს კი გულშემატკივართა მხარდაჭერის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ულივიერის დანიშვნის შემთხვევაში, კაპიტანი **კრისტიანო ლუკარელი** "ლივორნოსთან" ხელშეკრულებას გააგრძელებს. 31 წლის თავდამსხმელს "რეჯინის" ბოსი **ლილიო ფოტი** ეპატიჟება. სერია A-ში ულივიერის დებიუტი 1980 წელს "პერუჯაში" შედგა. სხვადასხვა დროს მას "სამპდორიაში", "კალიარიში", "მოდენაში", "ვიჩენცაში", "ნაპოლიში", "ბოლონიაში", "პარმასა" და "პადოვაში" უმუშავია. 2006 წლის მარტში ის "ბოლონიაში" დააბრუნეს, მაგრამ აპრილში, სტუმრად "ჯენოასთან" 0:3 დამარცხებას გადაყვა.

სისე: არსენალი თუ ბოლტონი?

"არსენალი" **ჯიბრილ სისეთი** დაინტერესდა. ფრანგი თავდამსხმელი "ლივერპულის" საკუთრებაა. მან გასული სეზონი იჯარით "მარსელში" გაატარა. თავდაპირველად მარსელელებს ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება სურდათ, მაგრამ არცთუ ისე შთამბეჭდავი თამაშის გამო სისეს სამსახურზე უარი თქვეს. ჯიბრილს "ლივერპულში" დაბრუნება მოუხდება, თუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ახალ სამსახურს ვერ იშოვის. "მეთოფეების" დაინტერესების შესახებ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. ამბობენ იმასაც, რომ "ბოლტონი" ლივერპულელებს ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას შესთავაზებს. ბოლტონელები შეიძლება საუკეთესო თავდამსხმელ **ნიკოლა ანელკას** გამოეთხოვონ. ანელკას იდეალურ შემცვლელად კი სისე მიაჩნიათ.

მარინო: კატანიიდან უდინეში

"უდინეზემ" დაადასტურა, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალბერტო მალეზანის პასკუალე მარინო** შეცვლის. ამ უკანასკნელმა "კატანიაში" მუშაობით გაითქვა სახელი. გასულ ზაფხულს, 20-წლიანი პაუზის შემდეგ, მან მოკრძალებული კლუბი სერია A-ში გადაიყვანა. წელს კი ჩემპიონატის ბოლო ტურში "კიევოს" მოუგო და შეგირდებს უმაღლეს დივიზიონში შეუნარჩუნა ადგილი. მარინომ ფრიულელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 44 წლის სპეციალისტმა სამწვრთნელო კარიერა სერია D-ს "მილაცოში" დაიწყო. შემდეგ "პატერნო" სერია D-დან სერია C1-ში გადაიყვანა. "ფოჯა" სერია C-დან სერია B-ში აღაზევა და იმავე ლიგაში "არეცოში" მუშაობაც მოასწრო. "კატანიაში" მიღწეული წარმატებები ზემოთ ვახსენეთ. სინიორ პასკუალეს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება.

კალიარის ულტიმატუმი ინტერს

"კალიარიმ" "ინტერს" 24 საათი მისცა **დავიდ სუაზოს** ტრანსფერის სრულყოფისათვის. 24 წლის ჰონდურასელმა თავდამსხმელმა სეზონი 14 გოლით დაასრულა. მილანელებს მასთან კონტრაქტი გასული კვირის მინურულს უნდა გაეფორმებინათ, მაგრამ მოლაპარაკებებს ბოლო არ უჩანს. სარდინიელთა პრეზიდენტ **მასიმო ჩელინოს** კი მოთმინება ამოეწურა და გარიგების ჩაშლით იმუქრება. "ინტერი" კალიარელებს 5 მილიონ ევროს და რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს სთავაზობს. ჩელინო 7 მილიონსა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მცველებს, **მარკო ანდრეოლისა** და **რობერტო აკვაფრესკას** ითხოვს. მილანელები ანდრეოლის გაშვებას გამორიცხავენ.

არგენტინას ავსტრალიაში ელოდებიან

11 სექტემბერს ავსტრალია არგენტინასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრას მელბურნის "კრიკეტ გრაუნდი" უმასპინძლებს. თავდაპირველად თამაში 6 ივნისისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ "ალბისელესტემ" საუკეთესო შემადგენლობა ვერ შეკრიბა, ამიტომ მისი გადადება ითხოვა. ავსტრალიელებმა მეტოქის თხოვნა დიდსულოვნად გაითვალისწინეს. გასულ უქმეებზე გუნდებს დრო უქმად არ დაუკარგავთ: სოკერუებმა სიდნეიში ურუგვაის უმასპინძლეს და 1:2 დამარცხდნენ, ხოლო არგენტინელები შვეიცარიაში ჩავიდნენ და იქაურებთან 1:1 ითამაშეს.

გალამ ფელდკამპი აირჩია

"გალამასარაის" მთავარ მწვრთნელად 73 წლის გერმანელი სპეციალისტი **კარლ ჰაინც ფელდკამპი** დაინიშნა. მან სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ვეტერანი დამრიგებლის მიწვევა ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მაგრამ სტამბოლურ გრანდში ფელდკამპი კარგად ახსოვთ. ის კლუბს 90-იანი წლების დასაწყისში წვრთნიდა და 1992 წელს თურქეთის ჩემპიონობაც მოაგებინა. მას "ბეშიქთაშშიც" უმუშავია. გერმანულ კლუბთაგან კი "კაიზერსლაუტერნს" (1978-82), "დორტმუნდსა" (1982-83) და "აინტრახტს" (1987-88) ავარჯიშებდა.

ატლეტიკოდან ინგლისში

"ტოტენჰემი" "ატლეტიკოს" ბულგარელი ნახევარმცველით, **მარტინ პეტროვით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას თვითონ ფეხბურთელი ავრცელებს. მადრიდიდან შევსების მიღება გადაწყვიტა პრემიერლიგის კიდევ ერთმა კლუბმა "ევერტონმა". მან "ატლეტიკოს" ცენტრალური მცველი **პაბლო იბანიესი** მოიკითხა და 10 მილიონი ევრო გაამზადა. ესპანელებს მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიეგო მილიტოსთან

პრიმერა დივიზიონის ბედი ჩვენზეა დამოკიდებული

არგენტინელი ფორვარდი იმ გულშემატკივრებს ამშვიდებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სამეფო კლუბი ბოლო ტურის შეხვედრებს აწყობს. სარაგოსელი ამბობს, ჩაწყობა გამორიცხულია, ჩვენი კლუბის პრესტიჟს ჩრდილს არ მივაყენებთო...

მორცხვი, გულახდილი, თავმდაბალი, ჩუმი და საქმიანი - ეს ის ეპითეტებია, რომლებითაც ჟურნალისტები დიეგო მილიტოს ამკობენ. და მაინც, მისი ნამდვილი მეტსახელი "კილერია". დიახ, სარაგოსელი მკვლელი. არგენტინელ ფორვარდს ეფექტური გოლებით არაერთი გუნდი დაუმნუხრებია. მათ შორის, მადრიდის "რეალიც". თამამად შეიძლება.ითქვას, რომ დიეგო მილიტოზე ახლა მთელი კატალონია ლოცულობს. მოგეხსენებათ, მომავალ უქმეებზე სამეფო კლუბი არაგონში ჩავა და "სარაგოსასთან" პრიმერა დივიზიონის ფინალად შერაცხულ შეხვედრას ჩაატარებს. "ბარსელონას" ჩემპიონობისთვის მასპინძელთა წარმატება სჭირდება. ვიქტორ ფერნანდესის ბიჭებმა "რეალს" მინიმუმ ორი ქულა უნდა დააკარგვინონ. ბარსელონაში ალჟირის წინააღმდეგ არგენტინის ნაკრებში სათამაშოდ ჩასულ დიეგო მილიტოს "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი შეხვდა. ჩვენმა კატალონიელმა კოლეგამ დაადგინა, რომ მილიტო დედაქალაქურ გრანდთან მატჩს მოუთმენლად ელის და გამარჯვების დიდი იმედიც აქვს. "ბარსას" ფანებს სხვა არც არაფერი სჭირდებათ...

- რამდენიმე დღეში წლის მატჩის გამართვა მოგიწევთ. ესპანეთში ამ თამაშის გარდა, არაფერზე საუბრობენ. "სარაგოსა" - "რეალმა" "სელექსიონიც" კი დაჩრდილა.

- რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მართლაც ასეა. ძალიან მიკვირს, რომ ესპანეთის ნაკრების მატჩის დღესაც კი, მთავარ თემად "სარაგოსისა" და სამეფო კლუბის მოახლოებულ დაპირისპირებას აშუქებდნენ. ეს ციებ-ცხელება, რა თქმა უნდა, ჩვენც გადმოგვედო. მე და ჩემი თანაგუნდელები ვაცნობიერებთ, რომ პრიმერა დივიზიონის ბედი ჩვენზეა დამოკიდებული. მადრიდელებს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე შეხვედრა ელით. სიმართლე ითქვას, მოტივაციის ნაკლებობას არც ჩვენ განვიცდით. იმისთვის, რომ უეფას თასის საგზური გავინაღდოთ, მოგება გვჭირდება. გეთანხმებით, "ლა რომარედაზე" წლის მატჩი გაიმართება. გულშემატკივრებს პირობა მივეცით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა აქტივს სამი ქულა შევმატოთ. ვფიქრობ, ეს გადამწყვეტი მომენტი იქნება ჩვენს წლევანდელ ცხოვრებაში.

- არგენტინის ნაკრებში გამოძახებით ლეო მესისა და ხავიერ სავიოლასთან შეხვედრის საშუალება მოგეცათ. თქვენს თანამემამულეებს "სარაგოსის" წარმატება სჭირდებათ. საინტერესოა, რომელიმე მათგანს თხოვნით ხომ არ მოუმართავს, რომ სამეფო კლუბთან თავი არ დაზოგოთ?

- პრიმერა დივიზიონის დასკვნითი ორთაბრძოლები საფუძვლიანად განვიხილეთ. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, დარჩენილ შეხვედრებზე გავამახვილეთ ყურადღება. ყველამ იცის, რომ "ბარსელონა", "რეალი", "სევილია" და "სარაგოსა" ბოლო წამამდე იბრძოლებენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- მესისა და სავიოლას არაფერი უთხოვიათ? მომიტევეთ, რომ მეორედ გეკითხებით, მაგრამ ეს თქვენი ბრალია. წინა კითხვას ამომწურავად არ გაეცით პასუხი...

- არა, ლეოსა და "ბაჭიას" არაფერი უთხოვიათ. იციან, რომ არ არის საჭირო. რატომლაც ყველა "რეალზე" საუბრობს. ის კი ავიწყდებათ, რომ გამარჯვება "სარაგოსასაც" სჭირდება. ჩვენ მხოლოდ სამ ქულაზე ვფიქრობთ. ასე რომ, მესისა და სავიოლას თხოვნის აუცილებლობა არ გააჩნიათ (იცინის). "ბარსასა" და "სარაგოსის" ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.

- რამდენიმე დღის წინათ მესიმ მთელი სერიოზულობით განაცხადა, მოწინააღმდეგეები ფეხებში განზრახ მირტყამენო. ეთანხმებით მას?

- ცხადია. მესის მართლაც ბევრს და უმოწყალოდ ურტყამენ, მაგრამ აქ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. ლეოს შეუძლია, ერთ წამში ოთხი მეტოქე მოატყუოს და გოლი გაიტანოს. მის მოწინააღმდეგეებს ერთადერთი ვარიანტი რჩებათ - უხეშობა. ლეო იმდენად სწრაფია, მცველებს ძალიანაც რომ სურდეთ, უჯარიმოდ ვერ გააჩერებენ.

- წარსულს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ "რეალთან" თამაში საუცხოოდ გამოგდით. შარშან ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრებში სამეფო კლუბს ოთხი გოლი გაუტანეთ.

- შარშან მართლაც ძალიან გამიმართლა. ისტორიული შეხვედრა ჩავატარეთ. "ლა რომარედაზე" სამეფო კლუბს 6:1 მოვუგეთ. ალბათ, ნებისმიერი ადამიანი დამეთანხმება, რომ მადრიდელებს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. მიუხედავად ამისა, "რეალმა" განმეორებით შეხვედრაში სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. "სანტიაგო ბერნაბეუზე" იმდენად კარგად ითამაშეს, კინაღამ გათამაშებას გამოგვთიშეს. როგორც გახსოვთ, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მათ, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი ბურთი დააკლდათ. წლევანდელ მატჩს შარშანდელთან, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არ ექნება. ყველაფერი თავიდან დაიწყება. კიდევ ერთხელ მოგვიწევს იმის დამტკიცება, რომ "სარაგოსა" ძლიერი და თავმოყვარე კლუბია. კარგი იქნება თუ გოლის გატანას ისევ შევძლებ, თუმცა მთავარია, გუნდმა მოიგოს. თანახმა ვარ, სამ ქულას თუნდაც რომლიმე მადრიდელის ავტო გოლით მოვუყაროთ თავი.

- როგორც ვატყობ, ეგოისტ ფორვარდთა კატეგორიას არ განეკუთვნებით...

- მართალი ხართ. ჩემთვის პირადი მიღწევები მეასე ხარისხოვაია. დიეგო მილიტოსთვის გუნდის ინტერესებზე მაღლა არაფერი დგას. ღმერთმა ქნას, სამეფო კლუბს მოვუგოთ და უეფას თასის საგზურს დავესაკუთროთ. ჩემი აზრით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, გოლს ვინ გაიტანს. მთავარია, მოვიგოთ. ცხადია, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ იკერ კასილიასს მაქსიმალური პრობლემები შევუქმნა.

- გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "ბარსელონა" თავიდან ბოლომდე "სარაგოსაზეა" დამოკიდებული. არადა, სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინათ კატალონიური გრანდი პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი იყო. რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის ფრანკ რიიკაარდის შეგირდების კრიზისული მდგომარეობა?

- სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ბარსელონა" სეზონის მიწურულს პირველობას დათმობდა. "ბეტისთან" მატჩში უყურადღებობა ძალიან ძვირად დაუჯდათ. პარალელურად, მადრიდის "რეალმა" კრიზისი დაძლია და ზედიზედ რამდენიმე თამაში მოიგო. ამ ყველაფრის შედეგად, პრიმერა დივიზიონმა უდიდესი ინტრიგა შეიძინა. მიხარია, რომ ახლა მთელი ესპანეთის ყურადღება არაგონისკენაა მოპყრობილი. ვფიქრობ, მცირე უპირატესობას ვფლობთ, რადგან "სარაგოსა" საკუთარ სტადიონზე ითამაშებს. მასპინძლის სტატუსს ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

- საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სამეფო კლუბი ჩემპიონობისთვის ყველა საშუალებით იბრძვის. მათ შორის, მიუღებლითაც...

- თუ თამაშების ჩაწყობა იგულისხმება, არ მგონია, ეს მართალი იყოს. ყოველ შემთხვევაში, "სარაგოსასთან" ასეთი რამ არავის გაუვა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძვით. ასეც რომ არ იყოს და ქულები საერთოდ არ გვჭირდებოდეს, კლუბის პრესტიჟს ჩრდილს არ მივაყენებდით. მოკლედ, ნურავინ დაეჭვდება, ჩაწყობა გამორიცხულია. ბოლო წამამდე ვიბრძოლებთ. დიდი იმედი მაქვს, რომ უეფას თასის საგზურის მოპოვების საქმეში დიდ წარმატებას მივაღწევთ.

- "სარაგოსის" პრეზიდენტს მოტივაციის გასაზრდელად არაფერი გაუკეთებია?

- პრემიალურ თანხებთან დაკავშირებულ კონტრაქტს ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე მოვაწერეთ ხელი. ასე რომ, პრეზიდენტს არც არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი.

- სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ "რეალს" ქულებს დააკარგვინებთ, ხოან ლაპორტა "სარაგოსის" თითოეულ ფეხბურთელს 50 ათას ევროს გადაგიხდით. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- (იცინის) ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. "ბარსა" ჩვენზეა დამოკიდებული და მზადაა მოტივაციის ამაღლების მიზნით, ჯიბეზე ხელი გაიკრას. სიმართლე გითხრათ, მოტივაციის ნაკლებობა ამ თანხის გარეშეც არ დაგვემუქრებოდა, მაგრამ რადგან ასე სურთ, წინააღმდეგები არ ვართ. საბანკო ანგარიშზე დამატებით 50 ათასი ევროს ჩარიცხვა არავის აწყენს.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებენ თქვენი თანაგუნდელები რუუდ ვან ნისტელროის შეჩერებას?

- ის დიდი ფორვარდია, მაგრამ "სარაგოსას" ნებისმიერი მოწინააღმდეგის გაუვნებელყოფა შეუძლია. დარწმუნებული ვარ, ვან ნისტელროის "ლა რომარედაზე" გოლის გატანის საშუალებას არ მივცემთ. მოკლედ, ასეა თუ ისე, გულშემატკივრები უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლას იხილავენ.

ილია ნიკოლაიშვილი

დიეგო მილიტო მადრიდელებთან გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება

ხალიდ ბულარუზი

ბაიერნი. ტრანსფერები

თაიმსი: ბულარუზი მიუნხენში მიდის

მაკაის მშობლიური მიწა უხმობს, მაგრამ როის ესპანეთი ან საფრანგეთი ურჩევნია...

როი მაკაის "ბაიერნში" დარჩენა არ უწერია. ჰოლანდიური გამოცემა "ტელეგრაფი" იტყობინება, რომ 32 წლის თავდამსხმელს "ფეიენოორდი" და "ეინდჰოვენი" უხმობენ და რომ დიდი შანსია, მაკაი სამშობლოში დაბრუნდეს. თუმცა "კიკერი" გვამცნობს, რომ თვითონ ფეხბურთელს კარიერის გაგრძელება ესპანეთში ან საფრანგეთში ურჩევნია. როის ბავარიულ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, მაგრამ იმის გამო, რომ რეკორდმაისტერმა უკვე გადაბირა **ლუკა ტონი** და თითქმის გადაწყვეტილია, რომ "ბაიერნს" **მიროსლავ კლოზეც** მიიშურებს, მაკაის მიუნხენურ გიგანტში მომავალი აღარ აქვს. ასეთი შემთხვევაში, ჰოლანდიელს სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოუწევს, რაც, ცხადია, არ უნდა. ცნობილია, რომ მას "ლიონი" ეპატიჟება და რომ მისით რამდენიმე ესპანური კლუბიცაა დაინტერესებული. მოკლედ, ერთი რამ ცნობილია: თუ კლოზე "ბაიერნში" გადავა, მაკაი მიუნხენს დატოვებს. ხოლო, თუ ბავარიელებს კლოზეს ტრანსფერი არ გამოუვათ, მაშინ ჰოლანდიელს კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე შეინარჩუნებენ. შეგახსენებთ, რომ როიმ, ვისაც ჰოლანდიის ნაკრებში 39 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგის გასულ სეზონში 16 გოლის გატანა შეძლო. მიუხედავად ამისა, რეკორდმაისტერის ბოსები მისით უკმაყოფილოები არიან.

ამ დღეებში "ბაიერნისგან" "ჩელსის" მცველის, **ხალიდ ბულარუზის** დაინტერესების შესახებ ვწერდით. ისიც გაცნობეთ, რომ ბავარიელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰაინესი** თავის ლონდონელ კოლეგებთან მოლაპარაკებების გამართვას გეგმავდა. გუშინ ინგლისურმა გამოცემა "თაიმსმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ბაიერნი" და "ჩელსი" ბულარუზის ტრანსფერზე შეთანხმდნენ და რომ ჰოლანდიელი მცველი ბუნდესლიგაში ბრუნდება. "თაიმსის" ცნობით, ლონდონური კლუბის ბოსებმა მიუნხენელ კოლეგებს თანხმობა განუცხადეს და მზად არიან, ბულარუზი "ბაიერნს" 5.2 მილიონ ევროდ მიჰყიდონ.

25 წლის უკანახაზელი, რომელსაც მეტსახელად "კანიბალს" უწოდებენ, "ჩელსიში" ზუსტად ერთი წლის წინათ, "ჰამბურგიდან" გადავიდა. მაშინ "არისტოკრატებმა" HSV-ს 13 მილიონი ჩაუთვალეს. ბულარუზმა პრემიერლიგაში, სასტარტო შემადგენლობაში, მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა. ხალიდს "ბაიერნში" ძველი მეწყვილე და მეგობარი, **დანიელ ვან ბუიტენი** დახვდება. შარშანდელ ზაფხულამდე "ჰამბურგის" დაცვის ცენტრს სწორედ ვან ბუიტენი და ბულარუზი წარმოადგენდნენ და შესანიშნავ დუეტსაც ქმნიდნენ.

ბრაზილიის ნაკრები. ინტერვიუ კარლოს დუნგასთან

ნიჭი და შავი სამუშაო ერთმანეთს უნდა შევუხამოთ

ახალგაზრდა ბრაზილიელი მწვრთნელის ამოცანა ერთიანი გუნდის შექმნაა, სადაც ვარსკვლავები საერთო საქმეს მოემსახურებიან...

ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკისადმი მზადების ევროპული ნაწილი დაასრულა. ინგლისსა და თურქეთთან ჩატარებული ამხანაგური მატჩების შემდეგ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა - კარლოს დუნგამ, ალბათ, გონებაში უკვე მოხაზა იმ შემადგენლობის კონტურები, რომელიც ვენესუელაში სათამაშოდ გაემგზავრება და რომელშიც არ იქნებიან ბრაზილიური ფეხბურთის ლიდერები - კაკა და რონალდინიო.
ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, "უემბლიზე", ინგლისისა და ბრაზილიის ნაკრებების ამხანაგური მატჩის შემდეგ არის აღებული. მასში დუნგა ნაკრებში დამკვიდრებულ მისეულ პრინციპებსა და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე საუბრობს.

- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის თამაშს ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში?

- პირველ რიგში, კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩემმა შეგირდებმა ხასიათის სიმტკიცე და თავდადება გამოავლინეს. მართალია, ლონდონური დაპირისპირება მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ ის საკმაოდ ხისტი ორთაბრძოლებით აღინიშნა და დაძაბულობით, ოფიციალურ შეხვედრას მოგაგონებდათ. ნებისმიერი დონის მატჩში წაგებას ვერ ვიტან და ამიტომაც ძალიან გამიხარდა, როცა ანგარიში გავათანაბრეთ. ეს მნიშვნელოვანი იყო როგორც საბრძოლო სულის ასამაღლებლად, ასევე პრესტიჟის მხრივაც. ხანდახან, წაგებაც სასარგებლოა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ იქნებოდა. წინ კოპა ამერიკაა, სადაც ურთულესი ბრძოლები გვაქვს გადასატანი - ინგლისთან შეხვედრა ამ მხრივადაც წაგვადგება. ჩემმა ბიჭებმა უნდა შეიგნონ, რომ ბრაზილიას ლამაზი თვალებისა და წარსული დიდებისთვის გამარჯვებას არავინ აჩუქებს. მოგება ოფლითა და სისხლით მიიღწევა და ძველი დამსახურებებით. ამიტომაც ვაკეთებ აქცენტს ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე.

რა თქმა უნდა, ბრაზილიელი ფეხბურთელების ნიჭიც არ უნდა დაგვავიწყდეს, მადლობა ღმერთს, ამ მხრივ პრობლემა არასოდეს გვქონია. ჩვენი ამოცანაა - ტალანტი და შავი სამუშაო შევუხამოთ ერთმანეთს, მაშინ ყველაფერი წესრიგში იქნება. ბრაზილიის ნაკრებში ბრძოლასა და გამარჯვებებზე დაგეშილი, მოტივირებული ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ. ყველა არ არის ნაჩვევი ამგვარ მიდგომას, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი არავის პატიობს თვითდაჯერებულობასა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას.

- ინგლისის ნაკრებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- თამაშის წინ, ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ინგლისელთა რიგებში ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი იყო. მაგრამ, მე მგონია, რომ სწორედ ის შემადგენლობაა ოპტიმალურთან ყველაზე მეტად მიახლოებული, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ ითამაშა. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქემ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ისე კი, ინგლისი ყოველთვის უხერხულ მეტოქედ დარჩება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის საკუთარ მოედანზე თამაშობს.

- დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ინგლისელთა რიგებში დევიდ ბექჰემის დაბრუნებამ...

- ჩემი გაგებით, ინგლისის დღევანდელი ნაკრების ნამდვილი ლიდერები - სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლემპარდი არიან. ამ უკანასკნელმა ჩვენს წინააღმდეგ არც ისე წარმატებულად ითამაშა, მაგრამ ამის გამო, მის შესახებ ჩემს დადებით აზრს არ შეივიცვლი. ჯერარდმა კი, ამჯერადაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. სწორედ ეს ორი ფეხბურთელი და აგრეთვე ჯონ ტერი ითვლებიან დღეს ინგლისის ნაკრების მთავარ ძალად.

რაც შეეხება ბექჰემს, სტანდარტული მდგომარეობების შესრულების მხრივ, ის, ალბათ, საუკეთესოა მსოფლიოში. თანამედროვე ფეხბურთში "სტანდარტებს" უდიდესი როლი ენიჭება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი, ვინც მას კარგად ასრულებენ, გუნდის ვარსკვლავებად უნდა ჩავთვალოთ. უბრალოდ, გავითვალისწინოთ ის, რომ თუ ბექჰემი კარგად ურტყამს საჯარიმოებს, შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, არ დავჯარიმდეთ საკუთარი კარის სიახლოვეს. ეს მკვეთრად დაადგებს ინგლისის ნაკრების შეტევით პოტენციალს. თავად ბექჰემის წინააღმდეგ კი, ჯარიმის გარეშე ხისტი თამაშია საჭირო. მაშინვე დაინახავთ, რომ მისი ბრძოლისუნარიანობა სწრაფად დაიწევს. ლემპარდს და ჯერარდს ამით ვერ შეაშინებ, ბექჰემი კი, სხვა ყაიდის მოთამაშეა. ინგლისის ნაკრებს სიმბოლო სჭირდება და ამ როლს დევიდი კარგად ასრულებს, მაგრამ მინდორზე სათამაშოდ ფეხბურთელები გადიან და არა სიმბოლოები. ასე რომ, ბექჰემისგან მონსტრის შექმნა საჭირო არ არის.

- როგორც თქვით, თანამედროვე ფეხბურთში სტანდარტული მდგომარეობები დიდ როლს თამაშობს. "უემბლიზე" თქვენი გუნდის ვარჯიში ჟურნალისტებისთვის ღია იყო და იქ დავინახეთ, რომ "სტანდარტების" გათამაშებას საკმაოდ დიდი ხანი დაუთმეთ. ეს იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ინგლისის ნაკრებთან გიწევდათ შეხვედრა?

- არა. ჩვენ ყოველთვის დაწვრილებით განვიხილავთ შეტევით და დაცვით მოქმედებებს სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების დროს. გოლი, რომელიც ინგლისის ნაკრებისგან გავუშვით, ზედმიწევნით იქნება შესწავლილი. მან დაგვანახა, რომ დაცვაში კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. თუმცა, იმასაც აღვნიშნავ, რომ მეეჭვება საჯარიმოებისა და უზუსტესი ჩაწოდებების მხრივ, ჩვენი მომავალი მეტოქეების რიგებში დევიდ ბექჰემის მსგავსი ოსტატი მოიძებნოს.

- ინგლისთან მატჩის დროს, თქვენ გამუდმებით ვიღაცასთან გქონდათ სატელეფონო კონტაქტი. თუ საიდუმლო არ არის, ვის ესაუბრებოდით?

- ჟორჟინიოს. მე მოედანთან ახლოს ვდგავარ, ის ტრიბუნაზე ზის და ჩვენ ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ. ჟორჟინიო მეხმარება, უკეთ შევიგრძნო თამაში, უფრო კარგად გავერკვიო იმ მოვლენებში, რაც მინდორზე ხდება. თუმცა, მუდმივი დიალოგი მატჩის დროს არა მარტო მასთან, არამედ ჩვენს ექიმთან - პაულუ პაიშუსთანაც მაქვს. თუ მე რომელიმე მოთამაშის მდგომარეობიდან რაიმე ნიუანსი გამომრჩება, ის მაშინვე გაამახვილებს ამაზე ჩემს ყურადღებას. რა თქმა უნდა, მინდორზე ყველანაირ ტაქტიკურ ცვლილებებსა და შეცვლებს მხოლოდ მე ვახორციელებ, მაგრამ მზად ვარ, ჩემი შტაბის ყველა რჩევა მოვისმინო და ხშირ შემთხვევაში, დავუჯერო კიდეც მას.

- ცნობილია, რომ თქვენ არც ისე ხშირად მოგზაურობთ, მთელს მსოფლიოში გაბნეული ბრაზილიელი ლეგიონერების თამაშების სანახავად...

- ამგვარი მოგზაურობები ძალიან დიდ დროს წაიღებს. გარდა ამისა, რა საჭიროა მატჩებზე დასწრება, როცა არსებობს ინტერნეტი და ვიდეოჩანაწერები. თანაც, მსოფლიოს ბევრ ადგილას პირადი თანაშემწეები მყავს და მათგან ვიღებ ინფორმაციებს - მზად არის თუ არა ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრებში სათამაშოდ. მატჩებზე ჩემი დასწრება ბევრს არაფერს მოიტანს. მე ვალდებული ვარ, ყველაფერი გავიღო მოთამაშეებთან ურთიერთობისას საწვრთნელ შეკრებებსა და ამხანაგური მატჩებისას, დანარჩენი დრო კი, მთელი მსოფლიოდან მიღებული ზღვა ინფორმაციის შესწავლას მიაქვს. ამასთან, როცა ნაკრების ფეხბურთელები კლუბებში თამაშობენ, ისინი მთლიანად საკლუბო საქმეებით არიან დაკავებულნი და ჩემთვის არ სცალიათ. ამიტომაც, ვამჯობინებ ყველას შესახებ ინფორმაცია შევაგროვო და ბიჭებთან ურთიერთობა შეკრებების დროს ვიქონიო.

- როგორ უყურებთ იმას, რომ კოპა ამერიკაზე ბრაზილიის ნაკრების ორი მთავარი ვარსკვლავი - კაკა და რონალდინიო არ ითამაშებს?

- ამ ფეხბურთელებმა გვთხოვეს, მათთვის დასვენების საშუალება მიგვეცა. ამ საკითხზე უკვე ორივეს ვესაუბრე, მაგრამ არ მინდა, დიალოგის დეტალები პუბლიკის სამსჯავროზე გამოვიტანო. არსებობს საკითხები, რომელიც გუნდის შიდა ურთიერთობის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. ამიტომაც, კაკასა და რონალდინიოსთან მიმართებაში შექმნილ სიტუაციას კომენტარს არ გავუკეთებ. მით უმეტეს, რომ წინ კოპა ამერიკას მატჩებია და ზედმეტ ლაპარაკს, ამ ტურნირისთვის მზადება მირჩევნია. უნდა გავერკვიო იმაში, თუ როგორი იქნება ვენესუელაში გასამგზავრებელი საბოლოო შემადგენლობა. ამ მხრივ, ინგლისსა და თურქეთთან მატჩები დიდ სამსახურს გაგვიწევს. თურქების წინააღმდეგ, ალბათ, არ ითამაშებენ კაკა და რონალდინიო, სამაგიეროდ საქმეში ვნახავთ დიეგოს, აფონსო ალვეშს, ელანოს, ჟოს...

- შეუძლია კი, ბრაზილიის დღევანდელ ნაკრებს კაკასა და რონალდინიოს გარეშე წარმატებით თამაში?

- საკითხი არასწორად არის დასმული. ისინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის შედიან და, რა თქმა უნდა, ნაკრების ლიდერებად ითვლებიან. როცა ეს მოთამაშეები კარგ ფორმაში არიან, მათ მინდორზე ყოფნის პრიორიტეტული უფლება აქვთ. მაგრამ, ახლა ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ კოპა ამერიკაზე ძირითადი ტვირთი და პასუხისმგებლობა სხვა ფეხბურთელებს დაეკისრებათ. ამიტომაც, მათთან მიმართებაში არასწორი იქნება, თუ კაკასა და რონალდინიოს შეუცვლელ ფეხბურთელებად მოვიხსენიებთ. არ შეიძლება, ბრაზილიის ნაკრების ბედი ცალკეულ ფეხბურთელებზე ეკიდოს. ის ერთიანი კოლექტივი უნდა იყოს, სადაც ვარსკვლავები არა განცალკევებული ცხოვრებით ცხოვრობენ, არამედ თავიანთ ნიჭს გუნდის კეთილდღეობას ახმარენ.

ხოლო იმისთვის, რომ არ იფიქროთ, თითქოს ეჭვი შემაქვს კაკასა და რონალდინიოს ნიჭიერებაში, სავსებით გულახდილად გეტყვით: რონალდინიო გენიალური მოთამაშეა, მას ღმერთისგან ბოძებული ნიჭი აქვს და ასეთები ცოტანი თუ მოიძებნებიან ფეხბურთის ისტორიაში. მართალია, რონალდინიომ ინგლისთან არც ისე კარგი თამაში აჩვენა, მაგრამ ორი-სამი ისეთი ნომერი ჩაატარა, რომ არ შეიძლებოდა აღფრთოვანებაში არ მოსულიყავი. რაც შეეხება კაკას, ჩემი აზრით, წლეულს ის "ოქროს ბურთს" იმსახურებს და ბედნიერი ვიქნები, თუ მილანელი ამ აღიარებას მოიპოვებს.

კარლოს დუნგა

ბრაზილიის ნაკრები დუნგას ხელმძღვანელობით

16.08.2006.	ოსლო. ნორვეგია-ბრაზილია	1:1
03.09.2006.	ლონდონი. ბრაზილია-არგენტინა	3:0
05.09.2006.	ლონდონი. ბრაზილია-უელსი	2:0
10.10.2006.	სტოკჰოლმი. ბრაზილია-ეკვადორი	2:1
15.11.2006.	ბაზელი. შვეიცარია-ბრაზილია	1:2
06.02.2007.	ლონდონი. ბრაზილია-პორტუგალია	0:2
24.03.2007.	გიოტებორგი. ბრაზილია-ჩილე	4:0
27.03.2007.	სტოკჰოლმი. ბრაზილია-განა	1:0
01.06.2007.	ლონდონი. ინგლისი-ბრაზილია	1:1

სულ: 9 მატჩი - 6 მოგება; 2 ფრე; 1 წაგება; ბურთები: 16-6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკო მატერაცი

მოსალოდნელი ტრანსფერი

მატერაცი შალკეში?

მარკო გუნდესლიგაში გადასვლაზე უარს არ იტყოდა...

"შალკეს" ხელმძღვანელები იმედგაცრუებულები არიან იმის გამო, რომ მიუხედავად ჩინებული შანსისა, გელზენკირხენულმა კლუბმა კვლავ ვერ შეძლო "ვერცხლის სინის" მოპოვება. გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** პირდაპირ ამბობს, რომ "შალკე" სატრანსფერო ბაზარზე ძალიან გააქტიურდება და რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს გადაიბირებს, რომელთა მეშვეობითაც გელზენკირხენული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თავს არ შეირცხვენს.

"ჩვენი მიზანია, რომ გუნდი აბსოლუტურად ყველა პოზიციაზე გავაძლიეროთ," - აცხადებს მიულერი. ჩვენს გერმანელ კოლეგებს თუ დავუჯერებთ, "შალკემ" არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონ **მარკო მატერაცის** დაუმიზნა. "შპორტ-ბილდი" წერს, რომ "ინტერის" მცველი "შალკეს" სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა. ამ ინფორმაციას იტალიელი ჟურნალისტებიც ადასტურებენ. "გაძეტა დელო სპორტი" გვამცნობს, რომ გელზენკირხენული და მილანური გუნდების ბოსებს შორის პირველი მოლაპარაკებები უკვე გაიმართა. "გაძეტა" წერს, რომ "ინტერს" მატერაცისთან გამოთხოვება სურს.

"ჯერ არ ვიცი, რა იქნება მომავალში და სად გავაგრძელებ კარიერას, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი: გერმანიაში გადასვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს," - უთქვამს მატერაცის "გაძეტა დელო სპორტისთვის".

ბეტისი 60 მილიონად

"ბეტისი" სერიოზულ კრიზისშია. მართალია, სევილიური კლუბი გასავარდნ ზონაში არ იმყოფება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე უძლიერესთა ლიგაში ადგილი გარანტირებული არ აქვს. ბუნებრივია, გულშემატკივრები ძალიან უკმაყოფილოები არიან. აღშფოთებას სოსიოებიც ვერ მალავენ. შეძრწუნებულმა საზოგადოებამ "ბეტისის" მფლობელს, **მანუელ რუის დე ლოპერას** ღია ბრძოლა გამოუცხადა. ხალხი მის წასვლას ითხოვს. აქამდე საქმე ძალიან რთულად იყო. რუის დე ლოპერა არა არჩეული პრეზიდენტი, არამედ აქციათა საკონტროლო პაკეტის, ანუ კლუბის მფლობელი გახლავთ. ერთ-ერთ უმდიდრეს ესპანელ ბიზნესმენს გულშემატკივრების მოთხოვნები სასაცილოდაც არ ყოფნიდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სენიორ მანუელმა საკუთარი წილის გაყიდვა გადაწყვიტა. საქმე აქციათა 51 პროცენტს ეხება. რუის დე ლოპერას თქმით, ამ აქციათა ხელში ჩაგდების შანსი აბსოლუტურად ყველა ადამიანს აქვს. საკმარისია, 60 მილიონი ევრო გადაიხადონ, რომ ის "ბეტისის" ცხოვრებას სამუდამოდ ჩამოშორდება. ერთი შეხედვით, ეს არ არის კოლოსალური თანხა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ 1992 წელს ანდალუსიური კლუბი მან სულ რაღაც 6 მილიონად შეიძინა.

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგბი

IRB-ის ერთა თასი

მოგებული რეპეჭიცია

5 ივნისი. ბუქარესტი

საქართველო-ნამიბია 26:18

საქართველო: (15-9) ბარკალაია (ურჯუკაშვილი 41), შკინინი, გიგაური, კაჭარავა, ელოშვილი, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 49); (1-8) მაგრაქველიძე (ჟღენტი 41), დადუნაშვილი, ხინჩაგიშვილი (სბ 70), დიდებულიძე (სბ 38, მჭედლიშვილი 47), დათუნაშვილი, სუთიაშვილი (ზ. მაისურაძე 41), ურუშაძე, ჩხაიძე - *3ლ (მაგრაქველიძე 2, ურჯუკაშვილი) გ,2ს,ა: კვირიკაშვილი*

ნამიბია (სასტარტო) (15-9) ლოსპერი, ვითბუი, ბოუთსი, პაული, აფრიკა, ვესტჰოიზენი, იანჩრისი; (1-8) რედლინგჰუისი, ჰორნი, ფისერი, სენეკალი, ესტერჰუისი, ნიუვენჰუისი, დუპლესი, ბურხერი - *2ლ (ფისერი, ვესტჰოიზენი) - გ: ლოსპერი, 2ს: ვესტჰოიზენი*

ოთარ ელოშვილის შეტევა

საქართველოს ნაკრებმა IRB-ის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრაში ნამიბია 26:18 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ნამიბიელები მსოფლიო თასზე ბორჯღალოსნების მეტოქეები არაიან D ჯგუფში.

საქართველოს ნაკრებს რუმინეთში ძირითადი შემადგენლობის ათამდე მოთამაშე აკლია, მაშინ როცა ნამიბიელებმა თითქმის ყველა საუკეთესოს უხმეს. ამდენად ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია და იმედს გვაძლევს, რომ მსოფლიო თასზეც უნდა მოვუგოთ.

- გუნდმა ნორმალურად ითამაშა - გვითხრა სატელეფონო საუბრისას მატჩის შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა **მალხაზ ჭეიშვილმა - უპირატესობას მთელი თამაშის განმავლობაში ვფლობდით, რაც გამოვიყენეთ კიდეც. თუმცა მეტიც შეგვეძლო. შეტევისას ბევრჯერ დავკარგეთ ბურთი, რაც, რატომღაც, ჩვენი გუნდისთვის უკურნებელ სენად იქცა. მთავარი კი ისაა, რომ მეტოქეს, ფაქტობრივად, მატჩის მოგების შანსი არ მივეცით. შერკინებამ და უკანა ხაზმაც ერთნაირად კარგად ითამაშა, თუმცა იყო ხარვეზებიც. ახლა სამხრეთი აფრიკისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების თამაშს ვუყურებთ. აფრიკელებმა ძალიან ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეს. შემდეგი მატჩი 10 ივნისს სწორედ მათთან გვაქვს და სერიოზული გამოცდა გველის.**

თამაში თავიდანვე საქართველოს ნაკრების შეტევით დაიწყო და უკვე მესამე წუთზე ბორჯღალოსნებმა მგორავი მოლით მოწინააღმდეგის ლელოში შეაღწიეს. პირველი ლელო ბურჯმა **მამუკა მაგრაქველიძემ** მიითვალა. **მერაბ კვირიკაშვილმა** გარდასახვა ვერ გაიტანა - 5:0.

ნამიბიელებმა ორ წუთში საჯარიმოდან ანგარიში შეამცირეს, მე-12 წუთზე კი, **იუსტინ ვესტჰოიზენმა** თავისიანები ანგარიშში პირველად და უკანასკნელად დააწინაურა 6:5.

მე-18 წუთზე **მამუკა მაგრაქველიძემ** ანგარიშზე კიდევ ერთი ლელო მიითვალა. ბორჯღალოსნებმა მრავალფაზიანი შეტევა წამოინყეს, მიმართულების რამდენჯერმე ცვლით. ბოლო დარტყმა კი ისევ შერკინებამ ითავა და რაკიდან ამოღებული ბურთი მაგრაქველიძემ მეტოქის ლელოში გადაიტანა. კვირიკაშვილმა ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 12:6. მანვე ოთხ წუთში 35 მეტრიდან საჯარიმოც გაიტანა და ანგარიშში 9 ქულამდე გაზარდა 15:6.

ამის შემდეგ ნამიბიელთა შეტევა მათმა 140-კილოგრამიანმა ბურჯმა **მარიუს ფისერმა** ლელოთი დაასრულა, ვესტჰოიზენმა კი გარდასახვა ვერ გაიტანა - 11:15. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე შენარჩუნდა. დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი სახიფათო ბოჭვისთვის საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძე** გაასინბინეს.

მეორე ნახევრის დასაწყისი ისევ ბორჯღალოსნების იყო. 47-ე წუთზე ფულბეკ **ოთარ ბარკალაიას** ნაცვლად შესული **მალხაზ ურჯუკაშვილი** შეტევაში დროულად ჩაერთო და ლელოში შეაღნია. კვირიკაშვილმა გარდასახვა ვერ გაიტანა - 20:11.

ნამიბიელები დანებებას მაინც არ აპირებდნენ და შვიდ წუთში ვესტჰოიზენმა თითქმის მთელი ჩვენი უკანა ხაზი მოატყუა, გარდასახვა კი ფულბეკ **ტერტიუს ლოსპერს** დაუთმო და იმანაც არ დააღალატა - 18:20.

დარჩენილი 26 წუთი საქართველოს ნაკრებმა შესაშური მობილიზებითა და ტაქტიკურად გამართულად ითამაშა, ისე, რომ მოწინააღმდეგეს ერთხელაც არ მისცა მატჩის გდარჩენის იმედი. 64-ე წუთზე კვირიკაშვილმა 25 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა - 23:18.

გამარჯვების გარანტიას ეს სხვაობა იძლეოდა, მით უფრო, რომ 70-ე წუთზე მოედნიდან ათი წუთით **დავით ხინჩაგიშვილი** გააძევეს. ბორჯღალოსნებმა, რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, თამაშის დარჩენილი დრო მეტოქის მოედანზე გაატარეს და ბოლო წუთზე მერაბ კვირიკაშვილის არეკნით მეტოქეს პრემიალური ქულის აღებაც არ დაანებეს 26:18.

10 ივნისს ძალიან მძიმე მატჩი გველის სამხრეთი აფრიკის მეორე ნაკრებთან, რომელმაც მასპინძელი, რუმინეთი 61:7 გაანადგურა.

ბესიკ ჯანგავაძე

NATIONS CUP ROMANIA 2007

პირველი ტური

არგენტინა A-იტალია A 27:20

არგენტინა: 3ლ (ამელონგი, არაოსენა, როდრიგესი); 3ს,ა - ფერნანდესი

იტალია: ლ (სეპე); 4ს,ა (ორკერა)

რუმინეთი-ს. აფრიკა A 7:61

რუმინეთი (სასტარტო): (15-9) დუმიტრაში, ფერკუ, ბრეზოიანუ, დასკალუ, თეოდორესკუ, ტოფანი, კალაფეტიანუ; (1-8) ტოდერაშკი, ტინკუ, პაულიცა, ურსაკე, პეტრე, ტუდორი, რაციუ, კოროდიანუ - *ლ (პეტრე), გ (ვლაიკუ)*

აფრიკა: (15-9) ფორტუნი, ნდუნგანე, იაკო პრეტორიუსი, ბარიტი, ჩავანგა, გრანტი, ადამსი; (1-8) ფანდერმერვე, ბრიცი, ენდრიუზი, სტენკამპი, სკიტი, ფლორსი, ჩიბილიკა, მოკუენა - *8ლ (ბრიცი 2, ფლორსი 2, ჩავანგა, სკიტი, ფერმაკი, ერნსტი); 6გ,3ს (გრანტი)*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ს. აფრიკა A	1	1	0	0	+54	5
2.საქართველო	1	1	0	0	+8	4
3. არგენტინა A	1	1	0	0	+7	4
4. იტალია A	1	0	0	1	-7	1
5.ნამიბია	1	0	0	1	-8	0
6.რუმინეთი	1	0	0	1	-54	0

10 ივნისი. საქართველო- სამხ. აფრიკა A, არგენტინა A-ნამიბია, რუმინეთი- იტალია A

ჩვენები ფინალში არიან

საქართველოს ნაკრების ბურჯები გოდერძი შველიძე და დავით ზირაქაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ. მათმა გუნდმა "კლერმონმა" ნახევარფინალში მარსელის "ველოდრომზე" "ტულუზს" სძლია 20:15 და ახლა ფინალში "სენ დენიზე", შაბათს, "სტად ფრანსეს" დაუპირისპირდება.

ტულუზელები შეხვედრის მე-60 წუთამდე წინ იყვნენ 15:7 და სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, ძირითადად შერკინების ხარჯზე. თუმცა ამ დროიდან, რაც თამაშში არგენტინელი **მარტინ სკელეცოს** ნაცვლად **დავით ზირაქაშვილი** ჩაერთო, ვულკანების შერკინება უფრო მძლავრად და მწყობრად ამოქმედდა. საბოლოოდ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "კლერმონმა" გამარჯვება იზეიმა. **გოდერძი შველიძე** მატჩის განაცხადში არ იყო.

ნახევარფინალების პირველი შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგო" შინ დიდი ანგარიშით დამარცხდა **მალხაზ ურჯუკაშვილის** მომავალ გუნდ "ორიიაკთან" 6:47. ამ უკანასკნელმა ფაქტობრივად ფინალში გააღწია და მეორე დივიზიონის საგზურიც მოიპოვა. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნადირაძე 41-ე წუთზე შეცვალეს. მეორე ნახევარფინალში "ნიმმა" შინ მოუგო "ბლანიაკს" 18:9.

ფარიკაობა

როგორ ვუშველოთ ჩვენს სახეობას?

დიმიტრი გოგლიჩიძე

საქართველოში ფარიკაობას მძიმე დრო უდგას. ქართველმა მოფარიკაველებმა მთელი სკოლა შექმნეს, რომლიდანაც დღეს ნარჩენებია შემორჩენილი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია - ქართველი სპეციალისტები უცხოეთში მუშაობენ, საქართველოში კი ფარიკაობას ასე უჭირს.

დროის ულმობელმა დინებამ იმ სკოლის აღზრდილი არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი უკვალოდ გააქრო სპორტიდან, თუმცა ნანილი მაინც დარჩა და ახალგაზრდებთან ერთად შეუპოვრად ებრძვის დროის დინებას. ერთი მათგანი - **დიმიტრი გოგლიჩიძე რედაქციაშიც გვეწვია ფარიკაობის დღევანდელ პრობლემებზე სასაუბროდ.**

გოგლიჩიძე თავის დროზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონიც გახდა ახალგაზრდებში, წინ კიდევ უამრავი წარმატება ელოდა, მაგრამ ქვეყანა აირია და ისიც საქართველოთი შემოიფარგლა. იგი ქვეყნის 9-გზის ჩემპიონი და თასის ამჟამინდელი მფლობელია - შარშან, შემოდგომაზე მოიგო თასის გათამაშება. მის ანგარიშზე საერთაშორისო ტურნირების რამდენიმე მედალიცაა, უფრო ბევრის მოპოვებაში კი უსახსრობამ შეუშალა ხელი. დღეს გოგლიჩიძე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მუშაობს - კოტე კემულარიას პირადი დაცვის უფროსია, თუმცა საყვარელ საქმეს მაინც ვერ ელევა და მთელი სერიოზულობით ვარჯიშობს. იგი ნაკრების წევრი და სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლის კანდიდატია.

- ალბათ, უპრიანია, საუბარი ფარიკაობის მძიმე დღევანდელობით დავიწყოთ, რომელიც ნამდვილად არაა სახარბიელო...

- სამწუხაროდ, ფარიკაობა ძალიან „ჩავარდა", მაგრამ სპორტსმენების სურვილია, მას ისევ დავუბრუნოთ ძველი დიდება და ავიყვანოთ ადრინდელ სიმაღლეებზე. ვიმედოვნებთ, ამაში სახელმწიფოც დაგვეხმარება და თავის წვლილს შეიტანს. ახლახან საქართველოში იმყოფებოდა ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური, რომელიც 14 წელიწადია, ქუვეითში საქმიანობს. მისი სურვილია, სათავეში ჩაუდგეს აღორძინების პროცესს. საამისოდ მზადაა, დატოვოს უზრუნველყოფილი ცხოვრება ქუვეითში და დაბრუნდეს საქართველოში. მას თანადგომა და ხელშეწყობა ქვეყნის პრეზიდენტმაც აღუთქვა. ვიმედოვნებთ, ეს ყველაფერი რეალობად იქცევა.

- ანუ, თავად აფციაური თანახმაა, მიატოვოს ქუვეითი და საქართველოში დაბრუნდეს?

- ცხადია. საქართველოში მისი ბოლო ჩამოსვლის მიზანი ესეც იყო. მას ძალიან სურს ფარიკაობის აღორძინება, ჩვენც მივეხმარებით, სახელმწიფოს დახმარებისაც გვეიმედება და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. აფციაური არაა ბიზნესმენი, მაგრამ ძალიან დიდი კავშირები აქვს. 14 წელიწადია, ქუვეითში მუშაობს, ჰყავს უამრავი მეგობარი რუსეთში, საფრანგეთში, სხვა წამყვან ქვეყნებში. ვფიქრობთ, შეუძლია ფარიკაობის ფეხზე წამოყენება. მისი მეგობრები ყოფილი საკავშირო ნაკრებიდან სპორტში საქმიანობენ და მათი დახმარებისა ეიმედება. თუნდაც ინვენტარით დაგვეხმარონ, ესეც კარგი იქნება. ასეთი ადამიანი არ უნდა დავკარგოთ.

- სალიცენზიო ტურნირები როდის იწყება და რა პრინციპით ტარდება?

- შემოდგომაზე იწყება, როცა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება. იქ პეკინის ოლიმპიადის საგზურები პირდაპირ გაიცემა, მაგრამ ვინც ვერ მოიპოვებს, მათ შანსი სალიცენზიო ტურნირებში ისევ რჩებათ. თუმცა ჩვენთვის შესარჩევი ტურნირი მანამ ტარდება - სექტემბერში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელმაც საქართველოს ნაკრების წევრები უნდა გამოავლინოს.

- სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობის შანსი როგორია, გპირდებიან გუნდს დაფინანსებას?

- სავარაუდოდ, ევროპა-მსოფლიოზე დაგვაფინანსებენ, საერთაშორისო ტურნირებში კი ჩვენი ხარჯით თუ წავალთ. სამწუხაროდ, ფედერაციის ბიუჯეტი ამდენს ვერ გაწვდება.

- სამსახურისა და ვარჯიშის შეთავსებას როგორ ახერხებთ?

- სამსახური ყველანაირად მეხმარება და მიქმნის სავარჯიშო პირობებს. მეხმარებიან თავისუფალი დროის გამონახვაში, ინვენტარის შეძენაში, მაფინანსებენ შიდა ტურნირებში... მე ფიზიკურადაც ვვარჯიშობ, ეს კი მათ ინტერესებშიც შედის. თან, სამსახურის სახელით გამოვდივარ და ისინიც დაინტერესებულნი არიან ჩემი წარმატებებით.

- საერთაშორისო ტურნირებშიც ხომ არ დაგაფინანსებენ?

- ჯერ არ მქონია მაგაზე ლაპარაკი, რადგან უცხოეთში გასვლამდე საქართველოშია შესარჩევი ეტაპი, მაგრამ თუ წარმატებით ვიფარიკავებ, არც ეგაა გამორიცხული.

- რამდენადაც ვიცი, სერიოზული პრობლემებია ინვენტარის, ინფრასტრუქტურის, ბაზების მხრივ...

- ჩვენი დარბაზი ვაკეში დაანგრიეს და ახლა მის ნაცვლად ევროპული სტანდარტების შესაბამის, თანამედროვე ტიპის ბაზას აშენებენ. ამჟამად სპორტის დეპარტამენტში ვვარჯიშობთ.

ადრე, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოს ჩემპიონატში 120 სპორტსმენი გამოდიოდა, ახლა კი ყველაზე მრავალრიცხოვანი თასის შარშანდელი გათამაშება იყო, სადაც 44 მოფარიკავე გამოდიოდა და რომელიც მე მოვიგე. წინა წლებში, არეულობისას, მონანილეთა რაოდენობა ბევრად მცირე იყო. საბედნიეროდ, ბოლო 2-3 წელიწადია, სასიკეთო ძვრები შეინიშნება და ინტერესი გაჩნდა. კარგი ბავშვები მოდიან თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან... რუსთავში შედარებით უჭირთ, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ ძველ ტრადიციებს. უკვე ორჯერ ჩატარდა ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი და მაღალ დონეზეც...

ინვენტარი, განსაკუთრებით - ახალი, ჯერაც სერიოზული პრობლემაა. ძირითადად ძველი დროიდან შემორჩენილით ვვარჯიშობთ, ხოლო თუ გუნდი უცხოეთში მიდის, კი ჩამოაქვთ, მაგრამ ესეც ძვირია და შეძენაც ჭირს. მაგალითად, დაშნა დაახლოებით 50 ევრო ღირს. ამას მუზარადი, ჟილეტი, ფორმა დაუმატეთ - ერთი კომპლექტი 1500 დოლარამდე ჯდება... არადა, საერთაშორისო ტურნირებში კიდევ გაგიწევენ შეღავათს, მაგრამ ევროპა-მსოფლიოზე და სალიცენზიო ტურნირებზე მკაცრი კანონები მოქმედებს. ამიტომ თანამედროვე ინვენტარი ჩვენში მართლაც დეფიციტია. თან, ეს იარაღები ძალიან სწრაფად ვითარდება და მოწინავე სტანდარტებს სერიოზულად ჩამოვრჩით.

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

კიდევ კარგი, გოგონები მსაჯობენ...

თორემ რა დაასრულებდა საქართველოს ჩემპიონატს?

ნინო ელოშვილი (მარცხნივ) და ინა ჭკუასელი

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სპორტში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაუფასებელი პროფესია მსაჯობაა. რაც არ უნდა კარგი არბიტრები გყავდეს, მაინც გამორიცხულია, რომ მათით გუნდები თუ გულშემატკივრები მუდამ კმაყოფილები იყვნენ. თუკი პოსტსაბჭოურ ხანაში, ჩვენი არბიტრები მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგნენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენ ხელბურთში არბიტრების მწვავე დეფიციტი დადგა, რომლის სავალალო ნაყოფს დღემდე ვიმკით.

არცთუ შორეულ წარსულში, ქართული ხელბურთის გულშემატკივარს ემახსოვრება, რამდენი მატჩი თუ მთლიანად ჩემპიონატი ჩაშლილა იმის გამო, რომ გუნდებს მსაჯობა არ მოსწონდათ. ამასთან, არც არბიტრების ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო უცხო ხილი. საქმეს ვერც სომეხი და აზერბაიჯანელი მსაჯების ჩამოყვანა შველოდა – არც ისინი მოსწონდათ. შესაბამისად, ჩვენი "შავოსნები" ნელ-ნელა ჩამოეცალნენ ხელბურთს და საქმე კატასტროფამდე მიდიოდა. ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ალბათ, ერთადერთი სწორი გამოსავალი მონახა, როდესაც ეს საქმე მთლიანად გოგონებს გადაულოცა. მართალია, არც ქალ არბიტრებზე ამოსდით მზე და მთვარე ჩვენს ხელბურთელებს, მაგრამ ფაქტია, რომ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ჩემპიონატი ჩემპიონატს დაემსგავსა და ამაში დიდი როლი სწორედ ამ გოგონებმაც ითამაშეს.

დღეისთვის, სამი მოქმედი მსაჯი გვყავს – **ელენე არაბული, ინა ჭკუასელი** და **ნინო ელოშვილი**. არაბულს მუდმივი მეწყვილე არ ჰყავს, ელოშვილი და ჭკუასელი კი ბავშვობიდან ერთად მოდიან – სპორტშიც ერთ გუნდში იყვნენ და მსაჯობაც გვერდიგვერდ უხდებათ. ნინო 20 წლისაა, ინა კი მასზე ორი წლით უფროსია. სპეციალისტები მათ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

დღეისათვის გადავწყვიტეთ, ეს ორი ახალგაზრდა წარვუდგენოთ ჩვენს მკითხველს. ამას გარდა, ალბათ ისიც საინტერესო იქნება, როგორია მსაჯების თვალით დანახული საქართველოს ჩემპიონატი.

ნინო: ყოფილი ხელბურთელები ვართ. ინამ 1996 წელს დაიწყო ვარჯიში, მე კი სამი წლით გვიან მოვედი. ხელბურთი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, თამაშს რომ თავი დავანებეთ, გადავწყვიტეთ, მსაჯების სახით გაგვეგრძელებინა ამ სახეობაში მოღვაწეობა. თავდაპირველად, ბავშვთა პირველობებს ვემსახურებოდით, ეროვნულ ჩემპიონატში კი შარშანწინ, სეზონის ბოლო მატჩებიდან ჩავერთეთ.

ინა: რაც თავი მახსოვს, მე და ნინო სულ ერთ გუნდში ვართ. ხელბურთში ხომ ერთად ვიყავით და 2002-2003 წლებში, როცა ქალთა ხელბურთის ჩვენს ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარ იყო, დროებით გადავედით ფეხბურთში. "ნორჩ დინამოელში" ვვარჯიშობდით და არცთუ ურიგოდ ვთამაშობდით. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელ ქალთა ნაკრები რომ იქმნებოდა, იქ დაგვიძახეს, მაგრამ უარი ვთქვით.

- რატომ გადაწყვიტეთ ისევ ხელბურთში დაბრუნება?

ნინო: იმ დროს, საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში ახალი, ანუ ამჟამინდელი ხელმძღვანელობა მოვიდა, რომელმაც დაგვანახა, რომ რეალურად აპირებდა ქალთა ხელბურთის მიხედვას. მართლაც, ჩაატარეს საქართველოს ჩემპიონატი და ჩამოაყალიბეს ეროვნული ნაკრები, რომელმაც 2006 წელს, ბოსნიაში იასპარეზა "ჩელენჯ ტროფიზე" და მეოთხე ადგილი დაიკავა. იმ გუნდში, მეც ვთამაშობდი, ინა კი ელენე არაბულთან ერთად, მსაჯად გვახლდა.

ინა: ერთი წამითაც არ ვნანობთ, რომ ფეხბურთში არ დავრჩით. ჩვენი სტიქია უფრო ხელბურთი და დარბაზია, ვიდრე სტადიონი.

- რამდენად რთულია საქართველოს ჩემპიონატში მსაჯობა?

ნინო: თავიდანვე ვიცოდით, რომ იოლ საქმეზე არ მივდიოდით და ამას, გარკვეულწილად, შეგუებულებიც ვიყავით. მართლაც გვარიანად რთულია საქართველოს ჩემპიონატის განსჯა, მაგრამ არჩევანი უკვე გაკეთებულია და სიძნელეებს არ ვუფრთხით.

ინა: უშეცდომო ადამიანი არ არსებობს და ვერ ვიტყვი, რომ ხანდახან შეცდომები ჩვენც არ გვაქვს. თუმცა, ყველაფერი ჩვენმა ხელმძღვანელობამ უნდა შეგვისწოროს და არა მოთამაშეებმა თუ მწვრთნელებმა. უმჯობესია, მათ საკუთარ შეცდომებზე გაამახვილონ ყურადღება.

- სამწუხაროდ, მსაჯების შეურაცხყოფა საქართველოში ჩვეული ამბავია. ამ კუთხით რამდენად ხშირად გექმნებათ პრობლემები?

ნინო: საბედნიეროდ, ქალისადმი პატივისცემა ჯერაც შენარჩუნებული აქვთ. თუმცა, ხანდახან, მაინც ხდება გართულება. ამ დროს, სიტუაციის მიხედვით ვმოქმედებთ. თუ "გასატარებელია", ვატარებთ, თუ არადა, წითელ-ყვითელ ბარათები, მეტი რა გზაა...

ინა: ისე, თუ მოთამაშეს ან მწვრთნელს შინაგანი კულტურა არ გაჩნია, მისთვის არბიტრის სქესს საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა.

- საქართველოს ჩემპიონატში ვისთან გექმნებათ ხოლმე ყველაზე დიდი და ყველაზე ნაკლები პრობლემა?

ნინო: განსაკუთრებით უწესოს გამორჩევა გამიჭირდება. ისე, წლეულს ყველაზე დიდი ინცინდენტი შემექმნა "ქარიშხალას" მეკარე გიგა ტორონჯაძესთან. თუმცა, მატჩის შემდეგ მომიბოდიშა და იქვე შევრიგდით. ყველაზე წესიერი ადამიანი კი, ვინც ოდესმე მოედანზე მინახავს, არის "თბილისის" მოთამაშე ლევან გელაშვილი.

ინა: გელაშვილი ნამდვილად ძალიან კარგი ადამიანია. მისგან რაიმე წყენა, ფაქტობრივად, არ მახსოვს. აი, ამავე გუნდის მთავარ მწვრთნელ მამუკა მჟავანაძესთან კი ვერაფრით გამოვნახეთ საერთო ენა. როგორც უნდა ვიმსაჯოთ, ჩვენი არაფერი მოსწონს, სულ უკმაყოფილოა...

- საქართველოს გარდა, უცხოეთშიც გიმსაჯიათ. სად უფრო ადვილია მსაჯობა?

ინა: რა თქმა უნდა, უცხოეთში. ჩვენგან განსხვავებით, იქ თუ რაიმე ძალიან უხეში შეცდომა არ დაუშვი, არავინ გეკამათება, ნებისმიერ დასტვენაზე უხმოდ გემორჩილებიან. ამას გარდა, უცხოელები გაცილებით სწორ ხელბურთს თამაშობენ და მსაჯობა საკმაოდ ადვილია. ერთადერთი, რაც საზღვარგარეთ ცოტა არ იყოს, გვეხამუშება, სავსე ტრიბუნებია, რასაც საქართველოში მიუჩვევლები ვართ.

- სამომავლოდ, რა გეგმები გაქვთ?

ნინო: ივლისის ბოლოს, ნორვეგიაში მივდივართ, სადაც 20-წლამდელ ვაჟთა საკმაოდ სერიოზული საერთაშორისო ტურნირი უნდა განვსაჯოთ.

ინა: უფრო შორეულ მომავალში კი რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ნელ-ნელა გავიაროთ ყველა საფეხური, გავხდეთ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები და პლანეტის უძლიერეს შეჯიბრებებზე ვიმსაჯოთ. რაც არ უნდა მოხდეს, ამ პროფესიის გაყოლას ცხოვრების ბოლომდე ვაპირებ.

ჭკუასელსა და ელოშვილთან საუბრის შემდეგ, კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ხელბურთის ასოციაციის მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ ჩხარტიშვილს.

- ინა ჭკუასელი და ნინო ელოშვილი საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. რა თქმა უნდა, აკლიათ გამოცდილება, რის გამოც პატარ-პატარა შეცდომები აქვთ, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ეს შეცდომები არაა წინასწარ განზრახული. გამოცდილება კი ნელ-ნელა მოვა. სამწუხაროდ, მათ ხუთგუნდიან საქართველოს ჩემპიონატში სეზონში დაახლოებით 40-45 მატჩის მომსახურება უწევთ, რაც ძალიან ცოტაა. მსაჯი გაცილებით მეტ თამაშში უნდა გამოიწრთოს. თანაც, ჩემპიონატის დონე ცოტა უფრო მაღალი უნდა იყოს. ჩვენს ჩემპიონატში მატჩების უდიდესი ნაწილი საკმაოდ მდარე ხარისხისაა, სადაც მსაჯის გაზრდა ძნელია.

სამწუხაროდ, ჩვენს ჩემპიონატში თითქმის ყველა გუნდი მხოლოდ მსაჯებში ეძებს ნაგების მიზეზს. არ მახსოვს შემთხვევა, როცა რომელიმე მწვრთნელს უხეში თამაშის ან გაძევების შემდეგ, მოთამაშე დაეტუქსოს – მათი რისხვა მთლიანად მხოლოდ მსაჯებს ატყდებათ ხოლმე თავზე.

ამჟამად, მხოლოდ სამი არბიტრი გვყავს და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. რა თქმა უნდა, ვეძებთ ახალ კადრებს, მაგრამ აქ გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. კაცებიდან მსაჯობის დაწყება არავის უნდა, რადგან ყველამ იცის, რომ სანამ გამოცდილებასა და ავტორიტეტს შეიძენს, არაერთი შავი დღე ექნება გადასატანი. აგერ, წლეულსაც ამ გოგონების ნაცვლად, ვაჟებს რომ ემსაჯათ, არაერთი გვარიანი სკანდალი მოხდებოდა და შესაძლოა, ჩემპიონატი ვერც დაგვესრულებინა. რაც შეეხება სხვა გოგონებს, ზოგს მსაჯის მონაცემები არ აქვს, ზოგსაც სურვილი და ვართ ასე ძიებაში.

არადა, ჩემი ახალგაზრდობის დროს, ქართველი არბიტრები მუდამ საუკეთესოთა რიგებში ვიყავით. თუმცა, მაშინ სულ სხვა დრო იყო. არბიტრებს ზრდის მშვენიერი საშუალებაც ჰქონდათ და დისციპლინაც უმაღლეს დონეზე იდგა...

კობა ხატისაშვილი

ჭადრაკი



ზვიად იზორია

მესამე-მეოთხე ჩიკაგოში

ზვიად იზორიამ ჩიკაგოში ამჯერადაც ითამაშა და მის გარდა **მერაბ გაგუნაშვილმაც** მოსინჯა ძალა.

ტურნირი შვეიცარული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა. შემადგენლობა საკმაოდ სოლიდური იყო და ადგილობრივ დიდოსტატებთან ერთად, ევროპელებიც თამაშობდნენ. ყველაზე სახელოვანი იყო შვეიცარიელი **ვადიმ მილოვი**, რომელიც დიდ პროგრესს განიცდის და მსოფლიო ელიტას უახლოვდება - ფიდეს რეიტინგით მას 2 675 ქულა აქვს და 34-ეა მსოფლიოში.

მილოვმა ამერიკაშიც დაამტკიცა უმაღლესი კლასი და ტურნირის გამარჯვებული გახდა - 6 ქულა დააგროვა. ქართველებმაც არ ითამაშეს ცუდად - იზორიამ და გაგუნაშვილმაც მესამე-მეექვსე ადგილები გაიყვეს 5.5 ქულით; კოეფიციენტით კი მესამე ადგილი იზორიას ერგო, გაგუნაშვილს კი - მეოთხე. მეხუთეზე **ვალერი ავესტელოვი** გავიდა, მეექვსეზე კი - **სერგეი ერენბურგი**. ამათ უკან დარჩნენ დიდოსტატები **იან ელვესტი** და **დმიტრი გურევიჩი** - 5 ქულა.

იზორია და გაგუნაშვილი ორიოდ დღეში ფილადელფიაში გადაინაცვლებენ და იქაურ ღია ტურნირში ჩაებმებიან.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

ძირითადი ბადე პირველივე ცდაზე

რვათვიანი შესვენების შემდეგ, ჩოგბურთს დაუბრუნდა 18 წლის **სალომე ჩაჩხუნაშვილი** და პირველივე ტურნირში მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ურეიტინგო ჩოგბურთელმა რუმინეთის ქალაქ პიტეშტიში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გააღწია, მესამე და ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ქართველმა რუმინელ **დიანა ზაინეას** აჯობა, ორ სეტში სალომემ მხოლოდ ორი გეიმი დათმო - 6:0, 6:2. ძირითად ბადეში სალომეს კვლავ რუმინელი ეყოლება მეტოქედ, 18 წლის **ნიკოლეტა ბარა**.

გადაულახავი რუბიკონი

უკრაინის ქალაქ ჩერკასიში გრძელდება ფიუჩერსის სერიის ტურნირი (10 ათასი დოლარი) ჩოგბურთში. საკვალიფიკაციო ბადეში სამი ქართველი ჩაება, საქართველოს ჩემპიონი **გიორგი ჭანტურია** პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. მეორეში მას ნაკრების კიდევ ერთი წევრი **გიორგი ხრიკაძე** მიყვა. ხრიკაძემ უკრაინელ გლებ ალექსეენკოსთან წააგო - 3:6, 1:6. მეორე ნომრად განთესილმა **ნოდარ ითონიშვილმა** კი ეს წრეც გაიარა, მან რუსი ალექს ლიშენკო დაამარცხა - 6:3, 6:3. ძირითად ბადეში ვერც ითონიშვილი გავიდა, რადგან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში მან უკრაინელ მაქსიმ ბაკინინთან წააგო - 4:6, 6:3, 3:6. თითქმის ერთი კვირისწინანდელი განმეორდა, მაშინაც ჩერკასიში ითონიშვილმა ფინალური საკვალიფიკაციო წრე ვერ დაძლია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მარინე უთმელიძე

სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი მთამსვლელი ქალი, დამსახურებული მასწავლებელი, ტურიზმის წარჩინებული მოღვაწე, სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენოსანი მარინე უთმელიძე.

მ. უთმელიძე ქართველ მთამსვლელთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლებმაც წარმატებით განაგრძეს ლეგენდარული ალექსანდრა ჯაფარიძის დაწყებული საქმე. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა 1943 წელს პირველად შედგა ფეხი მყინვარნვერზე. მერე ალიოშა ჯაფარიძისა და კოტე ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით დალაშქრა მაილის, ორწვერის, ბანგურიანის, დონღუზორუნის, გალითაუსა და თეთნულდის მწვერვალები. თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფიზკულტურის კვლევით ინსტიტუტში. 1947 წელს უხელმძღვანელა ალპინისტურ ექსპედიციას მწვერვალ მახისთავზე. 1949-51 წლებში ურთულესი ასვლები განახორციელა კავკასიონის მწვერვალებზე. თორნიკე ტატიშვილთან, სარგის ცაიშვილთან და ჯუმბერ მეძმარიაშვილთან ერთად, მსოფლიოში პირველმა ქართველმა ქალმა, უშბის ორივე მწვერვალი დალაშქრა ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში. მუშაობდა ბავშვებთან, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენციკლობედიის აკადემიურ გამოცემაში. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ტურიზმის სამმართველო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე, ალპური კლუბის პრეზიდიუმის წევრი. მინიჭებული ჰქონდა სახალხო განათლების წარჩინებულისა და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდებები.

აი, ასეთი პიროვნება წავიდა ამ ქვეყნიდან. დავკარგეთ დიდი სპეციალისტი, კეთილშობილებითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება.

მარინე უთმელიძის ღვაწლი უკვდავია და სამაგალითოდ გადაეცემა მომავალ თაობებს.

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია,
ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰალათბურთი

საქართველოს ნაკრები

22 ქართველი



2004. ბრაიკოვიჩისდროინდელი შეკრება. ბაბიაშვილსა (მარცხნივ) და ხოშტარიას (მარჯვნივ) ჰერბერტიც გამოცდის

გუშინ კალათბურთის ფედერაციიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების 2007 წლის განაცხადი მივიღეთ. კანდიდატთა 22-კაციანი სია მეორე მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან შეთანხმებით, კანადელმა სპეციალისტმა გორდონ ჰერბერტმა შეადგინა.

მკითხველი თავადაც მიხვდება, რომ 22 კალათბურთელიდან მხოლოდ 12 მიიღებს მონაწილეობას ოფიციალურ მატჩებში.

განაცხადს ქვემოთ გაეცნობით, აქ კი გეტყვით, რომ ჩვენი ნაკრები 2 ივლისს შეიკრიბება. ამ დღისთვის გორდონ ჰერბერტმა ძირითადად საქართველოში მოასპარეზე მოთამაშეები დაიბარა: **გიორგი მარკოიშვილი, ლაშა გამყრელიძე, დავით უგრეხელიძე, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, შიო ხეცურიანი, ბესიკ ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი და ირაკლი ხოშტარია.** ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდნენ, მაგრამ 2 ივლისიდან ვარჯიშს ვერ შეუდგებიან გიორგი **შერმადინი, რეზო დიდია** და **მიხეილ ბერიშვილი.** ისინი 4 ივლისს, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მიფრინავენ და ეროვნულ გუნდს 18 ივლისიდან შეუერთდებიან.

ორში აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ და ადგილობრივებთან ივარჯიშონ **სერგო ათუაშვილმა** და **დავით საყვარელიძემ**. პირველმა ლიტვის ჩემპიონატი ახლახან მესამე ადგილზე დაასრულა. ხოლო დათო ეროვნულში შარშანწინაც ვარჯიშობდა და წლეულს ამერიკაში "ნაზარინის" უნივერსიტეტში თამაშით მიიპყრო ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება.

ცალკე საუბრის თემაა "ავიატორები" - **ზვიად ბაბიაშვილი** და **ირაკლი ხოშტარია**. თუ ზვიადს წინა ხაზში სერიოზული კონკურენციის პირობებში მოუწევს ვარჯიში (ცქიტიშვილი, ბოისა, სანიკიძე, ნაცვლიშვილი, ფაჩულია), ხოშტარიას სხვა პრობლემა აქვს - სეზონის ბოლოს ფორმიდან ამოვარდა (მამა გარდაეცვალა). საინტერესოა, რამდენად მომზადებული შეხვდება ეროვნულის შეკრებას. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ირაკლიმ ნაკრების მაისურით ზედიზედ ორი შესარჩევი ციკლი ჩაატარა, ხოლო 2000 წლის 21 მაისს ირლანდიასთან (95:80) მატჩის შემდეგ პირველ გუნდში აღარ გამოჩენილა.

სხვათა შორის, მსგავს გაფართოებულ შეკრებაზე ხოშტარია, ბაბიაშვილი, ტუღუში, ხეცურიანი და სხვები 2004 წელს დრაჟენ ბრაიკოვიჩმაც გამოიძახა...

საქართველოს ნაკრები 2007

კალათბურთელი	სიმაღლე	დაბ. თარ	გუნდი
რეზო დიდია	204	1987	აზოტი
შიო ხეცურიანი	197	1983	თსუ
ბესიკ ლეჟავა	190	1986	თსუ
გიორგი მარკოიშვილი	200	1983	აზოტი
დავით საყვარელიძე	198	1986	ნაზარინი (აშშ)
კოტე ტუღუში	193	1983	აზოტი
ლაშა გამყრელიძე	183	1986	აზოტი
ანატოლი ბოისა	192	1983	აზოტი
ვლადიმერ ბოისა	209	1981	მონტეპასკი (იტალია)
ზაზა ფაჩულია	212	1984	ატლანტა (NBA)
გიორგი ცინცაძე	192	1986	როკი (ესტონეთი)
გიორგი შერმადინი	216	1989	მაკაბი
ტაირონ ელისი	193	1977	ნაპოლი (იტალია)
მანუჩარ მარკოიშვილი	196	1986	ოლიმპია (სლოვენია)
დავით უგრეხელიძე	208	1983	აზოტი
ვახტანგ ნაცვლიშვილი	205	1976	დიჟონი (საფრანგეთი)
მიქტორ სანიკიძე	203	1986	ესტუდიანტესი (ესპანეთი)
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	214	1983	კახა (ესპანეთი)
ზვიად გაგიაშვილი	200	1978	ავიამშენი
ირაკლი ხოშტარია	190	1976	ავიამშენი
სერგო ათუაშვილი	222	1985	ნეპტუნასი (ლიტვა)
მიხეილ ბერიშვილი	204	1987	თსუ

მთავარი მწვრთნელი: **გორდონ ჰერბერტი**
ასისტენტები: **დავით უსტიაშვილი, კენი ატკინსონი**
კონსულტანტი: **კენ შილდსი**

ვიდრე 18 ივლისამდე მივიდოდეთ, აქვე გეტყვით - ეროვნული გუნდის განაცხადში 5 დებიუტანტია: **მიხეილ ბერიშვილი, რეზო დიდია, გიორგი შერმადინი, სერგო ათუაშვილი და ბესიკ ლეჟავა.**

2 ივლისს შეკრებილთაგან 18 ივლისს დაგეგმილ სრულ შეკრებაზე ვინ მოხვდება, დამოკიდებული იქნება ლეგიონერთა დროულად ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე. შეგახსენებთ, რომ **ნიკა ცქიტიშვილმა** ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა - ამერიკაში ვაპირებ წასვლას და კონტრაქტის საკითხს უნდა მივხედოო... თუ ეს საქმე 18-მდე მოაგვარა, ხომ კარგი, თუ არა - შეიძლება ცოტა შეაგვიანდეს. ვიქტორ სანიკიძემ ივლისში "სან-ანტონიოს" მაისურით ორი კემპი უნდა ითამაშოს. **ტაირონ ელისს** ცოლი მოჰყავს, თუმცა ფედერაციის მესვეურთათვის აღუთქვამს, რომ შეკრებაზე დროულად გამოცხადდება. **მანუჩარ მარკოიშვილს** იმდენად სერიოზული ტრავმა აქვს, რომ ივლისამდე ვარჯიშის განახლებას ვერ შეძლებს...

ასე რომ, შეკრების პირველ დღეებში შეიძლება ერთი-ორი კაცი მოვისაკლისოთ, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ 23 ივლისს ეროვნული ნაკრების ბულგარეთის ტურნირზე ოპტიმალური შემადგენლობით გაემგზავრება. მაისის შუაში დავნერეთ, რომ შავი ზღვის გადაღმა ჩვენიანებს სამი ამხანაგური მატჩი ელით - მასპინძელ ბულგარეთთან, მაკედონიასა და ისრაელთან. ებრაელები სოფიაში მართლაც ჩადიან, ოღონდ 20 საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებენ. მათ ნაცვლად შეჯიბრებაში დანიელები ითამაშებენ (სხვათა შორის, შარშან A დივიზიონში მაკედონიასთან ერთად სწორედ დანია გადავიდა).

ბოლოს მწვრთნელებზე. 2 ივლისს თბილისში მწვრთნელთა შტაბი სრული შემადგენლობით შეიკრიბება.

გორდონ ჰერბერტს **კენი ატკინსონი** და დავით უსტიაშვილი დაეხმარებიან, ხოლო კონსულტანტობას გამოცდილი **კენ შილდსი** გაუწევს. 4 ივლისიდან შტაბს დავით უსტიაშვილი გამოაკლდება, რომელიც 20-წლამდელთა ნაკრებს იტალია-სლოვენიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე გაუძღვება. იგი პირველ ნაკრებს 18 ივლისს დაუბრუნდება.

ვაჟა სიმონიშვილი

რეგიონი

მამუკა მამაცაშვილი

დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი

სპორტი მალე გამოცოცხლდება!

ცხინვალის რეგიონი ბოლო დროს არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესებით იქცევს ყურადღებას. აქ დაწყებული სამშენებლო პროცესი სპორტსაც ეხება. ცოტა ხნის წინათ, ლიახვის ხეობაში ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა. გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე „ლელო“ ესაუბრა დროებითი ადმინისტრაციის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელს, მამუკა მამაცაშვილს.

- პატარა ლიახვის ხეობაში მუშაობდა ძიუდოსა და კრივის სექციები, დიდი ლიახვის ხეობაში კი, ფეხბურთისა. ცალკე საკითხია, როგორ პირობებში უწევდათ მათ არსებობა და რამდენად ნაყოფიერი იყო ეს გარჯა. დიმიტრი სანაკოევის ხელისუფლება თავიდანვე გულისხმიერად მოეკიდა სპორტის საკითხს ორივე ხეობაში და მოკლე ხანში უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ გარკვეულ შედეგებზე. კერძოდ, ახლახან გახსნილ სპორტის დარბაზში ამოქმედდება ძიუდოს, კარატესა და სავარაუდოდ, ძალოსნობის ჯგუფები. სამწუხაროდ, ფართობი აღარ გვეყო, რომ რინგიც დადგმულიყო და კრივის სექცია გახსნილიყო, მაგრამ მალე თამარაშენში სპორტის სასახლეს ავაგებთ და იქ მხოლოდ კრივის კი არა, სპორტის არაერთი სახეობის სექციათა მუშაობა გახდება შესაძლებელი. დიდი ლიახვის ხეობაშივე აშენდება საცურაო აუზიც.

- სპორტის სასახლის მშენებლობა როდის დასრულდება?

- მშენებლობა უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, რიგ ობიექტურ მიზეზთა გამო, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა, თუმცა ცოტა ხანში დამთავრდება. საკმაოდ მოხდენილი, კეთილმოწყობილი ნაგებობაა და დარწმუნებული ვარ, სრულადაც დაიტვირთება.

- ხეობაში ჯერჯერობით, არაა ღია ტიპის სპორტული მოედნები...

- მხოლოდ ჯერჯერობით. უკვე შერჩეული გვაქვს ადგილები, სადაც მოედნებს მოვაწყობთ. წლის ბოლომდე ხუთი-ექვსი ასეთი მოედანი გვექნება. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური არაერთხელ გვესტუმრა რეგიონში. ყველა ზემოთნახსენები საქმის წამოწყება და სისრულეში მოყვანა სწორედ მისი თანადგომითა და მხარდაჭერით განხორციელდა. რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ხელისუფლებისა და ჩვენი ბიზნესმენების უდიდესი როლი აღმშენებლობით საქმიანობაში.

- რაც შეეხება სტადიონს, რომელზეც ცხინვალის „ცხინვალი“ გამართავს საშინაო თამაშებს...

- დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ ხეითთან დიდი ტერიტორიის ათვისება დაიწყო. აქ უნდა აშენდეს საცხოვრებელი კორპუსები, კოტეჯები, სპორტული მოედნები და აქვე აშენდება სტადიონიც - უეფას სტანდარტების შესაბამისი და გათვლილი დაახლოებით 3000 მაყურებელზე. გამორიცხული არაა, ტრიბუნებიც დაემატოს, თუ გაჩნდა კიდევ ამისი მოთხოვნილება.

- ასეთი მასშტაბური მშენებლობა როდის დაიწყება რეგიონის დანარჩენ ნაწილში, ანუ დიდი ლიახვის ხეობის გარეთ?

- ობიექტურ მიზეზთა გამო ორივე ხეობაში ერთნაირი ტემპით ვერ გაჩაღდა მუშაობა, თუმცა ბუნებრივია, დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელთა საქმიანობა ამით არ შემოიფარგლება. სპორტული კომპლექსები აშენდება პატარა ლიახვის ხეობასა და ახალგორის რაიონშიც.

- როგორც ჩანს, დიმიტრი სანაკოევი სპორტის დიდი მოყვარულია...

- ბატონი დიმიტრი, შეიძლება ითქვას, უნივერსალი სპორტსმენია. ადრე ხელბურთელი იყო, თუმცა თუ რინგზე შეუშვი, შესანიშნავად კრივობს, კარგად თამაშობს ფეხბურთს, ჭადრაკს. რეგიონის სპორტული ცხოვრება მაინც გამოცოცხლდებოდა, მაგრამ რომ არა სპორტისადმი მისი სიყვარული და მონდომება, ამხელა მშენებლობა არ გაიშლებოდა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

პაატა ურიადმყოფელი და კახაბერ გუჩმანიძე

მოკრივე ჭიდაობაში

ქართული ჭიდაობა. ბათუმის ბულვარში მდებარე "მწვანე ბარში" გაიმართა აჭარის ქართული ჭიდაობის რეგიონალური ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. ყრილობამ ფედერაციის პრეზიდენტად აჭარის დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის უფროსი, ყოფილი მოკრივე, **კახაბერ გუჩმანიძე** აირჩია. პირველი ვიცეპრეზიდენტის პოსტი ყოფილმა პრეზიდენტმა **პაატა ურიადმყოფელმა** დაიკავა.

ყრილობაზე საინტერესო წინადადებით გამოვიდა აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე და ლელობურთელი **ზურაბ მიქელაძე.** მისი აზრით, რეგიონების ჭიდაობის შედეგებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქართული ჭიდაობა. ეს ეხება ჭიდაობის ყველა სახეობას...

ყრილობამ აჭარის ქართული ჭიდაობის საპატიო პრეზიდენტად ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ლევან თედიაშვილი** აირჩია. ქართული ჭიდაობის აჭარელ თავკაცებს ჩვენი ეროვნული სპორტის ასაღორძინებლად უამრავი სასიკეთო გეგმები აქვთ დასახული: ახალბედების ჩაბმა ქართულ ჭიდაობაში, არენების მოწყობა, საჭირო რაოდენობით ჩოხების შეკერვა, ტურნირების გამართვა, "საჭიდაოს" დამკვრელთა მომზადება და ა.შ.

ბესიკ გაბრიაძე,
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონის გეგმები

დი ლუკა ტურს გამოტოვებს

ჯირო დ'იტალიის ახალმა ჩემპიონმა, იტალიელმა **დანილო დი ლუკამ** გამოაცხადა, რომ არ იასპარეზებს წლევანდელ ტურ დ' ფრანსზე. სამაგიეროდ, დიდი მონდომებით მოემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც სექტემბერში გერმანიის ქალაქი შტუტგარტი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ დი ლუკამ, მეტსახელად "კილერი", ჯიროს 21 ეტაპიდან 13 ლიდერის ვარდისფერი მაისურით გაიარა. ამასთან, ორი ეტაპი თავად მოიგო.

"ჯირომ ძალიან დამღალა. ახლა დასვენების დრო დადგა, მერე კი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოვემზადები. ძალიან მინდა, შტუტგარტში კარგად გამოვიდე. პრო ტურის პირველი სეზონი მოვიგე და ახლა იმ მიღწევის გამეორებას ვაპირებ. ჯირო პირველად მოვიგე, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. რბოლებში გამოსვლას გავაგრძელებ, რათა ეს სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყოს. ჯიროზე კი პირველობისთვის მომავალშიც ვიბრძოლებ", - ამბობს ჩემპიონი, ვინც პრო ტურის პირველი სერიის გამარჯვებული 2005 წელს გახდა.



დანილო დი ლუკა

პროფესიონალი ველომრბოლის კარიერის დასაწყისში, დი ლუკა კლასიკურ ერთდღიან რბოლებზე იყო სპეციალიზებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2005 წლის ჯირო მეოთხე ადგილზე დაასრულა, გადაწყვიტა, რომ იტალიური ველომარათონის მოგების უნარი შესწევდა და ამ მიზნის მიღწევაზე გადაერთო.

"როცა მიზანს დავისახავ, მის მისაღწევად მაქსიმალურად ვიხარჯები. სწორედ ამიტომ იყო, რომ წლევანდელი ჯიროსთვის ექვსი თვე ვემზადებოდი. ბევრს არ სჯეროდა, რომ მე ჯიროს ჩემპიონი ოდესმე გავხდებოდი, მაგრამ მე საპირისპიროს ვფიქრობდი, რაც უკვე დავამტკიცე. ჩემს შესაძლებლობებში ბოლომდე ვიყავი დარწმუნებული და ამის გამო, მთელი რბოლის განმავლობაში, კრიტიკულ მომენტებშიც კი არ ავუტანივარ პანიკას. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი წაგებიდან რაღაცას ვსწავლობდი", - ამბობს დი ლუკა.

რაც შეეხება ტურ დე ფრანსს, ის სტარტს 7 ივლისს, ლონდონში აიღებს.



ჟუსტინისა და სერენას შეხვედრა ამჯერად ხელის ჩამორთმევით დასრულდა

საფრანგეთის ღია პირველობა

ჟუსტინი ნახევარფინალში, სერენა კი სახლში

გუშინ როლან გაროსის კორტებზე, საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდა. მათგან ყველაზე დიდ ინტერესს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ბელგიელი **ჟუსტინ ანენისა** და მსოფლიოს ყოვილი პირველი ჩოგნის, ამერიკელი **სერენა უილიამსის** დაპირისპირება იქცევდა.

მათი წინა პარიზული დაპირისპირება ოთხი წლის წინათ, კამათში გადაიზარდა - ჩემპიონის რანგში მოთამაშე სერენამ ნახევარფინალში ჟუსტინთან წაგების შემდეგ დაახლოებით ასეთი რამ განაცხადა - ეს გოგო მაგარი აფერისტია და ამის წყალობით აღწევს მიზანსო. ამჯერად მეტოქეებმა საქმის გარჩევა თავიანთ ჩოგნებს მიანდეს, გამარჯვება კი, თანაც გაცილებით დამაჯერებელი, ისევ ბელგიელმა ჩოგბურთელმა მოიპოვა.

შეხვედრის დაწყებამდე, ფავორიტად რომელიმეს მოხსენიება საძნელო საქმე იყო. უფრო ალბათ მაინც ბელგიელს უნდა ჰქონოდა უპირატესობა. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სეზონის დასაწყისში, სერენასგან ავსტრალიის ღიას მოგებასაც არავინ ელოდა...

ბჭობა ბჭობად, ჟუსტინმა კი თამაში ისე იოლად მოიგო, გეგონებოდათ ახალბედას ეთამაშებოდაო. მომცრო ტანის ბელგიელმა საქმე 78 წუთში მოათავა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე სერბი **ელენა იანკოვიჩი** იქნება.

"ჟუსტინმა ბრწყინვალედ ითამაშა. მე კი, ვერ ვიხსენებ, როდის ვითამაშე დიდი სლემის ტურნირზე ბოლოს ასე ცუდად. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის შეუდარებელი იყო. ყოველთვის ვამბობდი, ტურნირი ისე დავგეგმე, რომ პიკისთვის საჭირო მომენტში მიმეღწია, მაგრამ ეს ჩემი პიკი ნამდვილად არ იყო", - ნამატჩევს თავისი თამაშით უკმაყოფილო ყვებოდა სერენა.

ჟუსტინმა პირველივე გეიმიდან დაიწყო მეტოქის დაჩაგვრა. სერენა კი ისეთ მარტივ სიტუაციებში ცდებოდა, გეგონებოდათ ჩოგბურთის თამაში ცოტა ხნის წინათ დაიწყოო. ბელგიელმა პირველივე გეიმში აიღო ბრეიკი, თუმცა მეექვსეში თავის მოწოდებაზე მოუხდა ქულის დათმობა, რაშიც მის მიერ დაშვებულმა ორმაგმა შეცდომამ დაიდო წილი. ჟუსტინმა პირველი სეტი 41 წუთში მოიგო და მეორეც ისე დაიწყო, როგორც პირველი - მეტოქის სერვისზე ქულა მოიპოვა. სერენა ისე გააცოფა ასეთმა დასაწყისმა, რომ კორტს ჩოგანი მიაღეწა.

და ამან სასურველი შედეგი მოუტანა - ამერიკელმა მომდევნო გეიმშივე შეძლო საპასუხო ბრეიკის მოპოვება. მაგრამ ჟუსტინმა კიდევ ერთხელ, მეხუთე გეიმში მიაღწია ბრეიკს და ამჯერად, მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

მოკლედ, 2005 წლიდან მოყოლებული, ჟუსტინმა ზედიზედ 31-ე სეტი მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საფრანგეთის ღიას ზედიზედ მესამედ მოგებისკენ.

იანკოვიჩმა ტურნირი ბრწყინვალედ მოთამაშე ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვას** დაატოვებინა. სერბს ხანდახან ნერვიულობა ეტყობოდა, მაგრამ თავისი უზადო ბექჰენდისა სისწრაფის ხარჯზე ახერხებდა ქულების დაგროვებას. შანსები ვაიდიშოვასაც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად მათი გამოყენება ვერ შეძლო. მან ოთხი მატჩ პოინტი კი მოიგერია, მაგრამ თამაში მაინც ვერ გადაარჩინა.

აღსანიშნავია, რომ ვაიდიშოვა ვტა-ს ტურზე შარშან, სწორედ როლან გაროსზე კარგი თამაშის წყალობით აღზევდა. მაშინ მან ნახევარფინალში ითამაშა, მაგრამ ამჯერად ეს შედეგი ველარ გაიმეორა.

"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. სისწრაფემ არაერთხელ გამინია კარგი სამსახური", - განაცხადა იანკოვიჩმა, ვინც მეორედ ითამაშებს დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში (პირველად შარშან, აშშ-ის ღიაზე ითამაშა).

ვაიდიშოვას თამაშის გადარჩენის შანსი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მეორე სეტის მეათე გეიმში, ჯერ მატჩ პოინტი მოიგერია, შემდეგ კი მეტოქის მონოდება აიღო და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ იანკოვიჩმა მომდევნო გეიმშივე დაიბრუნა ბრეიკი და მე-12 გეიმში კვლავ მატჩზე აწოდებდა. ჩეხმა კიდევ სამი

ლონდონი 2012

ყველას ოლიმპიადის უცნაური ემბლემა

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა საზოგადოებას წარუდგინა ოლიმპიადის ემბლემა, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი და კრიტიკა გამოიწვია. ერთმა კრიტიკოსმა ემბლემას სიმახინჯეც კი უწოდა.

ემბლემის ძირითად ნაწილს ოლიმპიადის ჩატარების წლის აღმნიშვნელი დატეხილფორმებიანი ციფრები წარმოადგენს, რომელთაგან პირველში ჩასმულია ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის სახელი, მეორეში კი ოლიმპიური ემბლემა - ერთმანეთთან გადაჯაჭვული ხუთი რგოლი (რატომღაც, ყველა თეთრი ფერისაა).

ორგანიზატორთა განმარტებით: *"შთამბეჭდავი, თანამედროვე ემბლემა ოლიმპიური სულისკვეთების დინამიკის სიმბოლოა და მსოფლიოს ხალხთა მიზანსწრაფვას ასახავს. ლონდონი 2012 ყველას ოლიმპიადა, ყველას წელიწადი იქნება"*.

ემბლემის წარდგენის ცერემონიალს გაუძღვა ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი, წარსულში ცნობილი მორბენალი, ლორდი **სებასტიან კოე**. ორგანიზატორთა მიწვევით, ემბლემის ცერემონიალს ბრიტანეთში მოღვაწე ბევრი ცნობილი სპორტსმენი და სპეციალისტი დაესწრო, რომელთა შორისაც იყვნენ შოტლანდიელი ჩოგბურთელი **ენდი მიურეი** და საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" მწვრთნელი **ჟოზე მაურინიო**.



ოლიმპიადის ემბლემა ბრენდების საკონსულტაციო ფირმა "ვოლფ ოლინსის" მიერაა შექმნილი. იგი წარმოადგენს როგორც ლონდონის ოლიმპიადის, ასევე ლონდონის პარაოლიმპიური თამაშების ემბლემასაც.

"ჩვენი სურვილია, როცა ხალხი ამ ლოგოს იხილავს, მისგან მიღებული შთაბეჭდილების ფონზე, მათ საკუთარ ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილება განახორციელონ. ლონდონის ოლიმპიური თამაშები დიდი მოვლენა იქნება ბრიტანეთისთვის და ჩვენი ქვეყანა მისი მეშვეობით საკუთარ ნამდვილ სახეს დაანახებს მთელს მსოფლიოს", - განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა **ტონი ბლერმა**.

ლოგოს ხილვისთანავე, ცერა თითი ზევით შემართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**. *"ეს ინოვაციური ლოგოა, რომელიც გრაფიკულად ასახავს ლონდონის ოლიმპიადის სულისკვეთებას. რაც მთავარია, ის ახალგაზრდობას სპორტისადმი და ოლიმპიური ღირებულებებისადმი დადებითად განაწყობს"*, - განაცხადა როგემ (როგორი აბსტრაქტულიც ლოგოა, ისეთივე აბსტრაქტული შეფასებებით შეამკეს ფუნქციონერებმა).

ემბლემის ხილვამ ხოტბის ხასიათზე ვერ დააყენა კონსერვატიული პარტიისა და ლონდონის ოლიმპიადის მოსამზადებელი კომისიის წევრი **ბობ ბლექმენი**. *"ლორდმა კოემ ამ ლოგოს ამბიციური, ინტერაქტიური და ახალგაზრდული უწოდა, მე კი მას სიმახინჯედ აღვიქვამ. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდით ამ სიტუაციაში. საინტერესოა, თუ ჩატარდა კონკურსი, რომელზეც ოლიმპიადის ლოგოს შერჩევა მოხდებოდა? თუ ასეც მოხდა, მაშინ საინტერესო იქნებოდა გვენახა ის ნამუშევრები, რომლებიც ჟიურომ დაიწუნა. და გვაინტერესებს, რა თანხა დაჯდა ეს ნამუშევარი. პირველ რიგში, ეს იმდენადაა საინტერესო, რომ გვეცოდინება მაინც, თუ რა თანხა გავატანეთ წყალს"*, - განაცხადა ბლექმენმა.

ოლიმპიადა 2014

სოკ-ის სიმპათია პიონჩანს

2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევამდე ერთი თვით ადრე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) შემფასებელმა კომისიამ გამოაქვეყნა სამი კანდიდატი ქალაქის დათვალიერების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა ტექნიკური ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ოლიმპიადის მასპინძლობის ყველაზე მეტი შანსი სამხრეთკორეულ პიონჩანს ენიჭება.

პიონჩანს მცირედით ჩამორჩება ავსტრიული ზალცბურგი, აუტსაიდერად კი რუსეთის სოჭია მიჩნეული. 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევა სოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე, 4 ივლისს, გვატემალაში მოხდება. კენჭისყრის დროს კი გენერალური ასამბლეის წევრები სწორედ შემფასებელი კომისიის ანგარიშით იხელმძღვანელებენ.

ანგარიში 87 გვერდს შეიცავს. მასში დაწვრილებითაა აღწერილი სამი კანდიდატი ქალაქის ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტების მიერ გაწეული სამუშაო. ანგარიშში კანდიდატები შეფასებულები არიან რამდენიმე ძირითადი საკითხის მიხედვით. ამ საკითხებში შედის: სპორტული ნაგებობანი და მათი მდგომარეობა, უსაფრთხოება, დაფინანსება, სპორტსმენებისა და სპორტულ დელეგაციათა ცხოვრების პირობები, ტრანსპორტი და მხარდაჭერა ადგილობრივი მთავრობისა და მოსახლეობის მხრიდან.

სოკ-ის კომისიის ანგარიშში არ ხდება კანდიდატი ქალაქების განაცხადთა შეფასება. სამაგიეროდ, ანგარიშში დაწვრილებითაა აღწერილი ამ ქალაქების განაცხადების ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა საფუძველზეც, ასამბლეის წევრებს ზოგადი წარმოდგენა შეექმნებათ შესაბამის განაცხადებზე.

ანგარიშში ნათქვამია, რომ პიონჩანის განაცხადს, პრაქტიკულად, არ გააჩნია სისუსტეები. კომისიამ ზალცბურგს ტურისტული ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ელემენტი დაუწუნა. ამასთან, ხაზგასმულია, რომ ზალცბურგელები არასათანადოდ აფასებენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. რაც შეეხება სოჭს, სოკ-ს მიაჩნია, რომ ქალაქის მთავარი ინფრასტრუქტურა გაძლიერებულ მონიტორინგს საჭიროებს, რაც რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

პიონჩანი ლიდერია ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მხრივაც. კერძოდ, ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ კორეული ქალაქისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთა 91 პროცენტი ოლიმპიადის მათ ქალაქში ჩატარებას ემხრობა (მხოლოდ ხუთი პროცენტია წინააღმდეგი). ამ მხრივ, მეორეზე სოჭი გავიდა, სადაც ოლიმპიადის ჩატარებას მხარი მაცხოვრებელთა 79-მა პროცენტმა დაუჭირა (14 პროცენტი წინააღმდეგი). გაცილებით უარესი (42 პროცენტი) მხარდაჭერით სარგებლობს ზალცბურგი (45 პროცენტი წინააღმდეგი).

ანგარიშში ზალცბურგისა და პიონჩანის სპორტული კომპლექსების კონცეფციებმა დაიმსახურეს შეფასება "ჩინებული", სოჭის შეფასება კი იყო "ძალიან კარგი".

აღსანიშნავია, რომ ხშირად, სოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე არ მართლდება შემფასებელი კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნიდან გამომდინარე პროგნოზები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ასამბლეის 115-ვე წევრი ხშირად უფრო წინ კერძო მოტივებსა და პირად ურთიერთობას აყენებს. საქმეში ხშირად ერთვება პოლიტიკა, კანდიდატი ქალაქების გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა სუბიექტური ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ პიონჩანი 2010 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძოდა. მაშინ კორეული ქალაქი აუტსაიდერად იყო მიჩნეული, მაგრამ ფინულარ კენჭისყრაში სულ რამდენიმე ხმით წააგო კანადის ქალაქ ვანკუვერთან.

საერთო ჯამში, ანგარიშში პიონჩანის განაცხადი შეაფასეს სიტყვებით, "უმაღლესი ხარისხი". სოჭმა დაიმსახურა შეფასება "მაღალი ხარისხი", ზალცბურგის შეფასებაში კი ნათქვამია, რომ განაცხადს "ზოგიერთი დეტალი აკლია". სამაგიეროდ, ავსტრიული ქალაქი ლიდერია არსებულ სპორტულ ნაგებობათა მხრივ. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მნიშვნელოვნად შემცირდება ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ხარჯები. ზალცბურგელთა განაცხადში მოხსენიებული 11 არენიდან შვიდი ახლავე მზადაა. ესეც რომ არ იყოს, ავსტრიას სპორტის ზამთრის სახეობებში დიდი ტრადიციები აქვს.

სპორტული არენების მხრივ, მეორე ადგილზეა პიონჩანი, მაჩანჩალობა კი სოჭს ერგო, სადაც თითქმის ყველაფერი - სპორტული, ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ასაშენებელია. მაგრამ ეს ქალაქი რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმირ პუტინის** მხარდაჭერით სარგებლობს. სოკ-ის კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ სოჭში ოლიმპიური ინფრასტრუქტურის განვითარება მეტად რთული საქმეა, რასაც ქალაქის რთული რელიეფი განაპირობებს.

მერაბ ლორთქიფანიძე

6 ივნისი, ოთხშაბათი

რუსთავი 2

23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ხორვატია.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეეფურნალი.
17:30 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 იტალიის ჩემპიონატი. სერია B. ბარი-იუვენტუსი.
22:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-დანია (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:50 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.

SPORT 1 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ინგლისი-ბრაზილია.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 აფროსნობა. ამერიკის თასი.
10:05 სპორტინფორმი.
10:20 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
12:05 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ჰოლანდია.
15:00 სპორტის სახეები.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.
17:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-სერბეთი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. IV მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია (LIVE).
00:10 სპორტინფორმი.
00:20 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ინგლისი.
02:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
04:00 სპორტის სახეები.
04:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ჰოლანდია.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო-2008. შესარჩევი მატჩი.
10:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. [illegible]
11:45 სპილდვეი. შვედეთის გრან-პრი.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი.
13:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:45 აფროსნობა.
22:50 მულტისპორტი.
22:55 ცხენოსნობა. სუპერლიგა. სტ. გალენი. შვეიცარია.
23:40 ცხენოსნობა. ჟოკეების კლუბი.
23:45 მულტისპორტი.
23:50 გოლფი. US PGA-ს ტური.
00:50 გოლფი. ევროპის ტური.
01:20 გოლფი-კლუბი.
00:25 აფროსნობა.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი.
13:15 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჰოლანდია-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. განა-შვედეთი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-უკრაინა.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-იტალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეეფურნალი.
21:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
23:00 არმრესტლინგი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი. იაპონური ლიგა.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

შვედეთი (U21)-შვეიცარია (U21)	0:0
ინგლისი (U21)-სლოვაკეთი (U21)	5:0
იაპონია-კოლუმბია	0:0
ბრაზილია-თურქეთი	0:0
ჟუკეთი-პორტუგალია	1:1
არგენტინა-ალჟირი	4:3

შვედეთის თასი

ბრომაპოიკარნა-ოსტერსი	1:1, პენ. 4:5

EURO 2007

UNDER 19

დანია-შვეიცარია	0:2
სერბეთი-რუმინეთი	2:0

EURO 2009

UNDER 21

მალტა-რუმინეთი	0:1
სლოვენია-ლიტვა	2:1
ბულგარეთი-ჩერნოგორია	1:2

ევროკუპის თასი

ესპანიოლი-ბარსელონა	1:1, პენ. 4:5

ქალთა ბურთი

საბერძნეთი

ფლეი ოფი. მე-3 ადგილი

არისი-პანიონიოსი	84:82

იტალია

ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

მონტეპასკი-რომა	114:108 (ოვ)

ჰოკეი

ჩიკაგომ შვედი ვეტერანი დაიმატა

ბოლო დღეებში, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბები ევროპელი ჰოკეისტების ტრანსფერებით არიან დაკავებულნი. გუშინ, "ძველი კონტინენტიდან" ოკეანის გაღმა სათამაშოდ კიდევ რამდენიმე ჰოკეისტი გაემგზავრა.

სააგენტო "როიტერის ინფორმაციით, "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" თავის რიგებში მიიწვია შვედი ვეტერანი - **მაგნუს იოჰანსონი**, რომელმაც ბოლო სეზონი შვედეთის ლიგაში, კერძოდ, "ლინჩოპინგის" შემადგენლობაში გაატარა. ამ ტურნირზე, 33 წლის ფორვარდმა 8 შაიბა გაიტანა და 28 შედეგიანი პასი გააკეთა (52 მატჩში). გარდა ამისა, ნლეულს იოჰანსონმა კარიერაში მეხუთედ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატზე.

"ჩიკაგოსთვის" ეს ბოლო სამი დღის განმავლობაში განხორციელებული მესამე ტრანსფერია. გუნდმა აგრეთვე გაიფორმა ფინელი ფორვარდი **პეტრი კონტიოლა** (2004 წლის დარფტის მეოთხე რაუნდი) და ცენტრალური თავდამსხმელი - **ადამ ჰობსონი** (2005 წლის დრაფტის მეშვიდე რაუნდი).

დეტროიტში ორი სკანდინავიელი მიღის

აქტიურია სატრანსფერო ბაზარზე "დეტროიტ რედ უინგზიც". ამ კლუბის გენერალური მენეჯერის ასისტენტმა - **ჯიმ ნილმა** განაცხადა, რომ "დეტროიტმა" სამწლიანი კონტრაქტები გააფორმა ფინელ ცენტრფორვარდ **მატიას რიტოლასთან** და შვედ გარემარბთან - **იოჰან რიუნოსთან**.

"რიტოლა და რიუნო ძალიან ნიჭიერი ჰოკეისტები არიან. ვნახოთ, როგორ შთაბეჭდილებას დატოვებენ ისინი სანვრთნელი შეკრების დროს", - ამბობს ნილი.

"დეტროიტმა" ეს ჰოკეისტები 2005 წლის დრაფტში აირჩია: რიტოლა 103-ე და რიუნო - 137-ე ნომრად.

ოტავამ ლატვიელი ვუნდერკინდი გადაიბირა

სტენლის თასის ფინალისტმა - "ოტავა სენატორზმა" ლატვიელი თავდამსხმელი - **კასპარ დაუგავინში** დაიმატა. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, "სენატორებმა" 19 წლის ჰოკეისტი 2006 წლის დრაფტზე 91-ე ნომრად აიყვანეს.

დაუგავინშმა 2006-07 წლების სეზონი ონტარიოს იუნიორთა ლიგაში (OHL) გაატარა. მიუხედავად ასაკისა, ამ ფორვარდმა უკვე მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე მოასწრო თამაში, 2007 წლის პირველობაზე კი; ლატვიის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირიც გახდა - 6 ქულა (3 გოლი+3 შედეგიანი პასი).

შეგახსენებთ, ორი დღით ადრე, "ოტავამ" კიდევ ერთი ევროპელი ჰოკეისტი შეიძინა - მოსკოვის ცსკა-დან გადაიბირა 21 წლის **ალექსანდრ ნიკულინი**.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲝᲜᲓᲔᲠᲡᲘ ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ კონფერენციის ფინალურ სერიაში მარცხის მიუხედავად, **ფლიპ სონდერსი** "დეტროიტ პისტონზის" მთავარი მნვრთნელის პოსტს შეინარჩუნებს. ეს ცნობა კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გაავრცელა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

ამ ინფორმაციის კომენტირებისგან თავი შეიკავა "დეტროიტის" ვიცე-პრეზიდენტმა - **ჯო დუმარსმა**. სწორედ მასზეა დამოკიდებული სონდერსის ბედი.

შეგახსენებთ, რომ ეს სპეციალისტი უკვე ორი წელიწადია "დეტროიტს" ავარჯიშებს და ორივე სეზონში გუნდმა კონფერენციის ფინალში მარცხი განიცადა.

ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲘ ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲡᲐᲖᲔ ᲛᲝᲣᲜᲓᲐ

ᲑᲝᲚᲝ პერიოდში, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ცსკა-ს ბერძენი ლეგიონერის - **ტეო პაპალუკასის** გარშემო. როგორც იცით, ამ კალათბურთელს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა NBA-ის ჯერაც მოქმედმა ჩემპიონმა - "მაიამი ჰიტმა".

გუშინ კი, გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პაპალუკასის გადაბირებას NBA-ის კიდევ ერთი კლუბი - "ფინიქს სანზი" ცდილობს.

თავად კალათბურთელმა გუშინ გააკეთა პირველი კომენტარი, NBA-ის გუნდების მხრიდან მისი პიროვნებით დაინტერესების შესახებ და განაცხადა, რომ ერთ კვირაში გადაწყვეტს, გაემგზავრება თუ არა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში სათამაშოდ.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲛ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ნაკრების მთავარმა მნვრთნელმა - **სერხიო ერნანდესმა** იმ კალათბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ამერიკის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას.

მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის რიგებში მხოლოდ ერთი კალათბურთელია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან. ეს არის "დეტროიტ პისტონზის" წევრი - **კარლოს დელფინო**. სხვადასხვა მიზეზთა გამო, NBA-ის ლეგიონერებმა - **მანუ ჯინობილიმ, ვალტერ ერმანმა, ანდრეს ნოჩიონიმ** და **ფაბრიციო ობერტომ** უარი განაცხადეს კონტინენტის პირველობაში გამოსვლაზე.

არგენტინელთა სრული სია კი, ასე გამოიყურება: **ხუან სანჩესი** ("უნიკახა", ესპანეთი), **პაბლო პრიჯიონი, ლუის სკოლა** (ორივე - "ტაუგრესი", ესპანეთი), **ანტონიო პორტა** ("ბიელა", იტალია), **ნიკოლას ჯანელა** ("გრანადა", ესპანეთი), **პაოლო კინტეროსი** ("ლეონი", ესპანეთი II დივიზიონი), **კარლოს დელფინო** ("დეტროიტ პისტონზი", NBA), **დიეგო ლო გრიპო, მატიას სანდესი** (ორივე - "ბურგოსი", ესპანეთი II დივიზიონი), **ფედერიკო კამერიხსი** ("ბრუესა", ესპანეთი), **ერნან იასენი** ("ესტუდიანტესი", ესპანეთი), **ლეონარდო გუტიერესი** ("ბოკა ხუნიორსი"), **ლეონარდო მაინოლდი** ("პლუს პუიოლი", ესპანეთი II დივიზიონი), **ხუან გუტიერესი** ("გრანადა", ესპანეთი), **გაბრიელ ფერნანდესი** ("ვარეზე", იტალია), **რომან გონსალესი** ("ტროტამუნდოსი", ვენესუელა), **რუბენ ეოლკოვისკი** ("ხიმკი", რუსეთი).

ამერიკის ჩემპიონატი ლას ვეგასში 22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაიმართება. არგენტინელების პირველი შეკრება 23 ივლისს დაიწყება.

ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲘᲡ წლევანდელი გათამაშების ჩემპიონი - "პანათინაიკოსი" თავის წამყვან კალათბურთელებთან კონტრაქტების გაფორმებით არის დაკავებული.

ბერძნულმა კლუბმა ახალი ხელშეკრულებები დაუდო ამერიკელ ფორვარდ **მაიკ ბატისტეს**, გამთამაშებელ **დიმიტრიოს დიამანტიდისსა** და აგრეთვე, უკანა ხაზის სამ მოთამაშეს: სერბს **სილოშ ვუიანიჩს**, სლოვენიელ **სანი ბეჩიროვიჩსა** და ბერძენ **ნიკოს ხაციერეტასს**.

ამ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

ᲒᲐᲠᲐᲡᲢᲐᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, კაუნასში, ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა.

100 დელეგატიდან, 53-მა ხმა მოქმედ პრეზიდენტს, წარსულში კაუნასის "ჟალგირისის" ლეგენდარულ დამრიგებელს - **ვლადას გარასტასს** მისცა. ამ უკანასკნელმა თავის უახლოეს კონკურენტს 11 ხმით გაუსწრო და პოსტი შეინარჩუნა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘ ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲐ

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1-ᲘᲡ ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, კომპანია "მერსედესი" ბრიტანულ საჯინიბო "მაკლარენთან" თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებს.

"არავის არასოდეს შეპარვია ეჭვი ფორმულისადმი ჩვენს სიყვარულში. "მაკლარენი" და "მერსედესი" უკვე მრავალი წელიწადია თანამშრომლობენ და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ყველაზე ნათლად ამ თანამშრომლობის შედეგი წლევანდელ ჩემპიონატში ჩანს. სავსებით გვაკმაყოფილებს ის როლი, რომელიც "მერსედესს" ბრიტანულ გუნდში აქვს და აქ კიდევ დიდი ხანი ვაპირებთ დარჩენას", - ამბობს კონცერნ "დაიმლერ-კრაისლერის" თავმჯდომარე - **დიტერ ცეტშე**.

ᲞᲝᲚᲝ

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ

22 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2007 წლის დრაფტი გაიმართება. ამ დღეს, NHL-ის კლუბი - "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსი" თავისი ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაციას გამართავს.

ცოტა ხნის წინათ, ამ გუნდმა კონტრაქტი გააფორმა კონცერნ "რიბოკთან". ახალი ფორმის შექმნისას, ყველა თანამედროვე ტექნოლოგია იქნა გამოყენებული - წერია "კოლამბუსის" პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

ᲙᲘᲜᲝ

ᲩᲐᲘᲡᲝᲜᲘ ᲘᲜᲓᲣᲠ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲥᲐᲚᲐ

ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ამერიკელი მოკრივე - **მაიკ ტაისონი** თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ინდურ კინოს დაუთმობს. "რკინის მაიკმა" გაზეთ The Times of India-ს განუცხადა, რომ უკვე შეათანხმა რეჟისორ **ფიროზ ნადიადვალასთან** მომავალი ფილმის დეტალები.

სხვათა შორის, მაისში ტაისონმა უკვე მოასწრო ერთ-ერთ ინდურ ფილმში თამაში, რომლის სახელწოდება იყო - "სულელი და უკანასკნელი". მაშინ, მოკრივემ აღფრთოვანება ვერ დამალა გადაღებების პროცესით.

"ენით აუწერელი ატმოსფერო იყო. მე იქ უბედნიერესი და სიცოცხლით სავსე ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი", - განაცხადა მსოფლიოს ექსჩემპიონმა.



პენერის გამარჯვების გოლი

NHL. ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲡ ᲔᲠᲗᲘᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ 2:3

1:0, 1:2, 0:1

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: 1:0 ალფრედსონი-12 (შეფერი-4, ფიშერი-4), 1:1 ე. მაკდონალდი-8 (მარჩანტი-3, პერი-8), 1:2 ე. მაკდონალდი-9 (რ. ნიდერმაიერი-5, ო'დონელი-2), 2:2 ჰიტლი-7 (ივზი-2, სპეცა-15), 2:3 პენერი-3 (სელიანე-10, ე. მაკდონალდი-3).

ᲡᲔᲠᲘᲐ 1:3

"ანაჰაიმმა" წლევანდელ სტენლის თასზე მეორედ ითამაშა თავისი წამყვანი მცველის - **კრის პრონგერის** გარეშე და მეორედ მოიგო შეხვედრა. პირველად ეს "დეტროიტ რედ უინგზთან" წინა სერიაში მოხდა, ამჯერად კი, "იხვებმა" თავიანთი ლიდერის არყოფნაში, "ოტავასთან" უმნიშვნელოვანეს მატჩში გაიმარჯვეს.

არადა, მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. "ანაჰაიმს" აშკარად ეტყობოდა პრონგერის არყოფნა. პირველ პერიოდში ოტაველებმა 13 ზუსტი დარტყმა განახორციელეს, მეტოქემ კი, მხოლოდ - ორი. რომ არა "დაქსის" მეკარე - **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, შეხვედრის ბედი შეიძლება პირველ პერიოდშიც კი გადაწყვეტილიყო. ჟიგერი აკრობატული ნახტომებით იგერიებდა მასპინძლების შეტევებს, მაგრამ ერთ ეპიზოდში მაინც უძლური აღმოჩნდა. ფლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირმა - **დანიელ ალფრედსონმა** რიცხობრივი უპირატესობისას შეძლო ანგარიშის გახსნა.

მეორე პერიოდში, თამაშის სურათი შეიცვალა. ახლა უკვე, "ანაჰაიმმა" მოიპოვა დარტყმების მხრივ დიდი უპიტარესობა (13 ოთხის წინააღმდეგ). ამ 20-წუთიულის გმირი "იხვების" ცენტრალური თავდამსხმელი - **ენდი მაკდონალდი** გახდა. მან ერთი წუთის ინტერვალით ორჯერ აიღო **რეი ემერის** კარი. პირველ შემთხვევაში ფინტებით რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და ისე გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი, მეკარესთან პირისპირ გასულმა, ემერის ფეხებს შუა გაუძვრინა შაიბა.

თუმცა, სტუმრების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ორ წუთში "ოტავამ" ანგარიში გაათანაბრა. **ჯეისონ სპეცამ** ჟიგერის კარის ძელთან ჩასაფრებულ **დენი ჰიტლის** ზუსტი პასი მისცა და ოტაველთა ერთ-ერთმა ლიდერმა, ფინალურ სერიაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

მატჩის ბედი კი, მესამე პერიოდის მეხუთე წუთზე გადაწყდა. მაკდონალდმა შესანიშნავი გადაცემით **ტეემუ სელიანე** და **დასტინ პენერი** გაიყვანა შეტევაზე. "დაქსის" ფორვარდების წინ მხოლოდ ერთი მცველი - **ანტონ ვოლჩენკოვი** იდგა, რომელმაც მეტოქეებს კლასიკური კომბინაციის გათამაშებაში ხელი ვერ შეუშალა. გამოცდილმა სელიანემ პენერს გაატანინა და როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ამ მატჩში გამარჯვების გოლი. მისმა ავტორმა ამ წარმატებული შეტევის გმირად ფინელი სელიანე დაასახელა. *"ტეემუმ უზუსტესი პასი მომცა. ცარიელ კართან მარტო დავრჩი და ამ შანსის გამოყენება, ჩემი მხრიდან დიდი დანაშაული იქნებოდა"*, - განაცხადა პენერმა.

შეხვედრის ბოლოს, "სენატორებმა" შტურმი მოაწყვეს მეტოქის კართან, მაგრამ კვლავ შეუდარებელი იყო ჟიგერი.

მაშ ასე, "ანაჰაიმს" ისტორიული წარმატებისთვის ერთადერთი გამარჯვება სჭირდება. ჩვენი დროით ხუთშაბათს დილით, სერიის მეხუთე მატჩი "იხვების" მოედანზე გაიმართება და შესაძლოა, სწორედ აქ მოიპოვოს თავისი არსებობის ისტორიაში პირველი სტენლის თასი "ანაჰაიმმა". ეს გუნდი მეორედ თამაშობს ფინალურ სერიაში და საშინაო შეხვედრებში ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს - 5-დან 5 გამარჯვება.

"ოტავას" წინააღმდეგ კიდევ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში, ფინალურ სერიებში მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როცა გუნდმა 1:3-დან შეძლო სერიის მოგება. ამ გმირობის ავტორი "ტორონტო მეიპლ ლივზი" გახლავთ, რომელმაც 1942 წელს მიაღწია წარმატებას.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ფლეი ოფში, ეს "ანაჰაიმის" მე-15 მოგება იყო და აქედან 12 მატჩში, გუნდმა მხოლოდ ერთი შაიბით აჯობა მოწინააღმდეგეს.

"პირველ რიგში, ჩვენი მეკარის საიმედო თამაშს გამოვყოფ. ძირითადად, ჟიგერისა და ენდი მაკდონალდის ნაყოფიერმა მოქმედებამ მოიტანა ეს გამარჯვება. ახლა წინ არის მატჩი, სადაც ჩვენს მეტოქეს დასაკარგი აღარაფერი აქვს. ამიტომაც, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, საუკეთესო ჰოკეის ჩვენება გვმართებს", - განაცხადა "ანაჰაიმის" დამრიგებელმა - **რენდი კარლაილმა**.

"კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ შევძელით. უამრავი მომენტი გავფლანგეთ. ამიტომაც არის ეს წაგება ასე სამწუხარო. ჩვენც ვიმსახურებდით მოგებას", - ეს უკვე "ოტავას" მთავარი მწვრთნელის - **ბრაიან მიურეის** სიტყვებია.

ბოლოს დავძენთ, რომ კანადურ კლუბებს სტენლის თასი 1993 წლის შემდეგ არ მოუგიათ და როგორც ჩანს, კიდევ ერთი წელი მოუწევთ მოცდა.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲒᲝᲩᲐ ᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲗᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲐᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲰᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲔᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (დირექტორის მოადგილე), ᲒᲘᲒᲘ ᲕᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲝᲖᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ.: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ.: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲑᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 14,
0108 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10ª,
0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲘᲚᲘᲛᲐᲜᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲗᲐᲢᲠᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲦᲐ ᲙᲘᲗᲠᲘᲡᲐ